# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი 24 ნოემბერი 1998 №214 (749) ფასი 50 თეთრი


# ფედერაცია გურიას ხელოვნურად ასუნთქებს

— მეორე ტაიმში მოხდა ფაქტი, რო- ლიც სტადიონზე მოსულ ქომაგთაგან ბევრმა ვერც კი შეამჩნია. „გურიამ" მაში კაცნაკლულად გააგრძელა. არა, ვინ გაუძევებიათ. მიზეზი თითქოსდა რალო იყო — ერთ-ერთმა გურულმა ბურთელმა თამაში არ ისურვა — წე- 9 სექტემბრის „სარბიელი" „ბათუმი" „გურიას" მატჩის ანგარიშში. ბათუმე- ბმა დაინდეს გურულები, პირველ ტა- იმში გატანილი 4 გოლი აკმარეს.

— პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატ- ჩზე გამოუცხადებლობისთვის „გურია" საქა- რთველოს თასის გათამაშებიდან მოიხსნა — გუშინ 14 ოქტომბერს — მერვედფინა- ლში ბათუმის „კოლეჯი" გავიდა.

— ეს მატჩი წინა შაბათს უნდა გამარ- თულიყო, მაგრამ მისი გადადების მიზეზი „გურიაში" შექმნილ გაურკვეველ სიტუ- აციაში უნდა ვეძიოთ. ამასობაში კლუბის თავკაცებმა, ეტყობა, ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენეს, ჯონი ჯანელიძეს უნდობლო- ბა გამოუცხადეს, ახალი მწვრთნელი და- ნიშნეს და ფეხბურთელები როგორლაც დაიყოლიეს თამაშზე — ამოიკითხავდით ხუთშაბათს, 29 ოქტომბრის „სარბიელში" „გურია" — „დილას" გადადებული მატჩის რეპორტაჟში.

— ავჭალაში შეკრებილნი ამაოდ ელო- დნენ შეხვედრის დაწყებას. მატჩი არ შედგა. მიზეზი კი ლანჩხუთელთა გამოუცხადებ- ლობა იყო. გურულებმა ეს უკვე მეორედ მოიმოქმედეს. პირველად თასის გათამა- შების მეთექვსმეტედფინალს უგანეს და საშინაო შეხვედრაში ბათუმის „კოლეჯთან" არ გამოცხადდნენ, რისთვისაც გათამაშე- ბიდან მოიხსნენ. ამჯერად კი მათ დებუ- ლების თანახმად ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრებათ — ეს ამასწინათ, 17 ნოემბერს გამცნეთ — „გურიას" „მერანთან" გამოუ- ცხადებლობისთვის 0:3 წაგება ჩაეთვალა.

— არ შეიძლება იმის თქმა, რომ გურუ- ლები ჩემპიონატიდან უნდა მოიკვეთონ. იქნებ მათ რაიმე მიზეზის გამო ვერ შეძ- ლეს ჩამოსვლა. იქნებ გზაში შეემთხვათ გაუთვალისწინებელი რამ, თანაც გუშინ არჩევნები იყო — იქნებ ამიტომაც შეფე- რხდნენ. სანამ მიზეზს დავადგენთ, არ უნდა ავჩქარდეთ, განუცხადა „მერან" — „გუ- რიას" 16 ნოემბრის მატჩის ინსპექტორმა თემურ ფანიაშვილმა „სარბიელს".

ერთი სიტყვით, ჯერ ერთმა არ ისურვა, მერე მთელმა გუნდმა იუარა ჯერ თასზე, მერე კი ჩემპიონატში თამაში. კვირას კი სულაც 9 კაცით დაუხვდა „გურია" „გორდას" და ერთი საათის დაგვიანებითღა გახდა მატჩის ჩატარება შესაძლებელი.

გვაქვს პატივი, ვიკითხოთ: ჩემპიონატის დებულება, უკვე მერამდენედ, განა მხოლოდ „გურიას" მესვეურების უნიათობით დაირღვა?

ვის სჭირდება გუნდი, რომელიც ვერ ვარჯიშობს, მხოლოდ თამაშის წინ იკრიბება და ისიც ნაკლულად?

„გურია" საქართველოს თასის პირველი მფლობელია. მანამდე კი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში იმ რაიონის წარმომადგენელი გახლდათ, რომლის მოსახლეობა ლანჩხუთის სტადიონს ვერ ავსებდა. ჰოდა, საკითხავია, უნდათ კი ლანჩხუთელებს ისეთი გუნდი, რომელიც თითქმის ყოველ ტურში სტადიონზე იმიტომღა გადის, გათამაშებიდან რომ არ მოხსნან და პირველ ჯგუფში სული შელავათებითღა უდგას. არადა, მეათე ჩემპიონატის დებულება ლაღადებს:

„კალენდარულ მატჩზე გამოუცხადებლობისთვის, ან სამსაჯო-საინსპექტორო თანხის გადაუხდელობისთვის გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან."

ახალმა ფედერაციამ კანონის ხმა უდაბნოში მღაღადებლისად არ უნდა დატოვოს, თუნდაც იმიტომ, რომ მისთვის „სიონი", „მერანი", „კახეთი", „ვიტ ჯორჯია", „გურია", „ტორპედო", „დინამო" თუ სხვა, ვინც უნდა იყოს, ყველა ერთი უნდა გახლდეთ.

ვახტანგ ბზიკაძე

## საქართველოს ჩემპიონატი
## 15 ტური

22 ნოემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ბათუმი | 1 |
| არსენალი | 1 |
| იბერია | 2 |
| კოლხეთი | 2 |
| ლოკომოტივი | 3 |
| თსუ | 1 |
| ტორპედო | 4 |
| სიონი | 0 |
| გურია | 3 |
| გორდა | 4 |
| დილა | 3 |
| მერანი | 3 |
| სამგურალი | 0 |
| დინამო | 3 |

23 ნოემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ოდიში | 0 |



გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია" — „ოდიში". ვასილ მაისურაძემ (მარჯვნივ) ოდიშარებს ბურთის გატანა არ დაანება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 11 | 3 | 0 | 44:7 | 36 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 14 | 8 | 3 | 3 | 33:19 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

EURO 2000
ჩვენი ჯგუფი

# იორდანესკუ მთავრობით შეაშინეს

ანგელ იორდანესკუ საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელად კონტრაქტის ბოლომდე დარჩება — განაცხადა გუშინ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ.

დასრულდა გაურკვევლობის ათდღიური. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იორდანესკუ საქმიანობას განაგრძობს საბერძნეთის ნაკრებში და არა ათენის აეკ-ში, რომელიც მას გაცილებით დიდ გასამრჯელოს სთავაზობდა.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გამორიცხულია, იორდანესკუმ ორივეგან იმუშაოს, რადგან ამას კონტრაქტი არ ითვალისწინებს.

აეკ-მა განაცხადა, რომ იორდანესკუსთან ყველა საკითხი მოგვარებული ჰქონდა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის მმართველებმა საქმეში მთავრობა ჩარიეს და რუმინელ მწვრთნელს აეკ-ში წასვლაზე ხელი აალებინეს.



# იუვე სტამბოლს 2 დეკემბერს ჩავა

ჩემპიონთა ლიგის მატჩი „გალათასარაი" — „იუვენტუსი", ხვალ რომ უნდა გამართულიყო, ერთი კვირით, 2 დეკემბრისთვის გადაიდო.
შეხვედრა მაინც სტამბოლში შედგება. უეფას იმედი აქვს, რომ მანამდე იტალიის და თურქეთის მთავრობები პრობლემებს მოაგვარებენ.
რა იყო მატჩის გადადების მიზეზი, იხილეთ მეათე გვერდზე.

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი.

## ჩეხეთი — საქართველო

25 ნოემბერი. ოპავა. 17 საათი.

# გუშინ: ქართველები ჩეხეთში ჩავიდნენ ჩეხებმა შემადგენლობა დაასახელეს

გიორგობის მადლი ტრიალებდა გუშინ ავტობუსში, რომლითაც ისრაელიდან ჩეხეთს ჩაფრენილი ქართველ კალათბურთელთა ეროვნული გუნდი პრაღიდან ოპავისკენ მიემგზავრებოდა. ოთხასი კილომეტრი უნდა გაიაროს ავტობუსმა დანიშნულ ადგილამდე, ანუ ოპავამდე, რომელიც ზედ პოლონეთის საზღვარზეა და ხვალ, 25 ნოემბერს, ჩეხეთის ამ პატარა ქალაქში იქაურ ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდეს. დიახ, სწორედ ხვალ გაირკვევა, თუ რამდენად შესარგი წვრთნა გამოუვიდათ ჩვენებურებს ალთქმულ მიწაზე.

ჩეხეთს ქართველები ჩვენი დროით 12 საათისთვის ჩაფრინდნენ, სადაც კიდევ ერთი ლეგიონერი, დავით ბერძენიშვილი დახვდათ. საღამოხანს მათ ორი ვლადიმერი — სტეფანია და ბოისა დაემატებოდათ სრული შემადგენლობით ვარჯიშის საშუალება მიეცემოდათ. იმ ათ კალათბურთელს, რომელიც ქვეყნის ღირსებას დაიცავს, 24-ში საღამოს დავასახელებთო, გვაცნობა გუშინ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა.

შაბათ-კვირას ჩეხეთის ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა პოლონეთთან. პირველში 90:99 დამარცხდნენ, მეორე კი, 81:70 მოიგეს. ამ მატჩებში ჩეხთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ცენტრი ირჟი ზიდეკი (შესაბამისად 17 და 30 ქულა). ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელმა ზდენეკ ჰუმელმა თქვა, რომ ეს მატჩები მას დაეხმარება საქართველოსა და იტალიასთან ოფიციალური თამაშებისთვის მომზადებაში. თუ ჯგუფიდან გასვლა გვინდა, ორივეს უნდა მოვუგოთო, დააყოლა ჰუმელმა და გუშინ დაასახელა ის 12 მოთამაშე, რომლებიც მოემზადებიან საქართველოსთან მატჩისთვის. საბოლოო განაცხადში ათი მათგანი მოხვდება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვლადან ვაჰალა | უკანა ხაზი | 1971 | 195 | ოპავა |
| პეტრ ტრემლი | უკანა ხაზი | 1967 | 194 | უსკ-პრაღა |
| პეტრ ჩუდეკი | უკანა ხაზი | 1971 | 185 | ოპავა |
| პეტრ ველში | უკანა ხაზი | 1976 | 184 | კუნინი |
| დავიდ კლაპეტეკი | ფორვარდი | 1967 | 200 | ოპავა |
| პაველ ბეჩკა | ფორვარდი | 1970 | 203 | ოლდენბურგი, გერმანია |
| პაველ სტანეკი | ფორვარდი | 1976 | 203 | ოპავა |
| მარეკ შტუხლი | ფორვარდი | 1975 | 196 | ოსტრავა |
| ირჟი ველში | ფორვარდი | 1980 | 197 | სპარტა |
| ირჟი ოკაჩი | ცენტრი | 1963 | 215 | ოპავა |
| ირჟი ზიდეკი | ცენტრი | 1973 | 212 | ჟალგირისი, ლიტვა |
| დანიელ დვორჟაკი | ცენტრი | 1977 | 204 | სპარტა |

# გორდა — გურიას: გექებდი როგორც მტერს...

ლანჩხუთი
22 ნოემბერი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
100 (ტევადობა 22 000)

**გურია 3:4 გორდა**

0:1 ლ. ალადაშვილი (12), 0:2 სახვაძე (55), 1:2 მახარაძე (63), 1:3 კ. ალადაშვილი (66), 2:3 მახარაძე (70), 2:4 სილაგაძე (80), 3:4 მახარაძე (88)
**გურია:** გოგუა, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, ლორია, თიბილაშვილი, დ. მახარაძე, ბულუხია
*სათადარიგო:* ვარდანიძე
**გორდა:** მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ვ. კილასონია (სილაგაძე 47), ტარტარაშვილი (მჭედლიძე 46), ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი, კ. ალადაშვილი
*სათადარიგო:* ჩუხუა
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); თ. მაჭარაძე (ხონი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

წესით და რიგით სატურნირო ცხრილის ქვემოურთა გუშინწინდელი მატჩი ლანჩხუთში უპრინციპულესი უნდა გამომდგარიყო და პირველი წრის ბოლო ტურის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა გახლდათ. მაგრამ რაც ამ თამაშზე მოსულმა ასიოდე მაყურებელმა იხილა, ეს ანტიფეხბურთი რაა, იმაზე უარესი გამოდგა. არადა, დიდი შანსი იყო იმისა, რომ ეს მატჩი არც ჩატარებულიყო. არა, ჩატარდაო კი ვამბობთ, ოღონდ ერთი საათის დაგვიანებით და დაგვიანების მიზეზი, რა თქმა უნდა, „გურიაში“ შექმნილი დომხალი რომ იქნებოდა, ეს ადვილი მისახვედრია. დიდად არც რუსთაველებს ულხინთ, მაგრამ გურულების პრობლემებთან მათი გასაჭირი რა მოსატანია.

წინა ტურში „გურია“ თბილისს არ ეწვია „მერანთან“ სათამაშოდ. მას შემდეგ თითქმის ერთი კვირა გაილია, მაგრამ გუნდში სასიკეთოდ რომ არაფერი შეცვლილა, ეს გუშინწინდელმა დღემაც ნათლად დაგვანახა. არადა იმის იმედი კი იყო, ამ ერთ კვირაში რაიონის ხელმძღვანელები და კლუბის თავკაცები რალაცას ილონებდნენ კლუბის გადასარჩენად. თქვენც არ მომიკვდეთ. ის კი არა თამაშის წინ კაცისშვილი არ ჩანდა ამბის მომკითხავი. არც მანამდე გაუკეთებიათ გუნდისთვის რაიმე. გოგუასთვის კი მიუკითხიათ ოზურგეთში და საკვირაოდ ლანჩხუთში აუცილებლად ჩამოსვლა უთხოვიათ. ისიც ჩამოვიდა, მაგრამ რა დახვდა? არც არაფერი. მოკლედ ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, ისეთი სიტუაცია იყო. ჰოდა, თამაშის დაწყების დროც ახლოვდებოდა, თუმცა რა ფეხბურთზე იყო საუბარი. ამასობაში 7-8 ფეხბურთელიც შეიკრიბა და კლუბის მესვეურებთან რამდენიმე აღშფოთებული გულშემატკივრის თანდასწრებით, გამოსავლის ძიებას შეუდგა.

უამრავჯერ მოტყუებული ფეხბურთელები თავისი კუთვნილი ხელფასის დარჩენილ ნაწილს ითხოვდნენ და ცოცხალი თავით მინდორზე გასვლას არც აპირებდნენ. არადა, ამ ბიჭებთან სასაყვედურო არავის არ უნდა ჰქონდეს. მათ რაც შეეძლოთ გულით ითამაშეს. თითქმის უვარგისშებლებმა ბევრი გუნდი გაამწარეს, მაგრამ რად გინდა, ვინ უფასებთ. საკონტრაქტო თანხებზე არ არის ლაპარაკი, ხელფას-პრემიების დარჩენილი ნაწილის (10 000 ლარამდე) მიღების გარანტია მოგვცენ, თორემ პირველი წრე მთავრდება, შესვენება დაიწყება და ეხვეწე მერე მაგათო — გაიძახოდნენ ფეხბურთელები. კარგა ხნის დებატების შემდეგ, რომელშიც რაიონის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ რა თქმა უნდა არ ფიგურირებდნენ, თამაშამდე რამდენიმე წუთით ადრე კომპრომისის მიღწევა შეძლეს. გადაწყდა რომ „გურია“ სათამაშოდ მაინც გავიდოდა. ამასობაში ზემოთნახსენებ ფეხბურთელებს ფოთელებიც დაემატნენ, მაგრამ ეს უკვე გვიანი აღმოჩნდა. ორი საათისთვის რუსთაველებმა მოთელვა დაამთავრეს და გასახდელს მიაშურეს. მეტოქე კი არ ჩანდა. გურულები მხოლოდ ამის შემდეგ შეიკრიბნენ სრული შემადგენლობით და თამაშის სურვილიც გამოთქვეს, მაგრამ გვიანი იყო — დებულება დაირღვა.

ფეხბურთის ფედერაციის დელეგატმა ვისლან მელაშვილმა გურულებს დაგვიანება შეუნდო, დებულების დარღვევა არად ჩათვალა და მატჩის ჩატარება ბრძანა. ამას რა მოჰყვება ფედერაციის კომპეტენციაა.

თამაშზე ახლა რუსთაველთა თავკაცი იასონ ალადაშვილი დადგა უარზე, აქაოდა დრო უკვე გავიდა და მოგება გვერგებაო. რუსთაველთა დაყაბულებას კიდევ რამდენიმე წუთი დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს მათ მაინც შეცვალეს თავდაპირველი გადაწყვეტილება, ვაჟკაცობა გამოიჩინეს და ზუსტად სამ საათზე დოგრაშვილმა გუნდები სათამაშოდ გაიყვანა. ეს შეთანხმება საიდუმლო ვითარებაში შედგა და ცხადი გახდა რომ „გორდა“ იმ შემთხვევაში გავიდოდა სათამაშოდ, თუ „გურია“ თამაშს დათმობდა. ასეც მოხდა.

ანგარიშის წაკითხვისას მავანი იფიქრებს, აუუ, რა თამაში ყოფილაო. რის თამაში, რა ფეხბურთი. გურულები ოდენ ცხრა (!) კაცით დაუხვდნენ მეტოქეს. აბა ასეთი მატჩის პერიპეტიებზე საუბარი ღირს? რა თქმა უნდა არა. ერთს კი ვიტყვით, „გორდა“, იასონ ალადაშვილის თქმის არ იყოს, საომრად ჩამოვიდა ლანჩხუთში, მაგრამ მოვლენების ასეთმა განვითარებამ მათ სამი ქულა ისე მოაპოვებინა, ხეირიანად ოფლიც კი არ დაუღვრიათ.

ერთი სიტყვით, „გორდამ“ ძვირფასი ქულები ჩაიჯიბა, აი გურულებს კი რაღა ეშველებათ, ღმერთმა უწყის. მათ პირველი წრე ასე თუ ისე ჩაამთავრეს, მაგრამ რა იქნება მომავალში? არადა ასეთი დიდი წარსულის და ტრადიციების მქონე გუნდის დღევანდელი ყოფა არა მარტო ლანჩხუთის, მთლიანად ქართული ფეხბურთის სირცხვილია. ისე კი, სირცხვილით იმათ უნდა რცხვენოდეთ, ვისაც „გურიას“ ბედ-იღბალზე ზრუნვა აკისრიათ.

წყალტუბო
22 ნოემბერი
14 საათი
26 მაისი
1500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:3 დინამო**

0:1, 0:2 აშვეთია (4,9), 0:3 მუჯირი (80)
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, დ. ჭელიძე (ჯავახაძე 77), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, მახვილაძე, ძაგნიძე, ი. ხაჭაპურიძე (ღონღაძე 56), ფაიქიძე (ზ. ქუთათელაძე 65), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, დარსაძე, ფილიპაშვილი, თევდორაძე
**დინამო:** სოლოლაშვილი, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი (საჯაია 82), ა. სახვაძე, ლ. მიქაძე, ალექსიძე (გ. შენგელია 82), აშვეთია (ქემოკლიძე 83), ცქიტიშვილი, კვარაცხელია
*სათადარიგონი:* გვარამაძე, რუხაძე
**გაფრთხილება:** ქობულაძე (38), ფრანგიშვილი (67), ჯანელიძე (79)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ს. კახიანი (თბილისი), ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ი. მჭედლიშვილი

# შიშს დიდი თვალები აქვს

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

დაებედა თუ კიდევ რა, მესამე წელია „სამგურალი“ საშემოდგომო მოსავალს ტოლად იმკის. მერვე, მეცხრე და აგერ მეათე ჩემპიონატის პირველი წრე გუნდმა 14 ქულით დაასრულა. თითქოს გამოწერილივით - 4 მოგება, 2 ფრე, 9 წაგება...

ერთი მოგვესმინათ, თამაშის წინ როგორ განაწყობდა საბრძოლველად თავისიანებს გაიოზ დარსაძე: აბა, ბიჭებო, თქვენ იცით, „დინამოსთან“ ბურთაობა შეიძლება, თქვენც ხომ მოთამაშეები ხართ, შიში არ მოგერიოთ და ა.შ. შეაყარე კედელს ცერცვი. ყველა სამგურალელზე არ ითქმის, მაგრამ უმრავლესობას ჭკუაში არ უჯდებოდა მწვრთნელის შეგონება, გასახდელშივე თვლიდა თავს წაგებულად, აქედან შედეგიც...

პირველ ტაიმში ჩემპიონის უპირატესობა ოდნავაც არ ბადებდა ეჭვს. თამაში ძირითადად „სამგურალის“ ნახევარზე მიმდინარეობდა. დინამოელები, ბურთით თუ უბურთოდ, ბევრს და სწრაფად მოძრაობდნენ და მეტოქის არცთუ მყარ დაცვას დიდი პრობლემების წინაშე აყენებდნენ. მიუხედავად ამისა, აშვეთიას მიერ საწყის წუთებში გატანილი ორივე ბურთი უფრო ნაჩუქარს ჰგავდა. პირველ შემთხვევაში სახვაძემ მარცხენა ფლანგზე ჭელიძეს აჯობა და საკმაოდ შორიდან კარის გასწვრივ გაჭრა. წყალტუბოელმა მცველებმა და მეკარემ აშკარად შესცოდეს, აშვეთიას ახლოდან დარტყმის საშუალება მისცეს, თუმცა ამას დარტყმაც არ ერქვა, მიხომ მხოლოდ ფეხი წაჰკრა ბურთს და ისიც ბადეში აღმოჩნდა. ხუთ წუთში კი ცქიტიშვილმა მარცხნიდან კუთხური ჩამოაწოდა. ხაჩირაშვილმა მაღალ ბურთზე გამოსვლა ვერ გაბედა, ჯანელიძეც შეცდა, ბურთს ვერ მიწვდა. მცველის ზურგსუკან ჩასაფრებული აშვეთიაც ამას ელოდა. ბურთს ძირს დაშვება არ აცალა და ცაციათი დაუცველ კუთხეში ზუსტად დაარტყა. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, ამ გოლმა გადაწყვიტა. მასპინძლები კიდევ კარგა ხანს ვერ მოვიდნენ გონს, არეულად თამაშობდნენ. სხვა რა გინდათ, დინამოელთა გოლკიპერი პირველად მხოლოდ 28-ე წუთზე შეეხო ბურთს. თუმცა სულ მალე წყალტუბოელებმა ერთადერთი დასამახსოვრებელი იერიში განახორციელეს. სტუმართა საჯარიმოში ჯინჭარაძემ ითამაშა გაბედულად; იგი ორ მცველს დაუსხლტა და ფაიქიძეს უპასა. ამან ბურთი ძაგნიძისკენ გაატარა, რომელიც მეტად ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებოდა, მაგრამ ათიოდე მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. ამის შემდეგ „დინამოს“ ჰქონდა ორი მომენტი და „სამგურალი“ ორჯერვე ძელმა იხსნა. კიდევ რა? აღსანიშნავია ეპიზოდი, როდესაც ალექსიძე და ქობულაძე წაკინკლავდნენ და არბიტრმა მარტო „ხურდის დამბრუნებელი“ წყალტუბოელი გააფრთხილა.

შესვენების შემდეგ „დინამომ“ საგრძნობლად უკლო ტემპს და მასპინძლებმაც სული მოითქვეს, თავადაც შეუტიეს ჩემპიონს, ოღონდ ეს იყო, ყველა მათი შეტევა მეტოქის საჯარიმოსთან იფუშებოდა. მახვილაძის, ფაიქიძის, ჯანაშიას, ჯინჭარაძის შორეულ დარტყმებს სასიკეთო არაფერი მოჰყოლია. სოლოლაშვილი მარჯვედ იდგა. მართალია, დინამოელები ახლა ეპიზოდურად, მაგრამ უფრო მწვავედ „იჩხვლიტებოდნენ“. 73-ე წუთზე სტუმრებმა „სამგურალის“ საჯარიმოში კარუსელი დაატრიალეს, საბოლოო დარტყმა აშვეთიამ იკისრა და აქ ხაჩირაშვილმა ივარგა. ჩემპიონმა მაინც გაასამა. მოედნის ცენტრში, საკმაოდ უწყინარ ვითარებაში, ჯანაშიამ უკან არაზუსტად მიაწოდა პარტნიორს და ჯანელიძეც საკუთარი საჯარიმოს წინ უმალ დაჯარიმდა. მუჯირმაც ოსტატურად დაარტყა. ბურთი „კედელს“ აცდა და... კარის მარცხენა დაბალ კუთხეში შევარდა.

# გოლი, ბიჭო, გოლი!

თბილისი
22 ნოემბერი
14 საათი
26 მაისი
150 (ტევადობა 16 000)

**ლოკომოტივი 3:1 თსუ**

0:1 წიტაიშვილი (28), 1:1 კოტორაშვილი (39), 2:1 გოგოლაძე (65), 3:1 გოდერძიშვილი (79)
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ხორგუაშვილი (კ. მელქაძე 46), ბარნოვი, ბაქრაძე, კოტორაშვილი (გილიაური 80), კაციაშვილი, ნ. მინდიაშვილი, კ. გოგოლაძე, დ. გოდერძიშვილი, გ. ღუდუშაური (ქვარცხავა 73)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, გიორგი ქორიძე, მ. მინდიაშვილი, მარლიშვილი
**თსუ:** გაბელია, სვანაძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, დეკანოსიძე (კ. სვანიძე 70), დ. ცომაია (ო. სულაძე 46), კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი (ინწკირველი 85), ნინუა, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ებრალიძე, ვ. ღუდუშაური, ბახტაძე
**გაფრთხილება:** ნინუა (90)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ს. შალამბერიძე, ა. მეშკოვი; ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

**კობა ინასარიძე**

ეროვნულ ჩემპიონატში ჯერაც დაუმარცხებელმა „ლოკომოტივმა“, როგორც იქნა, ნავსი გატეხა — ზედიზედ რამდენიმე უგოლოდ დამთავრებული მატჩის შემდეგ გაიმარჯვა. თემურ მახარაძემ, ეტყობა, ფორვარდებს შეუფუცხუნა, სირცხვილია, ცხრილში ერთ-ერთი ლიდერის ადგილი გვიჭირავს, ბოლო თამაშებში კი ბურთი არ გაგიტანიათო, ალბათ, ასე მიმართავდა გოგოლაძესაც და გოდერძიშვილსაც.

აგერ შედეგიც. რკინიგზელებს რომ გოლის სიხარული ჯერაც არ დავიწყებიათ, შაბათსაც გამოჩნდა. თუმცა საყვედურისმაგვარის თქმაც შეიძლება, რადგანაც ორივე თავდამსხმელმა ერთად იმდენი რეალური მომენტი გააცუდა, კაცს სათვალავი აერეოდა. ლოკომოტიველები სტუდენტთა მეკარესთან პირისპირაც დარჩნენ, კარისკენ ორიოდ მეტრიდანაც დაარტყეს, შედარებით შორიდანაც, მაგრამ ორზე მეტად ვერა და ვერ გამოატანინეს კარიდან ბურთი ვაკის სტუმრებს.

შესვენებამდე, სანამ მწვრთნელ გაბელიას დარიგებანი ახსოვდათ, სტუდენტებს დიდი ხიფათი არ შექმნიათ. ეგ კი არა, ერთი-ორჯერ მათ ტექნიკამ უმტყუნათ, თორემ წიტაიშვილის გოლამდე ადრეც გაიხარებდნენ. „ლოკომოტივს“ დაცვაში მთლად დალაგებულად ვერ ჰქონდა საქმე. ესტონელებთან ამასწინანდელ მატჩში დაშავებული და ჯერაც ტრავმამოუშუშებელი თარხნიშვილი გუნდისთვის დიდი ძალა ყოფილა. თუკი რამ ხიფათი იქმნებოდა „ლოკომოტივის“ კართან, იმიტომ, რომ ლიბერო აგვიანებდა პარტნიორთა დაზღვევას. სტუდენტთა გატანილი ბურთის დროსაც ეს იყო მიზეზი. როსტიაშვილის პასი, სტოპერ ბაქრაძის შეცდომა და ლიბეროს არასწორი პოზიცია ერთად შეირგო წიტაიშვილმა, მეკარესთან მარტოდ დარჩა, ისიც მოატყუა და 0:1.

„ლოკომოტივმა“ საფრთხე იგრძნო. თსუ არ ჩანდა ის გუნდი, რომელიც ანგარიშში უპირატესობას უბრძოლველად დათმობდა. თუმცა რკინიგზელებმა მეტად მოინდომეს. რამდენჯერმე ისე რა დაემუქრნენ გიორგი გაბელიას კარს და ბოლოს საწადელსაც მიაღწიეს. სტუდენტების უყურადღებობა კოტორაშვილმა გამოიყენა: საჯარიმოს წინა ხაზთან გადმოვარდნილი ბურთი ლოკომოტიველმა სწრაფად დაამუშავა, არც მცველებს შეუწუხებიათ, ისიც ადგა და ბურთს ქვემოდან ამოჰკრა. გაბელია მაშინღა გამოფხიზლდა, როცა მეტოქემ გაიხარა.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელმა თემურ მახარაძემ შესვენებაზე გონივრული გადაწყვეტილება მიიღო — ხორგუაშვილი კოტე მელქაძით შეცვალა, მასვე ლიბეროობა დაავალა, დაცვაშიც გადააადგილა ფეხბურთელები და მეტოქესაც შეუმცირა შეგირდთა ელემენტარული შეცდომებით სარგებლობის შანსი. მახარაძის ნაფიქრალმა გაჭრა. მეორე ტაიმში თსუ-ს საგოლედ ერთხელაც არ შეუწუხებია „ლოკომოტივი“, პირიქით კი ძალიან ბევრჯერ მოხდა. ამათგან მხოლოდ თავდამსხმელებმა იყოჩაღეს თითოჯერ. ერთხელ, როცა გოგოლაძე მეკარესთან ცხვირწინ აღმოჩნდა და გაბელიას ფეხებშუა გაუძვრინა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი, მეორედ კი მაშინ, კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს გოდერძიშვილმა თავით მიმართულება რომ შეუცვალა. მერე თამაშგარე მდგომარეობებიც ბლომად იყო და გაცუდებული მომენტებიც.

[illegible] ფოტო



გოგოლაძემ (№9) გაბელია და კობიაშვილი (№4) კი ჩამოიტოვა, მაგრამ ბურთი ცარიელ კარს ააცილა

# ერთადერთი

სამტრედია
22 ნოემბერი
14 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

**იბერია 2:2 კოლხეთი**

1:0 ვ. გიგიაძე (32), 2:0 ვარდიაშვილი (35), 2:1, 2:2 გვასალია (76, 80)
**იბერია:** გ. დოლიძე (ჩაჩუა 89), ნიკოლეიშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, სადილიანი, მუმლაძე (ივეჩიანი 81), ბრეგვაძე, ი. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, ვარდიაშვილი
*სათადარიგონი:* დ. ჭელიძე, თოდუა, გაბრიჭიძე, ლორთქიფანიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუტიძე (გოროზია 81), ტორჩინავა, შალამბერიძე (გიორგობიანი 54), ღლონტი, ღლანიძე, გვასალია (სუხიაშვილი 87), წივწივაძე, კალანდაძე, გაბისონია, ქობულაძე.
*სათადარიგონი:* ჩემია, ბაჩილავა, შავგულიძე, კრასოვსკი
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); დ. თოდუა (მარტვილი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. პანოვი

**კონსტანტინე გოგიშვილი სამტრედიიდან**

თამამად შეიძლება, ეს შეხვედრა ვასო გიგიაძის საავტორო შოუდ შევრაცხოთ. პირველიდან 90-ე წუთამდე მოედანზე ერთი პლუს 21 ფეხბურთელი გახლდათ. გასაგებია, 21-ში ვისაც ვგულისხმობ - ათ იბერიელს და თერთმეტ კოლხს. ის ერთი კი... ესეც ხომ გასაგებია? საისრაელოდ გამზადებული შოთა ჩომახიძის არყოფნაში (სიცხე ჰქონდა) „იბერიას“ლიდერობა ვასილ გიგიაძემ იტვირთა. იბრძოლა ამ ბიჭმა, გოლიც გაიტანა, საგოლე გადაცემებიც არ დაიზარა და იმდენი (იმდენი) კოლხი მოატყუა, უეჭველად იმსახურებს ყველაზე „მატყუარა“ ფეხბურთელის ტიტულს.

პირველმა ნახევარმა სამტრედიელთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა. მე-13 წუთზე იმ ერთმა, 35-ზე კი ვარდიაშვილმა (იმ ერთის პასით) ორი უპასუხო გოლი გაუტანეს სტუმრებს და ისე გაამწარეს ისინი, ლამის შეხვედრის არბიტრი შემოელანძღათ. განსაკუთრებით ზაზელ ღლანიძე იყო მსაჯობით უკმაყოფილო და ერთი-ორჯერ იმგვარად შეუყვირა არბიტრს, ფოთის პორტიდან გემებმა ბანი მისცეს. გატანით, გარდა ამ ორისა, კიდევ მეტს გაიტანდნენ იბერიელები. მცველთა გარემოცვაში მყოფი ის ერთი ადვილად უმკლავდებოდა ორ-სამ მეტოქეს და პარტნიორებს ხშირად ტოვებდა საგოლე სიტუაციებში, მაგრამ რად გინდა, კიდევ კარგი, რომ ამდენი მომენტის გამცუდებელმა „იბერიამ“ არ წააგო. იმერლებმა თავიანთი შანსებით ვერც მეორე ნახევარში იხეირეს. ჯერ ბრეგვაძემ, მერე ვარდიაშვილმა, ნიკოლეიშვილმა, მუმლაძემ კარში ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხეს. ფოთელები კი პირიქით, მეორე ნახევარში გაცილებით ზუსტად გაისარჯნენ, ალბათ, მათ მწვრთნელმა დაუცაცხანა. სამტრედიელებს რომ ეყოჩაღათ და მასირებულ შეტევებზე გადასული კოლხების მოშიშვლებული ზურგით ესარგებლათ, ანგარიში შეიძლება ფოთელებისთვის სამარცხვინოც კი ყოფილიყო. მაგრამ იმერლებმა ვერ იმარჯვეს და დაისაჯნენ კიდეც.

მეორე ტაიმის შუაგულიდან მასპინძლებს საზრუნავად ისლა ჰქონდათ, როგორმე ბურთი მოეგერიებინათ, ცოტათი აიჭრნენ კიდეც და გვასალიამ თავურით ერთი ბურთი გაქვითა. თითქმის ყველა მიხვდა, იმ დღეს „იბერია“ მომგები აღარ იყო, ვერ იბრძოლეს იმერლებმა და იმიტომ. ისე კი, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, არ გაგიგიათ? შეხვედრის მიწურულს მასპინძელთა დაცვის ცენტრი ტრადიციულად შეცდა, ღლანიძემ ყოჩაღად უპასა გვასალიას, მანაც, ერთი-ერთზე გასულმა, დოლიძეს აჯობა და ანგარიში გაათანაბრა.

მერე მწვრთნელებმა სამი-ოთხი ფეხბურთელი შეცვალეს და მსაჯმაც ჩასტვინა. ის ერთი კი ნეტავი სულ ასე თამაშობდეს.

ბათუმი
22 ნოემბერი
14 საათი
დინამო
2000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 1:1 არსენალი**

0:1 ზირაქიშვილი (40პ), 1:1 მაქაცარია (52)
ბათუმი: მალაყმაძე, სიჭინავა, პაპიძე, ვერემჩუკი, მ. მახარაძე, კანტიძე, აფხაზავა, გადელია, მაქაცარია, მაქუთაძე, რუსია
*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, მჟავანაძე, ღლონტი, რომანაძე, ყულეჯიშვილი, ნადირაძე
არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა (მ. მაისურაძე 53), დ. კაპანაძე, ვ. გველესიანი, ყოლბაია, ლაცაბიძე, გემეზაშვილი, ხოსროშვილი, კორღალიძე (ქიქავა 67), ტარიელაშვილი, ზირაქიშვილი (ყუფარაძე 83)
*სათადარიგონი:* აბაშიძე, გ. სულაძე, ამირიძე, კაკაშვილი
გაფრთხილება: ყოლბაია (55)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ბ. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში), ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: გ. გვანცელაძე

# ჩლაიძე: ესეც ბიჭი, ესეც ფრე

გიორგი ვაშაკიძე ბათუმიდან

აჭარის დედაქალაში „არსენალმა" ტრადიცია არ დაარღვია და დამსახურებული ქულით გაბრუნდა შინ. ტრადიციაო, იმიტომ ვახსენე, რომ წლეულს „ბათუმს" შინ ოთხ თბილისურ გუნდთან მოუწია პაექრობამ და ვერც ერთხელ ვერ მოიგო.

სანამ თამაშზე მოგახსენებდეთ, გაცნობებთ, რომ თბილისელთა მეკარეს თემურ ჩლაიძეს იმ დილით ვაჟიშვილი შეეძინა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ გახარებულმა და სტიმულმიცემულმა მეკარემ შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა, განსაკუთრებით კი პირველი ტაიმი. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმელთა შეტევებით დაიწყო. ზღვისპირელები მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში უტევდნენ, მაგრამ არც არმიელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მასპინძელთა გუნდში გამორჩეული დათო მაქაცარია გახლდათ. მას რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ჩლაიძე შეუდარებელი იყო. მთლიანობაში კი შეხვედრა თვალსასეირო გამოდგა. მაქაცარიამ, აფხაზავამ და სიჭინავამ წარმატებისთვის ყველაფერი იღონეს, მაგრამ აჭარლებს იღბალი და თემურ ჩლაიძე არ წყალობდათ. მავანი იკითხავს, „ბათუმი" თუ უტევდა, სტუმრები ამ დროს რას აკეთებდნენო. არმიელები კი, როგორც მწვრთნელმა მამუკა გეგეჭკორმა დამოძღვრა, სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, მერე კი სწრაფი ზირაქიშვილის იმედად იყვნენ. ზაზამაც გაამართლა, მეკარესთან ერთად იგი არმიელთა გუნდში საუკეთესო იყო. „არსენალის" ერთ-ერთი კონტრშეტევისას ზირაქიშვილმა ორი მცველი ჩამოიცილა და ყველასთვის მოულოდნელად მალაყმაძეს მოჭრილი დაურტყა, თუმცა მახვილ კუთხეში გაგზავნილი ბურთი ძელს მოხვდა. 40-ე წუთზე კი ზაზამ პენალტს გამოჰკრა ხელი: მარცხენა ფლანგი გრძელი რეიდით განვლო, საჯარიმოში შესული წააქციეს და არბიტრმა ლორთქიფანიძემაც სამართლიანად გაიშვირა ხელი ნიშნულისკენ.

პენალტი უნაკლოდ შესრულებული არ გახლდათ, მაგრამ ყოფილი თანაგუნდელების გასაწყრებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა 0:1

მეორე ნახევარში „ბათუმმა" წაგების საფრთხე იგრძნო და მარწუხებს უფრო მოუჭირა. 52-ე წუთზე მაქაცარიამ სტუმართა მეკარეს მამობის სიხარული ოდნავ გაუქარწყლა — არმიელ მცველებთან ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა, საჯარიმოში მყოფს ჩლაიძე კი ჩაუწვა, მაგრამ დათომ ჭვინტით მეკარისგან მახვილ კუთხეში შეაცურა ბურთი 1:1. ამის მერე გახსნილი თამაში წავიდა, „არსენალი" გოლის გაშვების შემდეგ ერთი ხანობა დაბნეულიც კი ჩანდა, მაგრამ არმიელებს ზირაქიშვილი ჰყავდათ. 56-ე წუთზე იგი ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა, მეკარესაც ააცილა, მაგრამ „ბათუმი" ზვიად პაპიძემ გადაარჩინა, მან ცარიელი კარიდან წაქცეულმა გამოიტანა ბურთი. ახლა უკვე „ბათუმმა" შეუტია და მაქაცარიამ შორიდან უძლიერესად დაარტყა, ჩლაიძე ნახტომში დაეუფლა ბურთს. ბოლო ათ წუთში კი ორივე გუნდის ფეხბურთელებს მოეცარათ ხელი. მე-80 წუთზე მაქაცარიმ შორიდან უძლიერესად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და ჩლაიძეს ჩაუვარდა ხელთ. მერე იგი არმიელებმა წამოიღეს, ზირაქიშვილმა ორი მეურვე მშვენივრად ჩამოიცილა და ყუმბარისებურად დაარტყა, „ბათუმი" ხარიხამ იხსნა. შემდეგ გველესიანი გავიდა მალაყმაძესთან პირისპირ, მაგრამ სუსტი დარტყმა გამოუვიდა და მალაყმაძესაც ბურთის აღება არ გასჭირვებია.

ბოლოს კი ალეკო კანტიძემ სცადა ბედი — მშვენიერი მოჭრილი დარტყმით გულშემატკივრები ააფორიაქა, რომელთა საუბედუროდ, ბურთი ზემოდან გადაევლო ჩლაიძის კარს და პირველი წრეც ორივე გუნდისთვის ამით დამთავრდა.

ქუთაისი
22 ნოემბერი
14 საათი
გივი კილაძე
2 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 4:0 სიონი**

1:0 კ. კვეტენაძე (29), 2:0 იონანიძე (52 პ), 3:0 იმედაძე (70), 4:0 იონანიძე (73 პ)
ტორპედო: ჭანტურია (მამარდაშვილი 73), შეყრილაძე, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, ქებაძე (იმედაძე 46), დ. ჯანაშია (მეგრელაძე 74), ჩხეტიანი, იონანიძე
*სათადარიგო:* ვაჩიბერაძე
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ყიფშიძე, ე. ჯაფარიძე, თ. სამხარაძე (დ. ჯაფარიძე 63), მ. სამხარაძე, ჩალაძე, მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, გაგუა (ჯაგიდისი 46), მოსეშვილი (დალაქიშვილი 73)
*სათადარიგონი:* ქობელაშვილი, ზ. მეტრეველი
გაფრთხილება: იმედაძე (85)
გაძევება: ვოლკოვი (73)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე, მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

# წყალტუბოდან ქუთაისში...

ხვიჩა სანიკიძე ქუთაისიდან

ქარი კი არა, ოდნავი სიოც არ ქროდა კვირას წყალტუბოსა და ქუთაისში. შემოდგომის მზე აცხუნებდა კარგა გვარიანად და, როგორც იტყვიან, მშვენიერი საფეხბურთო ამინდი იყო.

წყალტუბოდან ქუთაისში კი „ტორპედოს" იმედგაცრუებული ქომაგები მოჩქაროდნენ, „გივი კილაძეზე" პირველი ტაიმის მიწურულისას შემოცვივდნენ.

იმ დღეს მეზობელ კურორტ-ქალაქში „სამგურალი" „დინამოს" მასპინძლობდა. ქუთაისელ გულშემატკივართა დიდი ნაწილი წყალტუბოელთა საქომაგოდ წავიდა, მაგრამ დინამოელმა მიხეილ აშვეთიამ თამაშის დაწყებისთანავე ორი ბურთი რომ შეაგდო, ისინი უმალვე უკან გამობრუნდნენ.

„ტორპედო" „სიონთან" რომ მოიგებდა, ეჭვი ბევრს არ ეპარებოდა, მაგრამ თუ საქართველოს მარადი ჩემპიონი წყალტუბოში ვერ იმარჯვებდა, მაშინ ქუთაისელები პირველ ადგილზე აღმოჩნდებოდნენ და შემოდგომის ჩემპიონობასაც დაუმიზნებდნენ, თუმცა ამისათვის 30 ნოემბრის „დინამო" — „კოლხეთის" მატჩში ფოთელებს არ უნდა წაეგოთ. ეს კი რეალურად ესახებოდათ ქუთათურებს.

შეხვედრის შემდეგ „სიონის" თავკაცმა სპარტაკ არჩვაძემ გამომშვიდობებისას ტორპედოელებს უთხრა, გაისად ბოლნისში მოგილოცავთ ჩემპიონობასო. ჩვენთან საუბარში კი აღნიშნა, წლევანდელ გათამაშებაში „ტორპედოს" ყველა გუნდისგან გამოვარჩევ, მართლაც კარგ ფეხბურთს თამაშობსო.

სწორედ ამ დროს წყალტუბოდან მომავალმა საქართველოს ცხრა გზის და მეათე ეროვნულის შემოდგომის ჩემპიონმა ჩაიქროლა ქუთაისის ცენტრალურ მაგისტრალზე და ქუთათურებმაც ნაღვლიანი მზერა გააყოლეს...

ბოლნისელებმა მხოლოდ პირველი ტაიმის ოცდახუთ წუთში შეძლეს ღირსეული პაექრობა გაეწიათ მასპინძლებისთვის, სხვა დრო კი საკუთარ ნახევარზე გაატარეს.

29-ე წუთზე ჯანაშიამ მკერდით შეაგდო ბურთი „სიონის" საჯარიმოში და სანამ კედლად აღმართულ ორ მცველს შუა გაძვრებოდა, კახა კვეტენაძემ ითავა შეტევის გაგრძელება და ბურთი ცხრიანში გაახვია 1:0.

ერთ წუთში ჯანომ პირისპირ გაიყვანა ზურაბ იონანიძე. ზურამ მეკარე ჩამოიცილა, მაგრამ ბურთი ბოლნისელ მცველს მოარტყა.

შესვენებაზე მაყურებელი ახმაურდა. ამის მიზეზი თბილისის „დინამოს" და ვლადიკავკაზის „ალანიას" თილისმა ოთარ მამასახლისი გახლდათ. ოთარმა თავისი შოუ-პროგრამით ბევრი კი აცინა ქუთათური გულშემატკივრები, მაგრამ უცნაური ფაქტის მომსწრენიც გავხდით. მამასახლისმა გასახდელიდან მინდორზე დაბრუნებულ ტორპედოელ შეყრილაძეს ერთი უცნაური ფინტი გაუკეთა და ორივეს თავებიც ერთმანეთს შეეჯახა. აი, მაშინ უნდა გენახათ, რა ხორხოცი ატყდა სტადიონზე. „დინამოსგან" მოგზავნილმა კაცმა კინაღამ მცველი მოგვიკლაო, ხუმრობდნენ ქომაგები. „ტორპედოს" ექიმები ჩაერივნენ საქმეში, სტუმარსაც და შეყრილაძესაც დახმარება აღმოუჩინეს...

მატჩის მეორე ნახევარი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა.

52-ე წუთზე შეყრილაძემ მეტოქის საჯარიმოში გადააწოდა ბურთი ჯანაშიას. ჯანომ წამით დაასწრო ბოლნისელ მცველს ბურთზე ფეხის შეხება და პენალტიც გახერხდა.

ტორპედოელთა ბომბარდირმა იონანიძემ უნაკლოდ შეასრულა დარტყმა 2:0.

ზუსტად ათ წუთში კი იონამ სასწაულებრივად ვერ გაიტანა.

70-ე წუთზე ჯანაშიამ ქუსლით დაუგორა იონანიძეს, იონამ შეყრილაძეს გადააწოდა, რომელმაც არცთუ ძლიერად დაარტყა „სიონის" კარისკენ, მაგრამ ვოლკოვმა უხერხულად მოიგერია და დამატებაზე მახვილი კუთხიდან იმედაძემ ბურთი ბადეში გაახვია 3:0.

სტუმრებმა ცენტრიდან გაითამაშეს და შეტევის ორგანიზება დაიწყეს. ამ მომენტში მათ გოლკიპერს ხელთათმანები გახდილი ჰქონდა და მსაჯს თამაშის გაჩერებას სთხოვდა. მაყურებელიც ღრიალებდა, ბურთი მინდვრის გარეთ გადააგდეთო, მაგრამ „სიონის" ფეხბურთელები აგრძელებდნენ შეტევას. ქუთაისელებმა აართვეს ბურთი მეტოქეს და მარცხენა ფლანგზე სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს. აქ კი საჯარიმოში შეჭრილი ჩხეტიანი მოცელეს და ფანიაშვილმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ტკივილისგან გამწარებულმა ვოლკოვმა უცენზურო სიტყვით მიმართა შეხვედრის არბიტრს და წითელი ბარათიც აუფრიალეს. ჩემი აზრით, მსაჯმა ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა.

ბოლნისელებმა თავდამსხმელ მოსეშვილის ნაცვლად მინდორზე მეკარე დალაქიშვილი შეუშვეს. იონანიძემ მასაც გაუტანა პენალტი და ქუთაისელთა მეცამეტე ნომერმა პირველი წრე ცამეტი გოლით დაამთავრა.

გორი
22 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 3:3 მერანი**

0:1 ქორიძე (20), 1:1 კაიდარაშვილი (49პ), 2:1 გოჩაშვილი (74), 3:1 ციცქიშვილი (80), 3:2 დევიძე (87), 3:3 დავითაშვილი (89პ)
დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, ვლ. სამხარაძე, ლ. გოჩაშვილი, დ. მაისურაძე (ციცქიშვილი 46), მარეხაშვილი, თაყაძე, კაიდარაშვილი, რ. ახალკაცი (ბ. ჩიტაია 46), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, გ. ჩიტაია
მერანი: ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გენაძე (ბაჯელიძე 63), გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (მესხი 77), დავითაშვილი, ხუციშვილი, გ. კვეტენაძე (დევიძე 85)
*სათადარიგონი:* ლომაია, ე. ალადაშვილი, ჯინჭარაული, ივანიშვილი
გაფრთხილება: კვეტენაძე (24), ფეზუაშვილი (65)
გაძევება: ქორიძე (50), თაყაძე (50)
მსაჯები: მ. მალაღურაძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ე.სილაგავა (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

# მოეფერეთ, მოეფერეთ მრთმანეთს!

მამუკა კვანტალიანი გორიდან

რაც დრო გადის, ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატი მით უფრო ემგვანება სასაკლაოს. კაცთმოძულეობა შეპარვიათ ჩვენს კლუბებს. არავითარი კეთილგანწყობა. ერთმანეთს მოსისხლე მტრებივით ეკიდებიან.

ამ დაპირისპირებაში გულშემატკივარიც თამაშობს უდიდეს როლს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენში ქომაგობა სტუმრის დედის გინებით იწყება და ოთხმოცდაათი წუთის მანძილზე არნახულ და არგაგონილ მასშტაბებს აღწევს.

ფეხბურთელები ხისტად მოპყრობას ვერ იტანენ. ყოველი საბრძოლო მომენტი საჯარო განსჯის საგანი ხდება. თუ სიტყვიერად „საქმის გარჩევას" გადავრჩით, ხომ კარგი, არადა, მუშტების ქნევა და თავპირის მტვრევა გარდუვალია.

დაბოლოს, მსაჯები. დღეს რა ობიექტურადაც უნდა განსაჯონ არბიტრებმა მატჩი, მათ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით უმზერენ, ხშირ-ხშირად წამოაძახებენ წარსულის ცოდვებს და მთელი თამაშის მანძილზე გაუსაძლისი წნეხის ქვეშ ჰყავთ.

დაახლოებით ასეთი სურათი დაიხატა კვირას გორში, სადაც ერთმანეთს „დილა" — „მერანი" დაუპირისპირდნენ. გორელმა გულშემატკივარმა სტუმართა მოთამაშეებს აგინა. ვალში არც ფეხბურთელები დარჩენილან. სტუმარმა ქორიძემ და მასპინძელმა თაყაძემ თამაშში ერთმანეთს „ურქინეს" და შეხვედრა ორივემ ნაადრევად დაასრულა. ბოლოს მაყურებელი მსაჯებს აუხირდა, აქაოდა, გუნდები დასაშვებზე მეტხანს რად ათამაშეო.

დავიწყოთ თავიდან. გულშემატკივარი იმისია, საყვარელ გუნდს თავდადებულად უქომაგოს. ეს მაინცდამაინც სტუმართა გინებით როდი გამოიხატება. კი, ბატონო, უცხოეთში უარესებიც ხდება, მაგრამ იქ საერთო ორომტრიალში ფეხბურთელს არაფერი ესმის. ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, არ გაიგოს. მთელი არსებით თამაშშია ჩართული და იმიტომ.

ფეხბურთელი ვალდებულია, გულშემატკივრის წამოძახილს ყური არ უგდოს. თუმცა, დამეთანხმებით, ძნელია, კაცმა საათნახევრის განმავლობაში გამზრდელის „ლოცვა-კურთხევათა" ნაირ-ნაირი ვარიაციები ითმინო მაშინ, როცა ხედავ, რომ კაცი უმიზეზოდ გაგინებს და შენგან ათიოდ მეტრი აშორებს. მიუხედავად ამისა, მაყურებელთან დაუსრულებელ პოლემიკას გამართლება არა აქვს.

ფეხბურთი რომ საკმაოდ კონტაქტური სპორტია, რა დიდი ფიცი-მტკიცი ამას უნდა. მაშ, რატომ გაუკვირდა გელა ქორიძეს ხისტად რომ ეთამაშებოდნენ, გაუგებარია. მით უმეტეს, როცა სტუმართა ნახევარდაცვის ბურჯს თამაში მისდიოდა და მისი გაუვნებელყოფა გორელებს მეტად უჭირდათ. ქორიძემ 50-ე წუთზე მოედნის შუაგულში თაყაძესთან ორთაბრძოლისას ნერვები ვერ მოთოკა, ახალგაზრდა კოლეგას ჯერ შეეპასუხა, გორელმა ხურდა დაუბრუნა, მერე კი თავი სახეში ჩაარტყა. არც ამაზე დაიხია უკან თაყაძემ და სტუმარს ალიყური უთავაზა. მოჩხუბართა დაშოშმინებას გვარიანი დრო დასჭირდა.

მართალია, „დილამ" თამაში სათავისოდ შეატრიალა, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ დროში ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგა და ლამის გამარჯვებული მხოლოდ ქულას დასჯერდა. მაშინ დადგა სწორედ მსაჯთა განკითხვის საათი. ისეც გორის პოლიციამ ივაჟკაცა, თორემ მალაღურაძეს და კომპანიას ძალიან ცუდი დღე დაადგებოდათ. ერთმა მაინც მოახერხა „კორდონს" თავი დააღწია და გასახდელში შემავალ მალაღურაძეს გაენთო. ბოროტი ენები ამბობდნენ, დაარტყა კიდეცო, მაგრამ რაც ვერ დავინახე, იმის მტკიცებას ვერ მოვყვები. თავად მსაჯმა თქვა, არ დაურტყამს, მხოლოდ ეცადაო.

მერაბ მალაღურაძეს დიახაც ჰქონდა საბაბი, ძირითადი დროისთვის რამდენიმე წუთი წაემატებინა. ზემოაღნიშნულ ჩხუბზე რომ არა ვთქვათ, იყო რამდენიმე ისეთი ტრავმა, როცა მსაჯმა, ალბათ წამზომი გააჩერა. მალაღურაძის წამზომს კი ჩემი მაჯის საათით ვერ შევამოწმებდი. ის კი ვიცი, რომ ოთხმოცდაათი რომ ამოიწურა, იმის შემდეგ თამაში კიდევ 13 წუთს გაგრძელდა, მაგრამ ზოგიც მალაღურაძეს და მის წამზომს ვკითხოთ.

სხვა მხრივ გორელები მსაჯს ვერაფერს შეედავებიან. მალაღურაძე თუ არ მიხმარებია, არც არაფერი დაუშავებია მასპინძლებისთვის. ერთიცაა, ფედერაციას და მსაჯებს ბევრი რამის გადაფასება მოუწევთ, თორემ უკვე მოსაწყენი და აზრზენიც კია ყველა თამაშზე ფედერაციისა და მსაჯთა გინებების სმენა, რასაც სტადიონიდან „შავოსანთა" თუ „ჭრელთა" ესკორტით გაცილება თუ გაპარება მოსდევს.

შეიძლებოდა თამაშში გასული ექვსივე გოლი აღმეწერა მკითხველისთვის, მაგრამ ამ თამაშმაც გარკვეული ეჭვები დაბადა. ჩურჩულებდნენ კიდეც ირგვლივ, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთების გარეშე ეჭვები რა თავში ვიხალოთ. ამიტომ უმჯობესია, თავი შევიკავოთ და ყველას გასაგონად ვთქვათ, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, საკუთარი გუნდის ავან-ჩავანი გაითავისოს და პრეტენზიებიც მერე წამოაყენოს.

მცხეთა
23 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:0 ოდიში**

1:0 მაზიაშვილი (56)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე, ჯ. მუჯირი, მაზიაშვილი (დვალიშვილი 90), ი. კაპანაძე, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ა. ბოკერია (აბაზაძე 78), გ. გვაზავა (ვ. გოჩაშვილი 34)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, თ.ბოკერია, დ.დოლიძე, ვ. ქუთათელაძე
ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე (კაკულია 69), იოსავა, აკობია, ტაბალუა, კუტალია, მარკოზია, თოლორდავა, აფაქიძე
*სათადარიგონი:* გოგია, მებონია
გაფრთხილება: აფაქიძე (33), ნაყოფია (58), ღურწკაია (61)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი), გ. ასკაროლლი (ქარელი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

# ოდიში პრეზიდენტს ეძებს

— „ოდიში" ერთი უპატრონო და მიტოვებული გუნდია. მისი გამკითხავი კაცი არ არის. გუნდის პრეზიდენტი ნანავა დაიკარგა, გენო ქარდავა კი კლუბის სახელით სხდომებზე გამოდის და ათას სისულელეს ამბობს. გუნდი შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა. „ოდიშის" დაშლას წინ არაფერი უდგას, ასეთი ფეხბურთი არავის სჭირდება — განაცხადა მატჩის შემდეგ ოდიშართა თავკაცმა სოსო ჭედიამ.

მატჩამდე კი ზუგდიდელებმა გვარიანად ანერვიულეს „არმაზზე" შეკრებილი ფედერაციის წარმომადგენლები — თამაშის დაწყების დრო ახლოვდებოდა, „ოდიში" კი არ ჩანდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ზუგდიდის მერიას შეპირებული ავტობუსი არ გამოუყვია გუნდისთის.

პრობლემა ფეხბურთელებს და მწვრთნელებს მოუგვარებიათ და ზუგდიდიდან დილის ხუთ საათზე გამოსული გუნდი თამაშზე ხუთი წუთის დაგვიანებით გამოცხადდა. შესაბამისად მატჩის დაწყების დროც 25 წუთით გადაიწია. სოსო ჭედიასი არ იყოს, მართლაც ვის სჭირდება ასეთი ფეხბურთი, ან იმას რა ვუყოთ, ამ ბოლო დროს უპატრონო გუნდები ერთობ, რომ მოგვიმრავლდა.

ცოტა რამ მატჩზეც ვთქვათ. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ პირდაპირ ავტობუსიდან მოედნზე გასული გუნდისგან განსაკუთრებულს არავინ ელოდა, მაგრამ ზუგდიდელებმა ტოლი არ დაუდეს მეტოქეს და მხოლოდ თანაბარ ბრძოლაში დამარცხდნენ.

ვიტელებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს, მაგრამ სტუმრებმა კონტრშეტევით მწვავედ უჩხვლიტეს მეტოქეს და თამაშიც ძირითადად მოედნის ცენტრში გაჩაღდა. შემდეგ კი მენთეშაშვილი გააქტიურდა მასპინძელთა რიგებში და სტუმართა კართან მისი წყალობით რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, თუმცა ანგარიში არ გახსნილა. ტაიმის ბოლოს ვიტელებს სტუმართა კონტრშეტევა გაეპარათ — კუტალიამ გამოზომილი პასით ტაბალუა შეატოვა ჭურაძეს — უიმედო მდგომარეობაში მყოფი მეკარე მაზიაშვილმა დააზღვია და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ნახევრის საწყის ხუთ წუთში გუნდებმა მომენტები გაცვალეს. ჯერ ჯაბუას სახიფათო ჯარიმა მოიგერია ჭურაძემ, შემდეგ გოჩაშვილმა მკერდით დაუგდო ბურთი ნოზაძეს, მისი დარტყმის შემდეგ კი ნაყოფიამ გაჭირვებით იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. ბურთი მაინც გავიდა, თანაც ერთობ მოულოდნელად — 55-ე წუთზე თოლორდავამ ორმოცი მეტრიდან დაარტყა ბურთი, კარიდან წინ გამოსულმა ჭურაძემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. იქიდან ჩაწოდებულს თოლორდავა დაუხვდა, ჭურაძემ ამჯერადაც ივარგა. საპასუხო შეტევის დროს კი ვიტელთა სამსვლიანი კომბინაცია გოლით დამთავრდა — ოცდახუთი მეტრიდან ძლიერი დარტყმით მაზიაშვილმა შანსი არ დაუტოვა სტუმართა მეკარეს. ამის შემდეგ ორივე გუნდს შეეძლო გატანა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. ბოლო წუთზე კუტალიას ეფექტური დარტყმა ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს. ამას მსაჯის საფინალო სასტვენი მოჰყვა, მერე კი სოსო ჭედიამ თქვა ის, რაც თავში მოგახსენეთ.

# მარადისობის კანონი

## ინგლისი

### XIV ტური

**ევერტონი 1:0 ნიუკასლი**

1:0 ბოლი (183)

ევერტონი: მირე, ბოლი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ჰაჩისონი, შორტი, გრანტი, ბაკაიოკო (მილიგანი 77), დუნე, კადამარტერი (ჯეფერსი 90)

ნიუკასლი: გივენი, ბარტონი (ჰამანი 69), სერანტი (ალბერი 45), ბეტი, შარვე, დაბიზასი, ლი, გილესპი, ანდერსონი, დალგლიში (ბრედი 61), სპიდი

გაფრთხილება: ბარტონი, სერანტი, დუნე, ლი, შარვე, კადამარტერი

მსაჯი: ბერი

**დერბი 0:2 ვესტ ჰემი**

0:1 ჰართსონი (7), 0:2 კელერი (72)

დერბი: პოომი, კარბონარი (ჰარპერი 63), პაუელი (ერანიო 87), დორიგო, სტარიჯი, ვანჩოპე, დელაპი, ბოჰინენი, ლაურსენი, პრაიორი, ბაიანო (კერსლი 13)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფერდინანდი, პირსი, რადოკი, ლომასი, ლამპარდი, სინკლერი, ბერკოვიჩი, კელერი (პოტსი 87), ჰართსონი, კიტსონი

გაფრთხილება: ლაურსენი, კერსლი, ფერდინანდი

მსაჯი: ვილკი

**ასტონ ვილა 2:4 ლივერპული**

0:1 ინსი (2), 0:2 ფაულერი (7), 1:2 დაბლინი (47), 1:3 ფაულერი (58), 2:3 დაბლინი (63), 2:4 ფაულერი (66)

ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი (ჯოაკიმი 75), საუთგეიტი, ეჰიოგუ, უოტსონი (ჩარლზი 86), დრეპერი (ტომპსონი 51), კოლიმორი, მერსონი, დაბლინი, ბერი, ჰენდრი

ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, ბები, ფაულერი, ოუენი (ფრიდელი 78), რედნაპი, ჰერკნესი (ბიორნებიე 12), ჰეგემი, ბერგერი (მაკატირი 63), ინსი, კარაგერი

გაფრთხილება: კოლიმორი, რედნაპი, ჯეიმსი, ბები

გაძევება: კოლიმორი (68)

მსაჯი: ჯონსი

**ბლექბერნი 0:2 საუთჰემპტონი**

0:1 ოუკლი (4), 0:2 ბეშემი (89)

ბლექბერნი: ფილანი, კენა, შერვუდი, პიკოკი (დევისი 73), ჰენჩოსი, გალაჰერი, დაფი, ბლეიკი, ჯონსონი, კროფტი (მარკოლინი 53), დეილი

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, პალმერი, ოუკლი (ბრიჯი 63), ჰიუზი, ოსტენსტადი (ბეშემი 73), დრაიდენი, რიპლი, ბენალი, ბიტი (კეჩლოული 89), ჰილი

გაფრთხილება: მარკოლინი, დრაიდენი, ჰილი

მსაჯი: დანი

**ლიდსი 4:1 ჩარლტონი**

1:0 ჰასელბაინკი (34), 2:0 ბოუიერი (51), 2:1 მორტიმერი (65), 3:1 სმიტი (67), 4:1 კიუელი (87)

ლიდსი: მარტინი, ჰიდენი, ვუდგეიტი, მოლენარი, ჰარტი, ჰალე, ჰოფკინი, ბოუიერი, კიუელი, ვაინჰარდი (სმიტი 59), ჰასელბაინკი

ჩარლტონი: ილიჩი, მილსი (მორტიმერი 58), პაუელი, რუფუსი, ტილერი, იუდსი, რედფერნი, კინსელა (კ. ჯონსი 76), რობინსონი, ჰანტი (ს. ჯონსი 68), მენდონკა

გაფრთხილება: ჰიდენი, ვაინჰარდი, ბოუიერი, იუდსი, მილსი

მსაჯი: ჰარისი

**ლესტერი 2:4 ჩელსი**

0:1 ძოლა (28), 0:2 პოიეტი (39), 1:2 იზეტი (40), 1:3 ფლო (56), 2:3 გაპი (60), 2:4 ძოლა (90)

ლესტერი: კელერი, სევიჯი (კემპბელი 55), ალსორნი, სინკლერი, ელიოტი, უოლში, იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი, ფენტონი (ოუქსი 68), გაპი

ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, გოლტბეკი (დიუბერი 65), პოიეტი, ლესო, დი მატეო, ფერერი, ფლო, ძოლა

გაფრთხილება: სინკლერი, დე გუი

მსაჯი: დარკინი

**ტოტენჰემი 2:0 ნოტინგემი**

1:0 არმსტრონგი (59), 2:0 ნილსენი (69)

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი (კლემენსი 77), ნილსენი, ანდერტონი, არმსტრონგი (ალენი 83), ედინბურგი (სინტონი 65), ჟინოლა, სკეილზი, ივერსენი, კემპბელი

ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი, ქუეში, ჩეტლი, ჰილდე, სტოუნი, ჯემილი, ბარტ-უილიამსი, ფრიდმენი (ბონალაირი 54), არმსტრონგი (ედვარდსი 46), ვან ჰოიდონკი

გაფრთხილება: ნილსენი, სტოუნი, ვან ჰოიდონკი, ჯემილი

გაძევება: სტოუნი (46)

მსაჯი: ლოჯი

**შეფილდი 3:1 მანჩესტერი**

1:0 ალექსანდერსონი (14), 1:1 კოული (29), 2:1 იონკი (55), 3:1 ალექსანდერსონი (73)

შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ბუსი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი, ალექსანდერსონი, სონერი

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი (ბრაუნი 66), სტამი, ბექემი, კოული, ფ. ნევილი, ბლომკვისტი (ბატი 58), კინი (სოლსკიაერი 83), სქოულზი, იორკი

გაფრთხილება: იონკი, სქოულზი

მსაჯი: ელერეი

**მიდლსბრო 2:0 ქოვენთრი**

1:0 გორდონი (66), 2:0 რიკარდი (83)

მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა (მედისონი 49), დინი, ბეკი, თაუნსენდი, რიკარდი, სამერბელი, სტოკდეილი, კუპერი

ქოვენთრი: ჰედმენი, ნილსონი, ედვორსი, უილიამსი, შოუ, ტელფერი, კლემენტი, მაკალისტერი, ჰაკერბი (ჯექსონი 69), ვილანი, ფროგატი

გაფრთხილება: კუპერი, დინი, უილიამსი, მაკალისტერი, ვილანი, ჰაკერბი

მსაჯი: ვილარდი

**უიმბლდონი 1:0 არსენალი**

1:0 ეკოკუ (77)

უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ერლი, გეილი (ეკოკუ (73), ლიბერნი, ჰიუზი, იუელი, ეინსვორსი (ერდლი 73)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერნბერნი, ვიეირა (ჰიუზი 20), ადამსი, ანელკა, ბერხკამპი (ვრე 37), ოვერმარსი (ლიუნგბერგი 72), კიოუნი, პარლოუ, პეტი

გაფრთხილება: ლიბერნი, პერი, თეთჩერი, ჰიუზი, უინტერნბერნი, ადამსი

მსაჯი: ვილი

ამქვეყნად მარადიული არაფერია. მათ შორის არც „ასტონ ვილას" დაუმარცხებლად წინსვლა და არც ერთ დროს დიდი „ლივერპულის" კრიზისი. ისინი შაბათს შეხვდნენ ბირმინგემის მომხიბვლელ „ვილა პარკზე" და სტუმრებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს მარადისობის კანონის არარსებობა.

მე-7 წუთი მიმდინარეობდა, ტაბლოზე მეორედ რომ შეიცვალა ანგარიში — ფაულერმა იყოჩაღა. მანამდე კი მაიკლ ოუქსი შერეკილმა ზანგმა პოლ ინსმა დატოვა მშრალზე. სრულიად ბირმინგემი იყო შოკში, განსაკუთრებით მოედანზე მყოფი მისი ნაწილი, ვინაიდან მე-12 ადგილზე მყოფი გუნდისგან, თუნდაც ეს „ლივერპული" იყოს, ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა.

„ასტონ ვილას" შოკიდან გამოსვლაში შესვენებაზე ჯონ გრეგორის დარიგებებმა უშველა. მასპინძლებმა ულიეს ბიჭებს გონს მოსვლა არ აცალეს, ისე გაუტანეს ერთი საპასუხო გოლი — დიონ დაბლინი იყო უნაკლო. თუმცა სულ რაღაც 9 წუთში შეუჩერებელმა ფაულერმა დაამტკიცა, რომ ფეხის უმძიმესი ტრავმით გამოწვეული შვიდთვიანი პაუზა და მასთან დაკავშირებული პრობლემები უკვე დაივიწყა და დროა მაიკლ ოუენზე ყურადღებაგადატანილმა მცველებმა ცოტა მისკენაც გაიხედონ — 1:3.

კვლავ გაუჭირდა „ასტონ ვილას" და კვლავ დაბლინმა უშველა მას — ბირმინგემელთა ახალწვეულმა გრეგორის გუნდში ჩატარებულ მესამე შეხვედრაში მეშვიდე გოლი გაიტანა. მართლაც ფენომენალური შედეგია.

კვლავ დაიძაბა მდგომარეობა და იგი კვლავ ფაულერმა განმუხტა — ჰეთ-თრიქი შეასრულა.

ასეთი რეაქტიული სისწრაფით განვითარდა მოვლენები მეორე ტაიმის დასაწყისში, რის შემდეგაც, ისევე როგორც ქარიშხლის მერე, „ვილა პარკზე" სიმშვიდემ დაისადგურა. ანგარიში აღარ შეცვლილა და „ლივერპულმაც" ძალიან ლამაზი, დროული გამარჯვება მოიპოვა.

ამ მატჩზე საუბარი შეიძლებოდა აქვე დაგვესრულებინა, მაგრამ...

პირველი — დიონ დებლინს, რობი ფაულერის მსგავსად ჰეთ-თრიქის შესრულება შეეძლო, თუმცა მან თერთმეტმეტრიანი მთლად კარგად ვერ შეასრულა — დევიდ ჯეიმსმა აჯობა.

მეორე — 1997 წლის მაისში ორი პრემიერლიგური გუნდის სატრანსფერო გრაფაში სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდა, რომლის თავიდათავი სტენ კოლიმორი იყო. „ასტონ ვილამ" ამ ფეხბურთელში „ლივერპულს" 7 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ამხელა თანხა ბირმინგემულ კლუბს ჯერ არავისთვის გადაუხდია, ისევე როგორც „ლივერპულს" არ მიუღია ანმდენი არავისგან.

ჰოდა, ადგა ეს „ოქროს ბიჭი" შაბათს და მინდორზე ისეთი ამბები დაატრიალა, თვით გაზასაც კი შეშურდებოდა. ჯერ იყო და საკუთარ კარში მიღებული ორი მოულოდნელი გოლით განაწყენებულმა სტივ ჰერკნესს ისე ჩაარტყა, საცოდავი საკაცით გაასვენეს. შემდგომში გაირკვა — ლივერპულელს მუხლის მყესები აქვს დაწყვეტილი და უახლოეს მომავალში სიარულსაც კი ვერ შეძლებს.



ასტონ ვილა — ლივერპული. რობი ფაულერი და ალან რაიტი (№3) ბურთისთვის იბრძვიან

REUTERS ბირმინგემიდან

იმ ეპიზოდში, მე-9 წუთზე, მსაჯმა კოლიმორს ყვითელი ბარათი აკმარა — მაინც მასპინძელი გუნდის ლიდერთან ჰქონდა საქმე. აი, 68-ზე კი ყვითელი ბარათი წითლად იქცა. ამჯერად კოლიმორს მყესები არავისთვის დაუწყვეტია, უბრალოდ, ინგლისელთა თვალის ჩინს, ყმაწვილ ოუენს ისე უდიერად მოექცა, უბანში მდგომი ძველი ბიჭები რომ ექცევიან სოლფეჯიოდან შინ მიმავალ მეზობლებს.

შეხვედრის შემდეგ კოლიმორი ჟურნალისტებთან თავს იმართლებდა, ნერვები მქონდა საშინლად მოშლილი, ჩემი მისამართით გამოსროლილი რასისტული ფრაზა გავიგე რამდენჯერმე და თავი ველარ შევიკავეო.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კი განაცხადა, ყველაფერი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი, მასალებს კარგად შევისწავლით და დამნაშავეს საკადრისად დავსჯითო.

მესამე — „ასტონ ვილამ" მიმდინარე სეზონში პირველად წააგო, მაგრამ მიუხედავად მარცხისა, კვლავ ლიდერია.

ამ ჩამონათვალში პუნქტი „მესამე" ნაღდად არ იქნებოდა, „მანჩესტერ იუნაიტედს" „ჰილსბოროზე" „შეფილდისთვის" ერთი ბურთის სხვაობით მაინც რომ მოეგო. თუმცა მოგებას ვინლა ჩივის, ფერგიუსონის შეგირდებმა სამარცხვინოდ წააგეს 1:3.

მასპინძლებს შაბათამდე ჩატარებულ 10 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მოეგოთ, სტუმრები კი ლიდერობისთვის იბრძოდნენ და საკმაოდ დამაჯერებლადაც, მაგრამ ფეხბურთი რომ სიურპრიზებით სავსე თამაშია (განსაკუთრებით ეს ინგლისს ეხება) და ბურთი რომ მრგვალია, ყველას კარგად მოგეხსენებათ.

დაბერდა პეტერ შმაიხელი. ამას იგი ცოტა ხნის წინ თავადაც მიხვდა და ჟურნალისტებს უთხრა, სეზონი დასრულდება თუ არა, მანჩესტერს დავტოვებო. მაგრამ აქ მეორე საკითხიც არის — ხომ არ დალუპავს ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი გოლკიპერი ამ სეზონის დასრულებამდე თავისიანებს? სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს, ამის კეთება შმაიხელმა უკვე დაიწყო.

ალბათ, არ ეგონა ნიკლას ალექსანდერსონს, მე-14 წუთზე მისი დარტყმული ბურთი კარში თუ აღმოჩნდებოდა, ბურთი ხომ პირდაპირ დანიელი მეკარისკენ გაფრინდა, თუმცა შმაიხელს დაახლოებით იგივე დაემართა, რაც გასულ ოთხშაბათს ბრაზილიელებთან შეხვედრაში რუსების კარის დარაჯ ნოვოსადოვს — ბურთი ხელიდან გაუვარდა და ანგარიშიც გაიხსნა.

კი გაქვითა რამდენიმე წუთში ენდი კოულმა, მაგრამ სტუმრები, ეტყობა, მთლიანად ჩემპიონთა ლიგის მომავალ მატჩზე არიან გადართულნი „კამპ ნოუზე" „ბარსელონასთან" და კიდევ ორი გოლი ისე გაუშვეს, თვალიც არ დაუხამხამებიათ.

სატურნირო ცხრილში ერთმანეთს გამაღიზიანებლად ცუდად და ჩინებულად მოთამაშე „არსენალი" და „ჩელსი" მიუახლოვდნენ და სავსებით მოსალოდნელია, სულ მალე ერთმანეთს გვარიანად დაშორდნენ. ჩემპიონს 14 შეხვედრიდან 24 ქულა აქვს, თასების თასის მფლობელს კი 12-დან 23. ამასთან, როგორც უკვე ვთქვით, ლონდონელი „მეთოფეები" ველარ ირჯებიან ძველებურად. აი, ბოლო ტურში „უიმბლდონთან" დამარცხდნენ, თანაც ისე, რომ გოლი კვლავ ვერ გაიტანეს. მათი თანაქალაქელი არისტოკრატები კი ქვას ქვაზე არ ტოვებენ და ჯიქურ მიიწევენ ბოლოს 43 წლის წინ დაპყრობილი მწვერვალისკენ.

დაბოლოს, როგორც იქნა გაიმარჯვა „საუთჰემპტონმა". გაიმარჯვა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიხარა — ამ ამბავს ხომ მისი მსხვერპლის „ბლექბერნ როვერსის" თავკაცის როი ჰოჯსონის უმუშევრად დარჩენა მოჰყვა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ (1995 წელს) ინგლისის ჩემპიონი კლუბი სამარცხვინო ბოლო ადგილზე დატოვა.

არც ჰოჯსონია მარადიული.

**დავით ძოვზირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 13 | 8 | 4 | 1 | 20:10 | +10 | 28 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:8 | +5 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | +5 | 12 |
| 2 | მანჩესტერი | 13 | 7 | 4 | 2 | 27:14 | +13 | 25 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:6 | +12 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 |
| 3 | არსენალი | 14 | 6 | 6 | 2 | 14:6 | +8 | 24 | 7 | 4 | 3 | 0 | 10:2 | +8 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 9 |
| 4 | ჩელსი | 12 | 6 | 5 | 1 | 21:12 | +9 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | +7 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | +2 | 9 |
| 5 | ლიდსი | 14 | 5 | 8 | 1 | 20:11 | +9 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | +7 | 14 | 7 | 1 | 6 | 0 | 10:8 | +2 | 9 |
| 6 | ვესტ ჰემი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:15 | +3 | 23 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | +2 | 12 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | +1 | 11 |
| 7 | მიდლსბრო | 14 | 5 | 7 | 2 | 23:16 | +7 | 22 | 7 | 3 | 4 | 0 | 12:5 | +7 | 13 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 0 | 9 |
| 8 | უიმბლდონი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:22 | -4 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | +3 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:14 | -7 | 8 |
| 9 | ლივერპული | 14 | 5 | 4 | 5 | 24:19 | +5 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 13:10 | +3 | 9 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | +2 | 10 |
| 10 | ტოტენჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:21 | -3 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 11 | დერბი | 14 | 4 | 6 | 4 | 14:14 | 0 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 0 | 9 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 |
| 12 | ლესტერი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 6 |
| 13 | ჩარლტონი | 14 | 3 | 7 | 4 | 21:21 | 0 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:6 | +6 | 9 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:15 | -6 | 7 |
| 14 | ნიუკასლი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:18 | -2 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | +1 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | -3 | 5 |
| 15 | შეფილდი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:14 | -1 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:3 | +4 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 4 |
| 16 | ევერტონი | 14 | 3 | 6 | 5 | 8:14 | -6 | 15 | 7 | 1 | 4 | 2 | 2:5 | -3 | 7 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 8 |
| 17 | ქოვენთრი | 14 | 4 | 2 | 8 | 12:20 | -8 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 10 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 4 |
| 18 | ნოტინგემი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:22 | -12 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:7 | -3 | 6 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:15 | -9 | 4 |
| 19 | საუთჰემპტონი | 14 | 2 | 4 | 8 | 12:30 | -18 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:16 | -7 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:14 | -11 | 5 |
| 20 | ბლექბერნი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:22 | -8 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 10 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| რაიტი (ვესტ ჰემი) | 7 |
| იორკი (მანჩესტერი) | 7 |

**XV ტური**

28 ნოემბერი

ჩარლტონი - ევერტონი
ჩელსი - შეფილდი
ქოვენთრი - ლესტერი
მანჩესტერი - ლიდსი
ნიუკასლი - უიმბლდონი
ნოტინგემი - ასტონ ვილა
საუთჰემპტონი - დერბი
ვესტ ჰემი - ტოტენჰემი

29 ნოემბერი

არსენალი - მიდლსბრო
ლივერპული - ბლექბერნი

## პირველი დივიზიონი

### XX ტური

**ვულვზი 3:1 ბირმინგემი**

0:1 ფარლონგი (21), 1:1 ნეილორი (72), 2:1, 3:1 რობინსონი (80, 89)

**ბრისტოლი 1:1 სტოკპორტი**

1:0 თორპი (43), 1:1 ეინჯელი (53)

**ბერი 1:0 გრიმსბი**

1:0 ლუკეტი (47)

**ჰადერსფილდი 2:1 ბრედფორდი**

0:1 ბლეიკი (18), 1:1 ბარნსი (70), 2:1 ჯონსონი (72)

**იფსვიჩი 0:1 ბოლტონი**

0:1 ტეილორი (90)

**ოქსფორდი 2:1 პორტ ვეილი**

1:0 უინდასი (6პ), 2:0 პაუელი (13), 2:1 მაკგლინჩი (29)

**პორტსმუთი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჰიუზი (1), 1:1, 2:1 ნაითინგეილი (38, 55)

**ქუინზ პარკი 1:2 შეფილდი**

0:1 სტიუარტი (12), 0:2 კაჩურო (30), 1:2 პიკოკი (49პ)

**სანდერლენდი 2:3 ბარნსლი**

0:1 უორდი (33), 0:2 დაიერი (46), 1:2 სკოტი (63პ), 2:2 ქუინი (72), 2:3 ბერნარდი (82პ)

**სვინდონი 2:0 კრისტალ პალასი**

1:0 ნდა (22), 2:0 უოლტერსი (46პ)

**ტრანმერი 1:3 ნორვიჩი**

0:1 ონილი (10), 0:2 ბელამი (39), 1:2 აირონსი (50), 1:3 რობერტსი (83)

**უოტფორდი 4:2 ქრიუ**

1:0 ნოელ-უილიამსი (39), 2:0 ბეიზლი (44), 3:0 რაიტი (45), 3:1 ჯეკი (66), 4:1 ნოელ-უილიამსი (69), 4:2 ლიტლი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 19 | 11 | 7 | 1 | 44:15 | 40 |
| უოტფორდი | 20 | 10 | 5 | 5 | 35:29 | 35 |
| იფსვიჩი | 19 | 10 | 5 | 4 | 26:11 | 35 |
| შეფილდ იუნ. | 20 | 9 | 6 | 5 | 33:29 | 33 |
| ნორვიჩი | 18 | 9 | 5 | 4 | 30:22 | 32 |
| ჰადერსფილდი | 20 | 9 | 5 | 6 | 28:29 | 32 |
| ბირმინგემი | 19 | 9 | 5 | 5 | 25:17 | 32 |
| ბრედფორდი | 19 | 9 | 4 | 6 | 35:22 | 31 |
| ვულვზი | 19 | 8 | 5 | 6 | 27:18 | 29 |
| ბოლტონი | 18 | 7 | 7 | 4 | 34:29 | 28 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 8 | 3 | 8 | 37:35 | 27 |
| კრ. პალასი | 17 | 8 | 2 | 7 | 28:28 | 26 |
| გრიმსბი | 19 | 7 | 5 | 7 | 23:22 | 26 |
| ბერი | 20 | 6 | 6 | 8 | 15:20 | 24 |
| სვინდონი | 20 | 6 | 5 | 9 | 29:33 | 23 |
| ბარნსლი | 20 | 5 | 8 | 7 | 25:29 | 23 |
| სტოკპორტი | 19 | 4 | 11 | 4 | 24:25 | 23 |
| პორტსმუთი | 20 | 5 | 6 | 9 | 29:33 | 21 |
| ტრანმერი | 19 | 4 | 9 | 6 | 24:29 | 21 |
| პორტ ვეილი | 20 | 6 | 3 | 11 | 22:38 | 21 |
| ოქსფორდი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:34 | 20 |
| ქუინზ პარკი | 19 | 5 | 3 | 11 | 18:29 | 18 |
| ბრისტოლი | 20 | 3 | 7 | 10 | 28:45 | 16 |
| ქრიუ | 19 | 2 | 5 | 12 | 21:41 | 11 |

# მზადება შურისძიებისთვის

## გერმანია

XIV ტური

### გლადბახი 3:1 ფრაიბურგი

0:1 ვასმერი (3), 1:1 კლინკერტი (17), 2:1 ჰაგნერი (33), 3:1 პოლსტერი (48)

მიონხენგლადბახი: ენკე, აიხინი, ანდერსონი, კლინკერტი, ვინშოფი (სოპიჩი 80), მ. შნაიდერი, ჰაგნერი, კეტელაერი, პფლიპსენი, ვიტეჩეკი, პოლსტერი (პეტერსონი 74)

ფრაიბურგი: გოლცი, ჰოფმანი (შუმანი 77), ჰერმელი, შ.მიულერი, კობიაშვილი, ფრონცეკი, რიტპიჩი (გიუნეში 68), პავლინი, ბაია, ბენ სლიმანი, ვასმერი (სელიმი 46)

გაფრთხილება: აიხინი, ბენ სლიმანი, ფრონცეკი, კობიაშვილი, სელიმი

მსაჯი: ვაკი

### ჰერტა 1:0 ბაიერნი

1:0 პრეეტცი (68)

ჰერტა: კირალი, რეკდალი, ჰ. ჰერცოგი (სვერისონი 6), ვაიტი, ვან ბურიკი, ტრეჩოკი, მანდრეკო (დარდაი 46), კოვაჩი, ვოში, პრეეტცი, ჩამი (ჰარტმანი 59)

ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი, ჰელმერი, იერემისი (ბასლერი 67), ლისარასუ, ფინკი, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი (ელბერი 61), ციკლერი (იანკერი 75), დაეი

გაფრთხილება: იერემისი, კანი, სალიჰამიჯიჩი

გაძევება: ვან ბურიკი (58)

მსაჯი: კემლინგი

### შტუტგარტი 1:1 ჰანზა

1:0 ლისტეში (22), 1:1 ბრაიტკროიცი (61)

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ვერლაატი, შნაიდერი, ცაიერი (ტ.როსტი 81), სოლდო, კელერი, ლისტეში, ბალაკოვი, ბობიჩი, აკპობორი (რისტიჩი 81)

ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, იასერი, ელერსი (დოვე 46) ლანგე, მაიაკი, ბრაიტკროიცი (ევენი 87), ნოივილი (ჰოლეჩეკი 90), ფუქსი

გაფრთხილება: შნაიდერი, ელერსი, იასერი

მსაჯი: კრუგი

### მიუნხენი 0:0 ჰამბურგი

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, კურცი, ვანენბურგი, გრაილიხი, სტევიჩი, ზელიჩი, ჩერნი (ბორიმიროვი 61) ოუაკილი (ჰელდტი 46), მალცი, ვინკლერი, ჰობში (შროტი 59)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, ფოგელი, ჰერჩი, შტრაუბე, გროთი, შპიორლი (ბაბატცი 82), იეპსენი (დემბინსკი 67), გრავესენი (ბიოგერი 72), იებოა, დალინი

გაფრთხილება: კურცი, ვანენბურგი, ვინკლერი, გრავესენი, ჰერჩი, იებოა

მსაჯი: მერკი

### ლაუტერნი 1:0 დორტმუნდი

1:0 რაიხი (77)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, სამირი, რამზი, როოსი, რიდლი, რაიხი (ბალაკი 84), ბუკი (ჟუნიორი 46), ხრისტოვი, მარშალი, როსლერი (რიშე 70)

დორტმუნდი: კლოსი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი, კ. ბაუმანი (ტიმი 86), ფროინდი, დედე, რიკენი (ჰესლერი 79), მიოლერი, ბარბარესი, სალუ (შაპუიზა 59)

გაფრთხილება: მარშალი, როოსი, სფორცა, ბარბარესი, დედე, ფროინდი, სალუ

მსაჯი: ალბრეხტი

### ბოხუმი 1:5 ლევერკუზენი

0:1 ბაინლიხი (15), 0:2 ჟივკოვიჩი (43), 0:3 რინკი (61), 1:3 რაისი (64), 1:4 ჰაინცე (71), 1:5 ნ. კოვაჩი (78)

ბოხუმი: ტ. ერნსტი, კუნცი (გიულონოლლუ 72), კრახტი, სუნდერმანი, შინდცილორცი, რაისი, ბემბენი, ნ. ჰოფმანი, იონი, დრინჩიჩი (ბასტურკი 46), ბუკლი

ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, რეები (ნ. კოვაჩი 72), რამელო, ზე რობერტო (მამიჩი 80), ემერსონი, ბაინლიხი (ჰაინცე 54), რინკი, მაიერი

გაფრთხილება: ბასტურკი, ბუკლი, სუნდერმანი, მაიერი

მსაჯი: ფანდელი

### აინტრახტი 0:2 ვერდერი

0:1 ჰერცოგი (47), 0:2 ბოგდანოვიჩი (73)

აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, ხუბჩევი, კუჩერა (ნვოსუ 73), შური, პედერსენი, ბრინკმანი (პისონტი 60), ვებერი, ბ. შნაიდერი, სობოჩიკი, ეპი (გებჰარდტი 60)

ვერდერი: ფ. როსტი, ვიკი, ბენკენი, სკრიპნიკი, ტოდტი, ტრარესი, აილტსი (როემბიაკი 46), ვიდნერი, ა. ჰერცოგი (ფლოკი 80), ფლო (ფრინგსი 46), ბოგდანოვიჩი

გაფრთხილება: ბენკენი, როემბიაკი, ტოდტი, ტრარესი, ვიკი

მსაჯი: შტაინბორნი

### ნიურნბერგი 1:1 ვოლფსბურგი

1:0 სკოოგი (64), 1:1 იუსკოვიაკი (86)

ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, გრასერი (შტორცენჰოფეკერი 46), ნიკლი, რანერი, გიუნტერი, ბიურგერი, ვისინგერი, პოლუნინი (გერბერი 81), კუკა (კურტი 30), სკოოგი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ბალვანცი, კრიგერი, ნოვაკი, დამაიერი, გრაინერი, კაპეტანოვიჩი (შტამანი 81), აკონორი (რეინა 51), პრეგერი, ბაუმგარტი (იუსკოვიაკი 51)

გაფრთხილება: გიუნტერი, რანერი

მსაჯი: კოოპი

### შალკე 2:0 დუისბურგი

1:0 აიკელკამპი (36), 2:0 გუსენსი (59)

შალკე: შობერი, აიგენრაუხი, ტაპალოვიჩი, მიულერი, ნემეცი, ბიუსკენსი, ვან კერკჰოვენი, გუსენსი, მულდერი, მაქსი (ლატალი 59), აიკელკამპი (ჰამი 75)

დუისბურგი: სტაუჩე, ვანა, კომლიენოვიჩი, ვოლერტი, ჰაიტო, ვოლტერსი (ტიოფტინგი 64), ჰოერსენი, ჰირში, ვედაუ, შპისი, ანდერსენი (ებერსი 73)

მსაჯი: ჰაინემანი

მიუნხენის „ბაიერნის“ ძლევამოსილი სვლა სეზონში მეორედ შეაჩერეს. ეს ამჯერად ბერლინის „ჰერტამ“ მოახერხა. პირველი მარცხი ბუნდესლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა მეათე ტურში იწვნია, 3 ნოემბერს „ბაიერნს“ „აინტრახტმა“ სძლია — 1:0. მაშინ ბავარიელთა წაგება ბევრმა გაამართლა, რადგან ოთხ დღეში მათ ჩემპიონთა ლიგის ურთულესი მატჩი ელოდათ სტუმრად „ბარსელონასთან“. ის შეხვედრა მიუნხენელებმა 2:1 მოიგეს. ახლაც, ოთხშაბათს, „ბაიერნმა“ დანიურ „ბრონდბიუს“ უნდა უმასპინძლოს. პირველ მატჩში მასპინძლებმა 2:1 გაიმარჯვეს. იმ შეხვედრის შემდეგ გერმანელთა ჯგუფიდან გასვლა სათუო გახდა. ხვალ კი შურისძიების საშუალება ეძლევათ და ამისათვის სერიოზულადაც ემზადებიან. დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ გუნდის თავკაცმა ოტმარ ჰიტცფელდმა „ჰერტასთან“ ხუთი წამყვანი ფეხბურთელი - ეფენბერგი, ბასლერი, იანკერი, ელბერი და შტრუნცი სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენა.

თამაში სტუმართა შეტევებით დაიწყო. პირველივე წუთზე ტარნატმა ჩააწოდა კარის გასწვრივ სახიფათოდ, მაგრამ გოლის გასატანად ჩასაფრებულ ციკლერს მცველმა დაასწრო და განმუხტა მდგომარეობა. მალე ისევ ციკლერმა იაქტიურა, თუმცა დარტყმა არ გამოუვიდა. ტაიმის მიწურულს სტუმრებს გატანის რეალური შანსი მიეცათ, მაგრამ იერემისის არაზუსტი პასის გამო შეტევა ჩაიშალა.

მეორე ნახევრის მე-13 წუთზე მასპინძლები ათნი დარჩნენ მინდორზე, უხეშობისთვის მსაჯმა ვან ბურიკს დაატოვებინა მინდორი, თუმცა ამით სტუმრებმა ვერ ისარგებლეს. 68-ე წუთზე აშკარად შეცდა მიუნხენელთა დაცვა, ტრეჩოკმა პრეეტცი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და მანაც თავისიანები დააწინაურა. გაშვებული გოლის შემდეგ „ბაიერნი“ გააქტიურდა. ფინკს, ლისარასუსა და შეცვლაზე შესულ ელბერს ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობები მიეცათ, მაგრამ ბერლინელთა მეკარე კირალს ვერაფერი დააკლეს.

დიდ ინტერესს იწვევდა „კაიზერსლაუტერნი“ — „დორტმუნდის“ შეხვედრა. იგი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გატანის შანსი თავიდან სტუმრებს მიეცათ, მაგრამ სალუმ ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებმა სახიფათოდ შეუტიეს, ნიეგუსმა გაიტანა კიდეც, მაგრამ არბიტრმა არ ჩათვალა, არარსებული ჯარიმა დააფიქსირა. 77-ე წუთზე რაიხმა მარცხენა ფლანგზე მეურვეს თავბრუ დაახვია და საჯარიმოში მარშალს ჩააწოდა, თუმცა ბურთი, ისე რომ არავის შეხებია, ძელს მოხვდა და კარში შევარდა. მიუხედავად დორტმუნდელთა მცდელობისა, მეტი გოლი აღარ გასულა და მატჩიც საბოლოოდ მასპინძლებმა მოიგეს- 1:0.

თამაშის შემდეგ „ლაუტერნის“ ოტო რეჰაგელს შეგირდებისათვის საქებარი სიტყვები არ დაუშურებია: „90 წუთი ვიბრძოლეთ და მოგება დავიმსახურეთ. მეტოქეც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ჩემი ბიჭები დღეს შეუდარებელნი იყვნენ, მა-



REUTERS ბერლინიდან

ჰერტა — ბაიერნი. ბერლინელებმა მიუნხენელებს სეზონში მეორე მარცხი აგემეს

თით ძალიან კმაყოფილი ვარ“.

ამჯერად ვერ მოიგო „მიუნხენ 1860“ — მა, რომელიც „ოლიმპიაშტადიონზე“ ჰამბურგს მასპინძლობდა. შეხვედრა მასპინძელთა დიდი უპირატესობით დაიწყო, თუმცა გატანის უკეთესი შანსი პირველად სტუმრებს მიეცათ. გრავესენმა კარგი პასით მარტინ დალინი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ შვედ ფეხბურთელს ბურთი ფეხებში აებლანდა. მალე „მიუნხენმა“ დაკარგა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. ჩერნის ჩაწოდებული ბურთი მალცმა ახლოდან თავით ააცილა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. 59-ე წუთზე მათ ჯარიმა კარგად გაითამაშეს, მაგრამ კართან ახლოს მყოფმა ვინკლერმა ბურთი ხარიხას ოდნავ გადააცილა. ყველაზე რეალური მომენტი მიუნხენელებს მატჩის მიწურულს შეექმნათ. ვინკლერმა ცენტრში მეტოქეს ბურთი მოჰპარა, საჯარიმოს მიუახლოვდა და ბორიმიროვს დაუგორა, ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა. ბურთი კარს მცირედით ასცდა.

— ვიცოდი, რომ „ჰამბურგი“ მთელი შეხვედრას დაცვაში გაატარებდა. ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, პირველიდან ბოლო წუთამდე უტევდა, მაგრამ მოგებისთვის იღბალიც საჭიროა, ის კი დღეს მეტოქის მხარეს იყო. „მიუნხენის“ თავკაცი ვერნერ ლორანტი დაკარგულ ორ ქულას ნანობდა.

მიუნხენელთა წაფორთხილებით ისარგებლა „ლევერკუზენმა“, რომელმაც სტუმრად „ბოხუმის“ განადგურების შემდეგ ორ ქულამდე შეამცირა „ბაიერნთან“ სხვაობა. შეხვედრა „ლევერკუზენის“ უპირატესობით დაიწყო. 15-ე წუთზე, რეების კარგი პასის შემდეგ, ბაინლიხმა დააწინაურა თავისიანები. 43-ე წუთზე ბაინლიხის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჟივკოვიჩმა მასპინძელთა კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ლევერკუზენის“ თავკაცი კრისტოფ დაუმმა მსაჯის ერთ გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა და მაყურებლებში გადაინაცვლა. 61-ე წუთზე რინკმა საჯარიმოში კუნცი გააბითურა და ძლიერი დარტყმით ანგარიში 3:0 გახადა. სამ წუთში მასპინძლებმა შეუტიეს სახიფათოდ. ჰოფმანის შორიდან დარტყმულს მატიშეკი კი გადაელობა, მაგრამ რაისმა ზუსტად დაამატა და სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირა. გატანილმა გოლმა „ბოხუმს“ მატჩის გადარჩენის იმედი მისცა და მათაც მთელი გუნდით შეუტიეს. დაცვის მოშიშვლება კი სტუმრებმა არ აპატიეს. „ბოხუმი“ ჯერ ჰაინცემ გამოიჭირა შეტავაზე, შემდეგ კი ნიკო კოვაჩმა და ანგარიშიც კატასტროფული გახადეს 5:1.

„წაეთრიე შეფერ“ — აჭრელებული იყო „შტუტგარტის“ სტადიონის ტრიბუნები ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებით, ბევრ ქომაგს, მაისურზეც იგივე ეწერა. მიზეზი ძნელი მისახვედრია არ არის, თასების თასის წინა გათამაშების ფინალისტი გუნდი მიმდინარე სეზონში ძალიან სუსტად გამოიყურება, თუმცა ჩემპიონატის დაწყებამდე „შტუტგარტის“ ახალდანიშნული მწვრთნელი ვინფრედ შეფერი გულშემატკივრებს სხვაგვარ დაპირებებს აძლევდა. ამ ტურში შტუტგარტელთა მეტოქე ერთ-ერთი აუტსაიდერი როსტოკის „ჰანზა“ გახლდათ. მასპინძელთა უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. რამაც ისედაც უკმაყოფილო ქომაგები, კიდევ უფრო ალაშფოთა, მატჩი კი „შტუტგარტის“ შეტევებით დაიწყო. „ჰანზამ“ პირველი ტაიმი 0:3 რომ არ წააგო, ბედს უნდა უმადლოდეს. უამრავი მომენტიდან მასპინძლებმა ერთი გამოიყენეს. 22-ე წუთზე ლისტეშმა შორიდან უძლიერესი დარტყმით პიკენჰაგენი დაამწუხრა. მეორე ტაიმის შუაგულში სტუმართა ერთადერთი სახიფათო კონტრშეტევა ბრაიტკროიცის ულამაზესი გოლით დასრულდა. მის მოჭრილ დარტყმულს ვოლფარტმა ვერაფერი მოუხერხა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „შტუტგარტმა“ გააფთრებით შეუტია, მაგრამ მეტი გოლი ამ მატჩში აღარ გასულა.

ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა ჩვენებურთა „ფრაიბურგი“. აქამდე ფრაიბურგელები სტუმრად მაინც იგებდნენ, ახლა კი ამასაც ველარ ახერხებენ და შინ თუ გარეთ, ყველგან მარცხდებიან. მიონხენგლადბახში თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. მე-4 წუთზე ვასმერმა კიხინი მოატყუა იოლად და ახლოდან ანგარიში გახსნა. 33-ე წუთზე კი უკვე მასპინძლები იგებდნენ. ჯერ კლინკერტმა გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ჰაგნერმა წინ გაიყვანა თავისიანები. შეხვედრას პოლსტერმა წერტილი მეორე ნახევრის დასაწყისშივე დაუსვა. იაშვილს არც ამ მატჩში უთამაშია, კობიაშვილმა კი კვლავ გაფრთხილებით დაგვამახსოვრა თავი. გლადბახელმა ამ გამარჯვებით ნავსი გატეხეს. პირველი ტურის შემდეგ მათ ერთი თამაშიც არ მოეგოთ.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 13 | 10 | 1 | 2 | 32:11 | +21 | 31 | 7 | 6 | 1 | 0 | 25:8 | +17 | 19 | 6 | 4 | 0 | 2 | 7:3 | +4 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 14 | 8 | 5 | 1 | 34:15 | +19 | 29 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:7 | +6 | 12 | 7 | 5 | 2 | 0 | 21:8 | +13 | 17 |
| 3 | მიუნხენ 1860 | 14 | 7 | 3 | 3 | 26:17 | +9 | 27 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | +4 | 13 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:9 | +5 | 14 |
| 4 | ლაუტერნი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:22 | -1 | 27 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:10 | +4 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:12 | -5 | 11 |
| 5 | ვოლფსბურგი | 14 | 5 | 6 | 3 | 26:19 | +7 | 21 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:8 | +6 | 11 | 7 | 2 | 4 | 1 | 12:11 | +1 | 10 |
| 6 | ჰერტა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:16 | +2 | 20 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:3 | +11 | 18 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 2 |
| 7 | დორტმუნდი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:13 | +6 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 12:2 | +10 | 15 | 7 | 0 | 4 | 3 | 7:11 | -4 | 4 |
| 8 | ჰამბურგი | 13 | 4 | 6 | 3 | 16:14 | +2 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | +4 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 9 | შტუტგარტი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:17 | +1 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:7 | +5 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 10 | ბოხუმი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:23 | -5 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 7 |
| 11 | აინტრახტი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:22 | -4 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:12 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 12 | ფრაიბურგი | 14 | 3 | 6 | 5 | 17:21 | -4 | 15 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:10 | -4 | 4 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 |
| 13 | დუისბურგი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:22 | -7 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:17 | -12 | 2 |
| 14 | შალკე 04 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:20 | -7 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:13 | -7 | 6 |
| 15 | ნიურნბერგი | 14 | 2 | 8 | 4 | 18:26 | -8 | 14 | 7 | 0 | 6 | 1 | 8:12 | -4 | 6 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | -4 | 8 |
| 16 | ჰანზა | 14 | 2 | 5 | 7 | 19:29 | -10 | 11 | 7 | 2 | 4 | 1 | 13:11 | +2 | 10 | 7 | 0 | 1 | 6 | 6:18 | -12 | 1 |
| 17 | ვერდერი | 13 | 2 | 4 | 7 | 16:20 | -4 | 10 | 7 | 0 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 3 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 0 | 7 |
| 18 | გლადბახი | 13 | 2 | 3 | 8 | 19:36 | -17 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 11:15 | -4 | 7 | 7 | 0 | 2 | 5 | 8:21 | -13 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 8 |

### XV ტური

27 ნოემბერი

დორტმუნდი - აინტრახტი
ჰანზა - ჰერტა

28 ნოემბერი

ვოლფსბურგი - ბოხუმი
ლევერკუზენი - დუისბურგი
ვერდერი - მიუნხენი
ჰამბურგი - გლადბახი
ფრაიბურგი - შტუტგარტი
ბაიერნი - ნიურნბერგი

29 ნოემბერი

ლაუტერნი - შალკე

## მეორე ბუნდესლიგა

XV ტური

### ობერჰაუზენი 3:0 გიუტერსლო

1:0, 2:0 პრიოპერი (11, 68), 3:0 კონჯევიჩი (90)

### ფორტუნა 3:0 კოტბუსი

1:0 რენი (14), 2:0 ბრდარიჩი (18), 3:0 იოუნგა (84)

### ვატენშაიდი 1:1 კიოლნი

0:1 ბულაიჩი (53), 1:1 შტარკი (71)

### ურდინგენი 1:2 მაინცი

0:1, 0:2 პოლიკელა (25, 47), 1:2 სასივარევიჩი (53)

### დიუსელდორფი 2:2 ზტ. პაული

0:1 შერცი (18), 0:2 სტანისლავსკი (45), 1:2 დობროვოლსკი (50), 2:2 ტარე (87)

### ფიურტი 0:0 უნტერჰახინგი

### კიკერსი 1:2 ულმი

1:0 ზაილერი (38), 1:1 ზდრილიჩი (59), 1:2 ტრკულია (66)

### ბერლინი 3:1 ჰანოვერი

1:0 მიჩევსკი (7), 2:0 უოლკერი (37), 3:0 კოვაჩევიჩი (45), 3:1 ჰეკინგი (63)

### არმინია 0:1 კარლსრუე

0:1 შვარცი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 15 | 8 | 7 | 0 | 35:20 | 31 |
| უნტერჰახინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 22:11 | 30 |
| არმინია | 15 | 9 | 2 | 4 | 25:18 | 29 |
| ბერლინი | 15 | 9 | 2 | 4 | 25:18 | 29 |
| ფიურტი | 15 | 8 | 3 | 4 | 19:13 | 27 |
| კარლსრუე | 15 | 8 | 1 | 6 | 27:20 | 25 |
| ფორტუნა | 15 | 7 | 3 | 5 | 25:21 | 24 |
| მაინცი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| კიკერსი | 15 | 7 | 1 | 7 | 14:20 | 22 |
| კიოლნი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:26 | 19 |
| ჰანოვერი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:19 | 17 |
| ობერჰაუზენი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:22 | 17 |
| ზტ. პაული | 15 | 4 | 4 | 7 | 17:22 | 16 |
| კოტბუსი | 15 | 3 | 6 | 6 | 17:20 | 15 |
| ვატენშაიდი | 15 | 2 | 7 | 6 | 10:14 | 13 |
| გიუტერსლო | 15 | 3 | 4 | 8 | 20:28 | 13 |
| დიუსელდორფი | 15 | 2 | 6 | 7 | 18:24 | 12 |
| ურდინგენი | 14 | 1 | 4 | 9 | 13:24 | 7 |

# მნიშვნელოვანი კაცის დაბრუნებამდე

## იტალია

### X ტური

**იუვენტუსი 0:0 ემპოლი**

იუვენტუსი: პერუცი, ტუდორი, ფერარა (ამორუზო 46), იულიანო, დი ლივიო (კონტე 78), დეშამი, ტაკინარდი, პესოტო, ზიდანი, ინძაგი, ფონსეკა (ბლანშარი 55)
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბიანკონი, ბალდინი, ლუჩენტი, ბიზოლი (გრელა 68), მარტუშელო, პანე, ტონეტო, კარპარელი (კიაპარა 64), დი ნაპოლი (ზალაიეტი 86)
მსაჯი: პელეგრინო

**რომა 1:1 ბარი**

0:1 მასინგა (76), 1:1 ტოტი (83პ)
რომა: კიმენტი, ალდაირი, პეტრუცი, ძაგო, კანდელა, ალეინიჩევი, ტომაზი, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო, დელვეკიო (ფრეი 73), ტოტი
ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია, ნექროიზი, დე ასკენტისი, ძამბროტა, ბრეშანი (ინოკენტი 52), ანდერსონი, მარკოლინი, მადსენი (ოსმანოვსკი 46), მასინგა
გაფრთხილება: დე როზა, გარსია, დე ასკენტისი, ძამბროტა, ნექროიზი, ძაგო, კანდელა, მანჩინი
მსაჯი: ბაცოლი

**მილანი 1:0 ლაციო**

1:0 ლეონარდო (92)
მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, ნგოტი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი (დონადონი 76), მალდინი, განცი (ლეონარდო 58), ბირჰოფი, ვეა
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფავალი, სტანკოვიჩი, ვენტურინი, ალმეიდა, ნედვედი, მანჩინი, სალასი
გაფრთხილება: ფავალი, ამბროზინი, ალმეიდა
მსაჯი: ფარინა

**ფიორენტინა 3:1 ინტერი**

0:1 ჯორკაეფი (3პ), 1:1 პადალინო (5), 2:1 ბატისტუტა (16), 3:1 ჰაინრიხი (78)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, კოისი, ამორუზო, ოლივეირა, ედმუნდო, ბატისტუტა
ინტერი: პალიუკა, სიმეონე, ბერგომი, გალანტე, ვესტი, ჯორკაეფი, ვინტერი, სოუზა, ხ. ძანეტი, რ. ბაჯო (რეკობა 68), სამორანო
გაფრთხილება: რეპკა, ფალკონე, ვესტი, ედმუნდო
მსაჯი: როდომონტი

**კალიარი 1:0 პარმა**

1:0 კალონი (78)
კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონჩელი, გრასადონია, ვაზარი, კავეცი, ონილი, ბერეტა (ძებინა 88), მაკელარი, მუცი (პიზანო 74), კალონი
პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, ბოგოსიანი (სტანიჩი 58), დ. ბაჯო, ფიორე, ბენარივო, ვერონი, კიეზა (ორლანდინი 69), კრესპო
გაფრთხილება: ფიორე, ძანონჩელი, ბენარივო, ვილა
მსაჯი: ტომბოლინი

**სალერნიტანა 1:0 ვენეცია**

1:0 ბილიკა (20ს.კ.)
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, ფუსკო, ფრეზი, ტოსტო, გატუზო, ბრედა, ვანუჩი, დი მიკელე (მონაკო 63), ბელმონტე (კიანეზე 86), დი ვაიო (ბოლიჩი 80)
ვენეცია: ტაიბი, დალ კანტო (ბალარინი 72), ბილიკა, პავანი, ბრიოში, მარანგონი (შვოკი 81), იაკინი, მიკელი, პედონე, ვალტოლინა (ბუონოკორე 66), ტუტა
გაფრთხილება: ბრიოში, ბილიკა, მიკელი, პავანი, ტოსტო, იაკინი
გაძევება: ფრეზი (58)
მსაჯი: რაკალბუტო

**ბოლონია 1:1 პერუჯა**

0:1 რაპაიჩი (36), 1:1 ბინოტო (44)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (ერიბერტო 76), ინგესონი, მაინი (მაროკი 70), ფონტოლანი (კოლივანოვი 68), კ. ანდერსონი, სინიორი
პერუჯა: როკატი, რიპა, მატრეკანო, სოლანო, ზე მარია (როკო 82), რივასი, ტოდესკო (პელეგრინი 71), რაპაიჩი, კოლონელო, ნაკატა, მელი (პეტრაკი 85)
გაფრთხილება: ტოდესკო, რივასი, მატრეკანო, მაროკი, სინიორი
მსაჯი: მესინა

**სამპდორია 0:0 ვიჩენცა**

სამპდორია: ფერონი, გრანდონი, კასტელინი, საკიჩი, ბალერი, ფრანჩესკეტი (ფიჩინი 81), პეკია, ლაილი (იაკოპინო 62), სგრო (კატე 76), ორტეგა, პალმიერი
ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო, სტოვინი, დიჩარა, მორაბიტო, სკენარდი (კონტე 82), დი კარლო, ვივიანი, ამბროზეტი, ძაული (პალადინი 46), ლუიზო
გაფრთხილება: ძაული, ბალერი, ვივიანი, დილიზო
მსაჯი: ბოჯი

**უდინეზე 1:0 პიაჩენცა**

1:0 პოჯი (41)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, კალორი, პიერინი, ნავასი, ჯანიკედა, ვალემი (ლოკატელი 69), იორგენსენი (პინედა 76), აპია, პოჯი, ამოროზო (ბაკინი 74)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, დელი კარი, მანიგეტი, ბუზო (პიოვანი 59), კრისტალინი, მაცოლა, სტროპა, ს. ინძაგი, რასტელი (რიციტელი 59)
გაფრთხილება: ჯანიკედა, ნავასი, პოლონია, ლოკატელი, კრისტალინი
გაძევება: ს. ინძაგი (56), პიერინი (71)
მსაჯი: ბეტინი

— ასეთი თუ ვითამაშებთ საბოლოოდ ვირწმუნებთ, რომ „სკუდეტოსთვის“ მებრძოლ, საუკეთესო გუნდებს ტოლს არ ვუდებთ — განაცხადა ჯოვანი ტრაპატონიმ, კაცმა, რომელიც „სკუდეტო“ ანუ იტალიის ჩემპიონატის ტიტული შვიდჯერ მოაპოვებინა გუნდებს, რომელთაც წვრთნიდა. ამგვარი შედეგით სხვა ვერავინ დაიკვეხნის.

ამჟამად „ფიორენტინას“ თავკაცმა დასძინა: — სწორ გზას ვადგავართ. ახლა მთავარია მას არ გადავუხვიოთ.

„ფიორენტინას“ „ინტერისთვის“ შინ ათი წელიწადია არ მოეგო.

ყველაზე მეტად ტრაპატონის ის მოეწონა, რომ ფლორენციელმა ფეხბურთელებმა ტაქტიკურ მონახაზს არ გადაუხვიეს და მესამე წუთზე გაშვებული გოლის მიუხედავად გაიმარჯვეს.

— მწარე დარტყმა ვიგემეთ, თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლას შევწყვეტთ. მართალია „ინტერს“ ბევრი რამ აქვს გამოსასწორებელი, მაგრამ მაინც „სკუდეტოს“ მოგებას ვაპირებთ — თქვა მილანელთა მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ.

1986 წელს, ფლორენციაში, „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე 1993 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა, რობერტო ბაჯომ სერია A-ში პირველად ითამაშა. მაშინ იგი „ფიორენტინაში“ იყო. რაც ბაჯომ გუნდი დასტოვა, „არტემიო ფრანკის“ მოწინააღმდეგის მაისურით ესტუმრება ხოლმე და ამ ხნის მანძილზე, ხუთი გოლი აქვს ფლორენციაში გატანილი. კვირას მეექვსეს გატანაც შეეძლო.

მესამე წუთზე ბაჯომ ჩილელი თანაგუნდელი, ივან სამორანო შენიშნა მარცხენა ფრთაზე, ხელსაყრელ ადგილას. პასებით ცნობილმა ფეხბურთელმა ამჯერადაც ზუსტად იმოქმედა, თუმცა სამორანოს „ფიორენტინას“ მეკარე, ფრანჩესკო



REUTERS რომიდან

რომა — ბარი. რომაელი ალდაირი ინოკენტისა და გარსიას შორის

ტოლდო დაუხვდა და ბურთი მოიგერია. მოგერიებულ ბურთს ისევ ბაჯო დაეუფლა. ტოლდომ არც მას გაატანინა, ოღონდ უკვე უხეშობის წყალობით.

დაინიშნა პენალტი და ფრანგმა, მსოფლიოს ჩემპიონმა, იური ჯორკაეფმა ანგარიში გახსნა. აღსანიშნავია, რომ ჯორკაეფისთვის ეს მეორე მატჩში გატანილი მესამე თერთმეტმეტრიანი გახლდათ.

„ფიორენტინამ“ უმალ კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვა. ფლორენციული ქარი აქეთ კართან ჩაწოდებულ კუთხურებს ერთიორად სახიფათოს ხდიდა. ბურთი „ინტერის“ საჯარიმოში ბრაზილიელმა ედმუნდომ ჩაკიდა. სტუმრების მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ კრისტიან ამოროსოს დარტყმული მოიგერია, მაგრამ პასკუალე პადალინოს დამატებულს ველარაფერი დაუპირისპირა.

მე-16 წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ. გოლის სათავეებთან ისევ ედმუნდო იდგა. სწორედ ის წააქციეს „ინტერის“ მცველებმა საკუთარი საჯარიმოს წინ, არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ კი ჯარიმიდან დაბლა დაარტყა ბურთი, რომელიც ვერც კედელმა მოიგერია და ვერც პალიუკამ.

მეორე ტაიმში ფლორენციული ქარი სტუმრებს ეხმარებოდა, თუმცა მათ ვერ ისარგებლეს. მეტიც, შეხვედრის მეოთხე გოლი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ანუ ისევ მილანელთა კარში გავიდა.

ვინ წამოიწყებდა საგოლე კომბინაციას თუ არა ედმუნდო?! მისი გადაცემა დორტმუნდის „ბორუსიას“ ყოფილმა მოთამაშემ, გერმანელმა იორგ ჰაინრიხმა მიიღო და რაც „ფიორენტინას“ შემადგენლობაშია პირველად შეაგდო ბურთი მეტოქის კარის ხაზს მიღმა.

ამ გოლამდე ხუთი წუთით ადრე მილანელთა გუნდის ვეტერანმა ჯუზეპე ბერგომიმ ბურთი ძელს გაარტყა.

სად იყო რონალდო? მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელმა რად არ უშველა თავის „ინტერს“? 22 წლის ვარსკვლავი გერმანულ გაზეთს „დი ველტს“ ესაუბრებოდა:

— დიახ, ბოლო ორი-სამი წლის, განმავლობაში ფეხბურთისთვის მართლაც მნიშვნელოვანი კაცი გახლდით. ამიტომაც მეკუთვნოდა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის წოდება.

„ინტერის“ ბანაკში იმედოვნებენ, რომ მალე რონალდო ისევ ძველებურად ათამაშდება და ინტერვიუში მნიშვნელოვანი კაცი გახლდით კი არა გახლავართო, იტყვის.

„ფიორენტინას“ მდევარმა, „იუვენტუსმა“ „ემპოლისთან“ შინ, 0:0 ითამაშა — ორი ქულა დაკარგა.

ტურინელების საწყის შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ფრანგი დიდიე დეშამპი, მისმა თანაგუნდელმა ნაკრებსა და კლუბში, მისებრ მსოფლიოს ჩემპიონმა ზინედინ ზიდანმა კი თამაშის დაწყებისთანავე კინაღამ ანგარიში გახსნა.

ძალიან დატყობია იტალიის ჩემპიონს ალესანდრო დელ პიეროს გამოკლება. მოგეხსენებათ დელ პიერომ ტრავმა მიიღო და ხუთი თვით ჩამოშორდა მინდორს.

ვერც მეორე მდევარმა, „რომამ“ გაიმარჯვა. „რომაც“ „იუვენტუსსავით“ შინ თამაშობდა, „ბარისთან“. შეხვედრის დამთავრების შემდეგ რომაელთა პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ხელები გაშალა:

— ძალიან დამწყდა გული ასეთი შესაძლებლობა რომ გავუშვით. დღევანდელი ფრე ცხრილს დიდად ვერ შეცვლის. უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო, კინაღამ წავაგეთ. როდესაც „ბარის“ მასპინძლობ, ვალდებული ხარ რომ გაიმარჯვო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ფეხბურთელები ცოტა დაღლილები გახლდნენ“.

დიახ, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. 76-ე წუთზე სამხრეთ აფრიკელმა ფილ მასინგამ შვედი თანაგუნდელის, იკსელ ოსმანოვსკის დარტყმულსა და „რომას“ მეკარის, ანტონიო კიმენტის მოგერიებულ ბურთს ფეხი წააშველა და ბადეში შეაგდო.

მასპინძლებმა მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე გაქვითეს. „ბარის“ მაროკოელმა მცველმა რაშიდ ნექროიზმა „რომასა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი თავის საჯარიმოში წააქცია, რისთვისაც თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. „ბარის“ ფეხბურთელთა დიდი პროტესტის მიუხედავად მსაჯმა, ბაძოლი დი მერანომ გადაწყვეტილება არ შეცვალა და თავად ტოტიმ ზუსტი დარტყმით შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

„სან სიროზე“ „მილანმა“ „ლაციო“ დაამარცხა. მილანელ ბრაზილიელს, ლეონარდოს, დამატებულ დროში შეხვედრის ერთადერთი გოლი რომ არ გაეტანა, მასპინძლები ცხრილში ზედიზედ მეხუთე ფრეს ჩაიწერდნენ.

**ბაბუნა ძიძია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 10 | 7 | 0 | 3 | 22:12 | +10 | 21 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:2 | +12 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | -2 | 6 |
| 2 | რომა | 10 | 5 | 3 | 2 | 18:9 | +9 | 18 | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | +11 | 16 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 3 | მილანი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | +3 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | +2 | 8 |
| 4 | იუვენტუსი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:9 | +3 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 5:0 | +5 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 5 | პარმა | 10 | 4 | 4 | 2 | 11:5 | +6 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | +8 | 13 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 6 | კალიარი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:14 | +3 | 14 | 6 | 4 | 2 | 0 | 15:7 | +8 | 14 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | -5 | 0 |
| 7 | ბოლონია | 10 | 3 | 5 | 2 | 12:9 | +3 | 14 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 0 | 6 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | +3 | 8 |
| 8 | ინტერი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:17 | +1 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 11:8 | +3 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 9 | ლაციო | 10 | 3 | 4 | 3 | 15:12 | +3 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | +5 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 5 |
| 10 | ბარი | 10 | 2 | 7 | 1 | 10:9 | +1 | 13 | 5 | 1 | 4 | 0 | 3:2 | +1 | 7 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 |
| 11 | უდინეზე | 10 | 3 | 4 | 3 | 13:16 | -3 | 13 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | +3 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |
| 12 | პერუჯა | 10 | 3 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | +3 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | -6 | 2 |
| 13 | სამპდორია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:18 | -8 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | +5 | 11 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:16 | -13 | 1 |
| 14 | პიაჩენცა | 10 | 3 | 2 | 5 | 15:14 | +1 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | +7 | 11 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:9 | -6 | 0 |
| 15 | ემპოლი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:13 | -6 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | +2 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:10 | -8 | 2 |
| 16 | სალერნიტანა | 10 | 3 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | +3 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:12 | -10 | 0 |
| 17 | ვიჩენცა | 10 | 2 | 4 | 4 | 6:15 | -9 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:6 | -4 | 3 |
| 18 | ვენეცია | 10 | 1 | 2 | 7 | 4:14 | -10 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 4 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | -8 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 11 |
| მუცი (კალიარი) | 7 |
| ამოროზო (უდინეზე) | 7 |
| ბირჰოფი (მილანი) | 6 |

### XI ტური

29 ნოემბერი

ბარი - ფიორენტინა
ბოლონია - იუვენტუსი
ემპოლი - ვიჩენცა
ინტერი - სალერნიტანა
ლაციო - რომა
პარმა - მილანი
პერუჯა - პიაჩენცა
უდინეზე - კალიარი
ვენეცია - სამპდორია

## სერია B

### XI ტური

**ვერონა 3:0 ფ. ანდრია**
1:0, 2:0 კამარატა (6, 30), 3:0 ალიეტი (43)

**რეჯანა 1:1 ტორინო**
1:0 კიმარელი (33), 1:1 არტისტიკო (86)

**რავენა 0:0 კიევო**

**ატალანტა 3:0 კოზენცა**
1:0 ბანკელი (16პ), 2:0, 3:0 კაჩა (32, 94პ)

**კრემონეზე 1:1 ტერნანა**
1:0 გირარდელო (66), 1:1 ბორგობელო (82)

**ლეჩე 2:1 ჩეზენა**
1:0 მურჯიტა (20), 2:0 სესა (47), 2:1 კომანდინი (52)

**ნაპოლი 2:1 ჯენოა**
1:0 ბელუჩი (23), 1:1 პირი (47), 2:1 ბელუჩი (63)

**პესკარა 1:0 მონცა**
1:0 ჯელსი (53პ)

**რეჯინა 0:0 ბრეშა**

**ტრევიზო 1:1 ლუკეზე**
1:0 ბორტოლუცი (44), 1:1 კარდინალე (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 11 | 8 | 2 | 1 | 22:8 | 26 |
| ტრევიზო | 11 | 7 | 4 | 0 | 18:8 | 25 |
| ტორინო | 11 | 6 | 2 | 3 | 18:9 | 20 |
| პესკარა | 11 | 6 | 2 | 3 | 16:11 | 20 |
| რავენა | 11 | 5 | 4 | 2 | 15:14 | 19 |
| ლეჩე | 11 | 5 | 3 | 3 | 12:9 | 18 |
| ატალანტა | 11 | 4 | 4 | 3 | 8:6 | 16 |
| ბრეშა | 11 | 3 | 6 | 2 | 8:5 | 15 |
| ნაპოლი | 11 | 3 | 6 | 2 | 9:8 | 15 |
| რეჯინა | 11 | 3 | 5 | 3 | 12:11 | 14 |
| ტერნანა | 11 | 3 | 5 | 3 | 11:14 | 14 |
| მონცა | 11 | 3 | 4 | 4 | 7:10 | 13 |
| კრემონეზე | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | 13 |
| ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 |
| კოზენცა | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 12 |
| კიევო | 11 | 3 | 3 | 5 | 7:11 | 12 |
| რეჯანა | 11 | 2 | 5 | 4 | 11:13 | 11 |
| ლუკეზე | 11 | 0 | 6 | 5 | 5:10 | 6 |
| ფ. ანდრია | 11 | 1 | 3 | 7 | 5:17 | 6 |
| ჩეზენა | 11 | 0 | 4 | 7 | 6:17 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

# ექტორმა ყველაფერი იცოდა

## XI ტური

### ტენერიფე 0:1 ბილბაო

0:1 ალექსისი (60 ს.კ.)
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი (ხონეი 78), პაბლო პასი, მატა, ანდრე ლუისი, იოკანოვიჩი (მარსელინო 73), ემერსონი, დანი, რობაინა (კოდრო 67), მაკაი, დომინგუში
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლარასაბალი, ლაკრუსი, ფერეირა, ურუტია, იმასი, გერერო (ხ. ეჩებერია 59), ხავი გონსალესი, ხორხე პერესი (ალკისა 59), ესკუერო (სეზარი 81)
გაფრთხილება: მატა, კოდრო, ფელიპე, ლარასაბალი, ურუტია
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### ატლეტიკო 6:1 ვალიადოლიდი

0:1 ხულიო სეზარი (2), 1:1 მენა (26), 2:1 იუგოვიჩი (41), 3:1 ნიეგუსი (46), 4:1 კორეა (59), 5:1 კიკო (74), 6:1 ხოსე მარი (77)
ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი, ტონი, სანტი, იუგოვიჩი, ვალერონი (ბეიბლი 67), მენა, რობერტო (ნიეგუსი 46), კორეა, კიკო (ხოსე მარი 75)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი (ეუსებიო 73), სანტამარია, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, კამინერო (ტურიელი 77), ტორეს გომესი, ჩემა (კლიმოვიჩი 57), პეტერნაკი, ვიქტორი
გაფრთხილება: კორეა, რობერტო
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### სოსიედადი 0:0 სარაგოსა

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ანტია, ლოპეს რეკარტე, გომესი, იარეგი, დე პედრო (გრასია 70), დე პაულა (ალდეონდო 80), კუხბაუერი, კოვაჩევიჩი
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, პაბლო, კუარტერო, აგუადო, არაგონი (გარიტანო 79), ხოსე იგნასიო, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, მარკოს ვალესი (გ. ლოპესი 90)
გაფრთხილება: ანტია, ლოპეს რეკარდო, პაბლო, ხოსე იგნასიო, კილი გონსალესი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### ალავესი 2:0 სელტა

1:0 გერარდი (27), 2:0 სივორი (72)
ალავესი: კიკე, ივან როჩა (სივორი 18), კარმონა, განიანი, ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი (რევილია 72), გერარნი, დესიო, მანიო (ასკოიტია 46)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, ბერხესი (ტომასი 56), ეგენი, გ. ჟოროვიჩი, მაკელელე, მაზინიო, კარპინი (კაირესი 82), მოსტოვოი, პენევი (გუდელი 70), სანჩესი
გაფრთხილება: კარმონა, იბონ ბეგონია, კანაბალი, გერარდი, მიჩელ სალგადო, კარპინი
გაძევება: გერარდი, მიჩელ სალგადო
მსაჯი: დუდენ იბანესი

### ვალენსია 3:1 რეალი

1:0 ანგულო (34), 1:1 სავიო (57), 2:1, 3:1 კ. ლოპესი (61, 72)
ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, როში, კარბონი, პოპესკუ, შვარცი, მენდიეტა, მილა (სორია 82), კ. ლოპესი, ილიე (ლუკარელი 88), ანგულო
რეალი: ილგნერი, როხასი (გუტი 72), რობერტო კარლოსი, სანჩისი, ფერნანდო სანსი, იარნი (შუკერი 67), რედონდო, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი, სავიო
გაფრთხილება: ბიორკლუნდი, კ. ლოპესი, როხასი, რობერტო კარლოსი
მსაჯი: ჯაპონ სევილია

### ოვიედო 0:1 ბეტისი

0:1 ოლი (33)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ივან იგლესიასი (ფაბიო პინტუ 55), პომპეი, პაულო ბენტო, ონოპკო, ხაიმე (ივან ანია 44), დელი ვალდესი (მიოლერი 80), დუბოვსკი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ურენია, მერინო, ოტერო, სოლოსაბალი, ოლიასი, იტო (კანიასი 60), ფერნანდო (ბენჟამინი 55), ფინიდი (დენილსონი 75), ოლი
გაფრთხილება: რაბანიროვი, სეზარი, პაულო ბენტო, ივან ანია, ურენია
გაძევება: რაბანიროვი
მსაჯი: მეგა დავილა

### მალიორკა 1:0 ბარსელონა

1:0 ხერხი (21 ს.კ.)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (ფ. სოლერი 61), სტანკოვიჩი (არპონი 90), ლორენი, ენგონგა, დანი, ბიაჯინი (ფერნანდო ნინიო 86)
ბარსელონა: ჰესპე, პელეგრინო (ანდერსონი 60), სერხი, ოკუნოვო, ხავი, კოკუ, ზენდენი (ჯოვანი 70), ფიგუ, სელადესი, კლუივერტი, რივალდო
გაფრთხილება: მარსელინო, სერხი, რივალდო
მსაჯი: პრადოს გარსია

### სალამანკა 2:1 ესტრემადურა

1:0 კარდეტი (63), 1:1 ფელიქსი (66), 2:1 მუნტეანუ (79)
სალამანკა: სტელეა, კორინო, ლორენი, ლანა, მუნტეანუ, ტომასი, ედუ ალონსო, ჯოვანელა, კარდეტი (ტაირა 83), ველისკა, სილვანი
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ბელენგუერი, კალა, ფელიქსი (გაბრიჩი 82), ოსკარი, ხუანიტო, პოლი, ტონიველამასანი, ტორილი (ბოგდანოვიჩი 64, დავიდი 88), დურე, მანუელი
გაფრთხილება: მუნტეანუ, ტომასი, ჯოვანელა, კალა, ფელიქსი, ხუანიტო, დავიდი
მსაჯი: გარსია არანდა

### დეპორტივო 2:1 ვილიარეალი

0:1 მოიზესი (15), 1:1 ნაიბეტი (37), 2:1 ტურუ ფლორესი (50)
დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი (დონატო 15), არმანდო, ნაიბეტი, ზიანი, ჯალმინია, მაურო სილვა, ფრანი, ტურუ ფლორესი (პაჯი 58), პაულეტა (ბასირი 75)
ვილიარეალი: პალომი, სერერი (გარსია სანხუანი 80), ტასევსკი, აიტორ არეგი (პრატსი 70), რობერტო, ალბელდა, ხავი სანჩიხი, დიასი (კრისტიანსენი 76), გერარდო, ალფარო, მოიზესი
გაფრთხილება: დონატო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### ესპანიოლი 1:1 რასინგი

1:0 ნან რიბერა (55), 1:1 ვიქტორი (72)
41-ე წუთზე ვიქტორმა (რასინგი) ვერ გაიტანა პენალტი
55-ე წუთზე ესნაიდერმა (ესპანიოლი) ვერ გაიტანა პენალტი
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, ვილა, ივან ელგუერა, კაპდევილა, არტეაგა (სერხიო 79), მარტინ პოსე (ნან რიბერა 46), ესნაიდერი, ბენიტესი, კიკე მარტინი
რასინგი: სებალოსი, არსენო, ნერუ, მერინო, ტაისი, ვიცარ დორადო, ვიქტორი, ჩემა, ისმაელი, მუნიტისი (პრესიადო 90), ბესჩასტნიხი (ხელი 81)
გაფრთხილება: ტონი, ნანდო, კაპდევილა, ესნაიდერი, ბენიტესი, ნერუ, მერინო, ვიცარ დორადო, ვიქტორი, ჩემა
მსაჯი: პერეს ლასა




სოსიედადი — სარაგოსა. სტუმართა თავდამსხმელი მარკოს ვალესი მეტოქეს ოსტატურად გაურბის

თუ „ვალენსია" თამაშობს, შეხვედრა ფრედ არასდროს მთავრდება — კლაუდიო რანიერის კლუბი ან იგებს, ან მარცხდება.

ამ ტურამდე ვალენსიელებს ათი მატჩიდან ხუთი მოეგოთ, ხუთიც წაეგოთ, ახლა კი იმარჯვეს. ესპანეთის ოთხგზის ჩემპიონმა „ვალენსიამ" ნორმალური თავდაცვა და წარმატების შენარჩუნება ამჟამინდელზე კარგად რომ იცოდეს, კლუბი ახლა მეხუთე ადგილზე კი არა, ლიდერი იქნებოდა. იტალიელმა რანიერიმ „ესტადიო მესტალაზე" საკმაოდ კარგ ფეხბურთელებს მოუყარა თავი, ძლიერი გუნდიც დააყენა და შედეგსაც იმკის — არაა გამორიცხული, „ვალენსიამ" ბოლო წლებში უდიდეს წარმატებას სწორედ ამ სეზონში მიაღწიოს.

ბოლო ოთხი თამაშიდან „ვალენსიამ" სამი მოიგო და მეოთხე „ესტრემადურასთან" წააგო. სტუმრად დამარცხების შემდეგ რანიერიმ განაცხადა, წაგება შემთხვევითობა გახლდათ, უბრალოდ, ბედმა მატჩში ზურგი გვაქციაო. პრესამ „ვალენსიას" უიღბლობა სხვაგვარად აღიქვა. „ელ მუნდო" წერდა, გუნდის კრიზისი გრძელდება და სამი თამაშის დიდი ანგარიშით მოგება დროებითი აღმავლობის გამო მოხდაო. „AS"-მაც დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა. ერთი სიტყვით, ჟურნალისტები მწვრთნელს არ დაეთანხმნენ. შეცდნენ კიდევაც — თავის მხრივ, კლაუდიო რანიერიმ, ხოლო „ვალენსიამ" ცალკე დაამტკიცეს, რომ გუნდში კრიზისი დაძლეულია და ფრანსისკო დე ლა ერას სახელობის სტადიონზე მასპინძელ „ესტრემადურასთან" წაგება შემთხვევითობა იყო.

მადრიდის „რეალი" არაა ის გუნდი, შემთხვევით რომ აგებს. „სამეფო კლუბს" მხოლოდ მასზე ძლიერები ამარცხებენ. „ვალენსიამ" დაადასტურა, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდზე ძლიერი იყო. 3:1 მთლიანად ასახავს იმ უპირატესობას, რაც მასპინძლებმა „რეალთან" მატჩში მოიპოვეს.

ამ სეზონში ვალენსიას ცენტრალური სტადიონი „მესტალა" გულშემატკივრების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, რაც, უპირველეს ყოვლისა, გუნდის ძლიერი თამაშით აიხსნება. ის, რომ მადრიდელ სტუმრებთან მატჩში სტადიონი გაივსებოდა, მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მომხდარმა მოლოდინს გადააჭარბა — 44-ათასიან „მესტალაზე" ზუსტად 52 ათასი ვალენსიელი გულშემატკივარი შეიკრიბა. ქომაგებმა იხარეს კიდეც.

გერმანელი მეკარე ბოდო ილგნერი განსაკუთრებული საიმედობით არასდროს გამოირჩეოდა, მეტიც, ხანდახან ისეთ გოლებს უშვებდა, მწვრთნელებს თმები ყალყზე უდგებოდათ. ილგნერს გამორჩეულად შორიდან დარტყმული ბურთების მოგერიება უჭირს. ამ შეხვედრაშიც პირველი გოლი სწორედ ზემოთქმული მიზეზის გამო გაუშვა — ერთ-ერთმა ვალენსიელმა საკმაოდ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა, ილგნერმა ბურთი ვერ მოიხელთა და გოლიც გაუშვა. მიგელ ანხელ ანგულო საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა — 1:0.

შესვენებაზე გუნდები ასეც წავიდნენ, მინდორზე დაბრუნებულნი კი გარკვეულწილად იერშეცვლილნი ჩანდნენ. „ვალენსია" კლაუდიო რანიერიმ, ალბათ, დამოძღვრა, ისევე, როგორც „რეალი" გუს ჰიდინკმა, მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ მასპინძლებმა მეტოქე მეორე ტაიმშიც დაამარცხეს. ასეთი რამ კი „რეალს" ძალიან იშვიათად ემართება. მეორე ნახევარი მადრიდელთათვის თითქოს კარგად დაიწყო — სავიომ გაასწორა, მაგრამ მწვრთნელის გამჭრიახობის და ფეხბურთელთა ოსტატობის შერწყმამ თავისი გაიტანა — არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა ორჯერ დალაშქრა ილგნერის კარი და საბოლოო შედეგიც ამცნო ფეხბურთის ქომაგებს.

— რაც უფრო მეტი იქნება ასეთი მატჩები ესპანეთის ჩემპიონატში, მონაწილეთათვის უკეთესია. ეს იყო შეხვედრა, როცა შენს შესაძლებლობებს სრულად ავლენ. მოხარული ვარ, „რეალი" რომ დავამარცხეთ. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ძლევას მაინც სხვა გემო აქვს — განაცხადა 48 წლის კლაუდიო რანიერიმ. სხვათა შორის, მატჩის წინა დღეს, 20 ნოემბერს, რანიერი ბაბუა გახდა — შვილიშვილი შეეძინა.

გამარჯვებული „ვალენსია" იმთავითვე გასახდელში არ გაუჩინარებულა. ფეხბურთელები გულშემატკივრებს ემშვიდობებოდნენ, არადა, შარშან ვინ საით გაქცეულიყო, არ იცოდა. წინა სეზონში, ვალენსიაში, პრედრაგ მიატოვიჩის და რაულის გოლების წყალობით „რეალმა" იმარჯვა, გაგულისებულმა ქომაგებმა კი სტადიონზე მდებარე კლუბის ოფისის ფანჯრები ჩალეწეს და გუნდის „მერსედესის" ტიპის ავტობუსის საქარე და რამდენიმე გვერდითი შუშაც ზედ მიაყოლეს.

მიუხედავად რამდენიმე შესანიშნავად მოგებული მატჩისა, როგორც ჩანს, გუს ჰიდინკმა და „რეალმა" ერთმანეთს ვერ გაუგეს. ჰოლანდიელს და მადრიდულ კლუბს შორის ურთიერთობა ახლა დაძაბულიც კია. ჰოლანდიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ახლა უკვე რეალურად ემუქრება სამეფო კლუბიდან წასვლის საფრთხე. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაშია ესპანეთში სამწვრთნელოდ წასული კიდევ ერთი ნიდერლანდელი ლუის ვან გაალი.

მის „ბარსელონაზე" არასტაბილური კლუბი, ალბათ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება.

მეათე ტურში „ტენერიფესთან" მართლაც ლამაზად მოგებული თამაშის შემდეგ ლუის ვან გაალმა განაცხადა, ეს წარმატება დიადი გამარჯვებების მომასწავებელიაო. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მან იცრუა. ის მოგება არაფრით იყო გამორჩეული — „ბარსელონამ" მორიგი შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით, რის შემდეგაც კატალონიელთა სიამაყე კვლავ დამარცხდა.

მას შემდეგ, რაც „ბარსელონამ" ესპანეთის თასის ფინალში „მალიორკას" სძლია (ისიც პენალტების სერიაში), „ლურჯწითლები" მეტოქეს ვერაფერს აკლებენ. გაზაფხულზე, ვალენსიაში, ქვეყნის თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩში ზეობის მერე „ბარსელონა" მესამედ დაუპირისპირდა „მალიორკას" და მესამედვე წააგო.

ექტორ რაულ კუპერმა კატალონიური გრანდი, ეტყობა, საფუძვლიანად შეისწავლა.

— გამარჯვებას მოველოდი და იცით რატომ? პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ „ბარსელონას" ავან-ჩავანი ჩინებულად ვიცოდი. შესაბამისად ავაგეთ გუნდის თამაში და წარმატებასაც მივაღწიეთ. „ბარსელონას" სეზონის წინ ორჯერ შევხვდით და ორჯერვე მოვუგეთ. მეგონა, ამის შემდეგ კლუბი შეიცვლებოდა. პირადად მე დღეს კატალონიელებს ცვლილებისა ვერაფერი შევატყე — გამარჯვებულთა მწვრთნელი წარმატების მიზეზებს ხსნიდა.

მართლაც, „მალიორკა" ამ სეზონში უკვე მესამედ შეხვდა „ბარსელონას" და მესამეჯერ დაამარცხა მეტოქე. პირველი ორი გამარჯვება მალიორკელებმა ქვეყნის სუპერთასზე მოიპოვეს.

იმ თამაშებისგან განსხვავებით, ექტორ კუპერის გუნდს მეტოქის ძლევა ახლა უფრო გაუჭირდა — ბარსელონელები ძალიან კი უტევდნენ, მაგრამ პასუხად მხოლოდ საკუთარ კარში მიიღეს გოლი.

ესპანეთის ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მარცხმა ლიდერთა შორის კვლავ გადაადგილება გამოიწვია — პრიმერა დივიზიონის პირველ ადგილს ახალი „ძველი" პატრონი გამოუჩნდა — „მალიორკა". ექსლიდერმა ვიგოს „სელტამ" სეზონში პირველად წააგო „ალავესთან" და ერთი საფეხურით ქვევით ჩაინაცვლა.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მალიორკა | 11 | 6 | 4 | 1 | 13:4 | +9 | 22 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | +9 | 16 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 |
| 2 | სელტა | 11 | 5 | 5 | 1 | 20:11 | +9 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | +7 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | +2 | 9 |
| 3 | ბარსელონა | 11 | 5 | 4 | 2 | 20:12 | +8 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | +7 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | +1 | 8 |
| 4 | რეალი | 11 | 5 | 3 | 3 | 24:18 | +6 | 18 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 5 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:10 | +5 | 13 |
| 5 | ვალენსია | 11 | 6 | 0 | 5 | 19:13 | +6 | 18 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | +9 | 15 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:8 | -3 | 3 |
| 6 | ატლეტიკო | 11 | 5 | 2 | 4 | 21:14 | +7 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:3 | +15 | 16 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 |
| 7 | დეპორტივო | 11 | 4 | 5 | 2 | 14:11 | +3 | 17 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | +7 | 14 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 8 | რასინგი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 0 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | +6 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 9 | სარაგოსა | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | -1 | 16 | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | -3 | 6 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | +2 | 10 |
| 10 | ოვიედო | 11 | 4 | 3 | 4 | 15:16 | -1 | 15 | 6 | 2 | 1 | 2 | 6:4 | +2 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:12 | -3 | 5 |
| 11 | ვალიადოლიდი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:14 | -3 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | +4 | 13 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | -7 | 3 |
| 12 | სალამანკა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:18 | -7 | 14 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | +4 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | -11 | 1 |
| 13 | ბეტისი | 11 | 4 | 2 | 5 | 7:14 | -7 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 7 |
| 14 | ესპანიოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:13 | 0 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | +1 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 4 |
| 15 | ბილბაო | 11 | 4 | 1 | 6 | 17:20 | -3 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | +1 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 6 |
| 16 | სოსიედადი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | -3 | 13 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | +4 | 11 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 17 | ალავესი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:12 | -3 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | +1 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 18 | ვილიარეალი | 11 | 2 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | +3 | 8 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | -7 | 2 |
| 19 | ტენერიფე | 11 | 2 | 4 | 5 | 15:19 | -4 | 10 | 6 | 0 | 4 | 2 | 7:9 | -2 | 4 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | -2 | 6 |
| 20 | ესტრემადურა | 11 | 2 | 2 | 7 | 7:20 | -13 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიქტორ სანჩესი (რასინგი) | 7 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 6 |
| რაული (რეალი) | 6 |
| ურსაისი (ბილბაო) | 6 |
| მაკაი (ტენერიფე) | 6 |

### XII ტური

29 ნოემბერი

ვილიარეალი - ალავესი
ვალიადოლიდი - დეპორტივო
ბარსელონა - ატლეტიკო
ბილბაო - მალიორკა
ბეტისი - ტენერიფე
სარაგოსა - ოვიედო
რასინგი - სოსიედადი
ესტრემადურა - ესპანიოლი
რეალი - სალამანკა
სელტა - ვალენსია

## მეორე დივიზიონი

### XIII ტური

ლეიდა 0:0 რაიო

ოსასუნა 0:0 ერკულესი

მერიდა 1:1 ტოლედო
0:1 კინი (63), 1:1 ბრაულიო (163)

ლეგანესი 0:0 ალბასეტი

მალაგა 3:2 ლოგრონიესი
1:0 ბასტი (12), 2:0 კატანია (38), 2:1 რედონდო (48), 3:1 ბასტი (68), 3:2 რიკარდო (75)

ნუმანსია 2:1 ატლეტიკო B
1:0 ანხელი (673), 2:0 კასტანიო (69), 2:1 ბარახა (71)

კომპოსტელა 2:0 მალიორკა B
1:0 პრიეტო (30), 2:0 ფაბიანო (77)

სევილია 1:3 ლას პალმასი
0:1 ორლანდო (33), 0:2 რენალდო (41), 0:3 ელოი (80), 1:3 ცარტასი (84)

ორენსე 1:2 სპორტინგი
0:1 ნაჩო (17), 1:1 ხ. კორტინა (34), 1:2 ისმა (76)

რეკრეატივო 2:0 ეიბარი
1:0, 2:0 პუნტასი (26, 55)

ბადახოსი 1:0 ბარსელონა B
1:0 სანდრო (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 13 | 10 | 3 | 0 | 27:6 | 33 |
| ტოლედო | 13 | 7 | 5 | 1 | 18:8 | 26 |
| რაიო | 13 | 6 | 6 | 1 | 18:14 | 24 |
| ლას პალმასი | 13 | 6 | 5 | 2 | 20:10 | 23 |
| ოსასუნა | 13 | 6 | 4 | 3 | 13:7 | 22 |
| ლეიდა | 13 | 6 | 4 | 3 | 17:13 | 22 |
| სევილია | 13 | 6 | 4 | 3 | 16:12 | 22 |
| ატლეტიკო B | 13 | 6 | 3 | 4 | 24:19 | 21 |
| მალაგა | 13 | 6 | 3 | 4 | 18:17 | 21 |
| კომპოსტელა | 13 | 5 | 5 | 3 | 20:15 | 20 |
| რეკრეატივო | 13 | 5 | 4 | 4 | 9:7 | 19 |
| მერიდა | 13 | 4 | 6 | 3 | 13:11 | 18 |
| ლოგრონიესი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | 16 |
| ლეგანესი | 13 | 4 | 2 | 7 | 11:19 | 14 |
| მალიორკა B | 13 | 4 | 1 | 8 | 17:21 | 13 |
| ალბასეტე | 13 | 3 | 4 | 6 | 9:14 | 13 |
| ერკულესი | 13 | 3 | 4 | 6 | 12:18 | 13 |
| ორენსე | 13 | 4 | 1 | 8 | 11:18 | 13 |
| ბადახოსი | 13 | 3 | 3 | 7 | 9:12 | 12 |
| სპორტინგი | 13 | 2 | 4 | 7 | 10:20 | 10 |
| ეიბარი | 13 | 2 | 2 | 9 | 11:23 | 8 |
| ბარსელონა B | 13 | 1 | 3 | 9 | 12:28 | 6 |

## საფრანგეთი

XV ტური

**ლიონი 2:1 მარსელი**
1:0 ლინარესი (17), 2:0 ვიოლო (56), 2:1 მორისი

**მონაკო 0:2 ბორდო**
0:1 ლასლანდი (6), 0:2 მიკუ (39)

**პსჟ 2:1 რენი**
1:0 რაბესანდრატანა (38), 1:1 ნონდა (64), 2:1 ლერუა (67)

**ლანსი 1:0 ბასტია**
1:0 დებევი (90)

**სოშო 1:1 სტრასბური**
0:1 არპინო (54), 1:1 ფიავუ (73)

**ლორიანი 1:0 ტულუზი**
1:0 ლოკო (25)

**ნანტი 1:1 მონპელიე**
0:1 სილვესტრი (10), 1:1 დე კრუა (38)

**ოსერი 1:0 მეცი**
1:0 კლოსი (84)

**ნანსი 1:0 ლე ავრი**
1:0 კასკარინო (90)

# ზოგი უქმობს, ზოგი მუშაობს

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-15 ტურში მარსელის „ოლიმპიკის" თოთხმეტმატჩიანი წაუგებელი სერია ლიონის „ოლიმპიკმა" შეწყვიტა. ბოლო წლებია, მარსელელები ლიონში მეტად უხეიროდ თამაშობენ. თავიანთ ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხიც მათ აქ განიცადეს ორი წლის წინ. მაშინ სამხრეთელთა კარს გერმანელი ანდრეას კეპკე იცავდა, რომელსაც იმ დღეს რვაჯერ მოუწია ბურთის საკუთარი კარიდან გამოტანა. ამ რვა გოლს კი სტუმრებმა ვერაფრით უპასუხეს. „დღეს დაცვა საერთოდ არ გვყავდა. ეს უბრალოდ კოშმარი იყო, რომელიც მალე უნდა დავივიწყოთ" — თქვა მაშინ კეპკემ, ვისაც 0:8 წაგებაში ყველაზე ნაკლები წილი ედო. გასულ ხუთშაბათს კი „მარსელმა" ასე სამარცხვინოდ არა, მაგრამ მაინც წააგო და „ბორდოს", რომელმაც მონაკოში მოიგო, წამოწევის საშუალება მისცა. „დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ოღონდ ახლა ემოციებს არ უნდა ავყვეთ და ისევ ისე გავაგრძელოთ თამაში. იმედია, უეფას თასზე „ბრიუგეს" ბარიერს დავძლევთ და შემდეგ ეტაპზეც გავალთ" — ზომიერების გრძნობამ არ უღალატა ლიონური „ოლიმპიკის" თავკაც ბერნარ ლაკომბს.

მატჩი კი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ჯერ გალასი, მერე კი რუა დაემუქრნენ მასპინძელთა კარს. მალე ლიონელებმა თამაში გაათანაბრეს და მე-17 წუთზე ანგარიშიც გახსნეს: ახალგაზრდა მალბრანკმა ერთი ფლანგიდან მეორეზე ლინარესს გადაუგზავნა ბურთი, რომელმაც დაუყოვნებლივ მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი ლორან ბლანს მოხვდა და კვლავ ლინარესთან მივიდა, მასაც გატანა არ გასჭირვებია. მეორე ტაიმში როლან კურბისმა თავდასხმა გააძლიერა — პირესი და მორისი გავიდნენ მოედანზე. თუმცა გოლი მაინც მოწინააღმდეგემ გაიტანა — ვიოლომ საჯარიმო დარტყმა მშვენივრად შეასრულა და ულამაზესი ბურთიც შეუგდო პორატოს. ლიდერმა ერთი გოლი მაინც გაქვითა. ეს ორი წლის წინ „ლიონში" მოთამაშე ფლორიან მორისმა შეძლო. ტიტი კამარას მიერ კარის ხაზის გასწვრივ დაბალ პასს „ლიონის" გაზრდილმა პირველმა მიუსწრო და მშობლიურ გუნდსაც გაუტანა. 84-ე წუთზე მასპინძლები ათნი დარჩნენ. პირესთან უხეშობისთვის მინდორი ბაკს დაატოვებინეს, თუმცა ამას „ლიონისთვის" ხელი არ შეუშლია და „მარსელს" 18 აპრილის შემდეგ პირველი მარცხი აგემა. „წავაგეთ, მაგრამ ურიგოდ არ გვითამაშია. ჩემი აზრით, ფრეს ნამდვილად ვიმსახურებდით. ამ მატჩმა აჩვენა, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდი ვართ და წლეულს რაიმე ტურნირის მოგების ძალა შეგვწევს" — თავს იმშვიდებდა დამარცხებული კლუბის თავკაცი როლან კურბისი.

ხუთშაბათს მონაკოს ეროვნული დღესასწაული იყო. ყველას ეგონა, რომ ტიგანას შეგირდები სათავადოს ზეიმის საკადრის თამაშს გამართავდნენ და შინ ზედიზედ მეშვიდე მატჩს მოიგებდნენ, მაგრამ თუ მონაკოელებისთვის ის დღე უქმე იყო, სამაგიეროდ, ბორდოელები მუშაობდნენ. ჰოდა, მომხდურებმაც იოლად იმარჯვეს და ლიდერს ერთბაშად სამი ქულით მიეწივნენ. „ისევე როგორც წინა კვირაში ბასტიაში, დღესაც ძალიან უნიათოდ ვითამაშეთ. ამაზე დაფიქრება გვმართებს" — აღელვებას ვერ მალავდა ჟან ტიგანა. პირველი გოლი მატჩის დასაწყისშივე გავიდა. ერვე ალიკარტი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა. ფაბიენ ბარტეზი ოდნავ შეყოყმანდა და ლილიან ლასლანდმაც მუხლით შეაგდო ბურთი მსოფლიოს ჩემპიონი მეკარის ბადეში. ეს ლასლანდის მეექვსე გოლი იყო ამ სეზონში. „ბორდოს" ცენტრალურმა თავდამსხმელმა მეორე გოლშიც დაიდო წილი. მისი პასის მერე იოან მიკუმ ბურთი ბარტეზს თავზე გადაუგდო და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. „მეტისმეტად საჭირო სამი ქულა ავიღეთ. რაც მთავარია, მშვენივრად ვითამაშეთ და „სოშოსთან" შინ დაკარგული ორი ქულის შემდეგ შექმნილი მინიკრიზისი იოლად დავძლიეთ. ახლა მთელ ძალებს უეფას თასზე გადავიტანთ" — განაცხადა ჟირონდელთა მწვრთნელმა ელი ბოპმა.

„მონაკოს" ფეხბურთელებმა კი „ლუი II"-ის სახელობის სტადიონი სტვენის თანხლებით დატოვეს.

დედაქალაქურ გუნდს ბოლოს და ბოლოს დაეტყო, რომ მასში ვარსკვლავები თამაშობენ. პორტუგალიელმა არტურ ჟორჟემ შეძლო ის, რაც ფრანგმა ალენ ჟირესმა ვერ გააკეთა: სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელებისგან მებრძოლი კლუბის შექმნა. თავისი მეექვსე მოგების წყალობით „პარი სენ ჟერმენი" ევროპის საგზურების მაძიებელთა რიგებში გაერია მაშინ, როცა „რენი" ერთ ადგილას ტკეპნის და უკვე სამი თამაშია, არ მოუგია. პსჟ-ს ორივე გოლი კუთხურებს მოჰყვა. ჯერ ერიკ რაბესანდრატამ გაუტანა ყოფილ თანაგუნდელ კრისტოფ რევოს თავით, შემდეგ კი ექსპარიზელი მიეხმარა თავის შარშანდელ კლუბს. რევოს კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე მყოფმა ჟერომ ლერუამაც იხეირა. ლერუას გოლამდე ერთი წუთით ადრე კი ბურუნდელმა საბანი ნონდამ ანგარიშში წონასწორობა აღადგინა, მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ერთობ მოკლე ხნით. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთით ადრე ბრეტონელებს მარცხისგან თავის დაღწევა შეეძლოთ: ჯერ სედრიკ ბარდონის დარტყმული მოხვდა ზედა ძელს, ხოლო რამდენიმე წამში კი ნონდას თავური ბერნარ ლამას კარის მარჯვენა ძელმა მოიგერია. მაგრამ იმ დღეს ფორტუნა პსჟ-ს მხარეს იყო და პარიზელებმაც მორიგი სამი ქულა აიღეს. ამ გამარჯვებით კლუბი, რომლის მფლობელიც ფრანგული ტელეკომპანია „canal+"-ია, მეექვსე ადგილამდე ალზევდა.

ბოლო წუთზე მიკაელ დებევის შორიდან გატანილი გოლი რომ არა, თერთმეტი ლანსელი შინ ცხრა ბასტიელს ვერ მოუგებდა. მთელი ორი ტაიმი მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ კორსიკელების დაცვა და მეკარე უნაკლოდ ირჯებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ მატჩი საცქერლად მეტად უსიამოვნო გამოდგა. საგოლე მომენტებიც ძალიან ცოტა შეიქმნა და ხისტი ბრძოლაც ძირითადად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. 72-ე წუთზე გატუნისელებულმა ბრაზილიელმა კლეიტონმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და სტუმრები უმცირესობაში დატოვა. სამიოდ წუთში თანაგუნდელის კვალს მსაჯმა მაზონსინიც გაუყენა, მაგრამ ამით „ბასტიის" დაცვითი ჯებირი არ მორღვეულა. და რომ არა 90-ე წუთზე მიკაელ დებევის დარტყმა...

საინტერესოა, რომ კორსიკელებივით ცხრა მოთამაშით დაამთავრა შეხვედრა „სოშომაც", თუმცა მათ „სტრასბურისთვის" უმცირესობაში გოლის გატანაც შეძლეს და ერთი ქულაც დამსახურებულად მოიპოვეს.

დაბოლოს, პირველი საშინაო გამარჯვება იზეიმა პირველი დივიზიონის დებიუტანტმა „ლორიანმა". სამი ქულის აღებაში მათ პატრის ლოკოს ერთადერთი გოლი მიეხმარა. ლოკო ორიოდ დღის წინ გადავიდა პროვინციულ გუნდში დედაქალაქური პსჟ-დან. ამ ტრანსფერში ბრეტონელებს სანტიმიც არ გადაუხდიათ. სამაგიეროდ, ისინი იმ შვიდი თვის განმავლობაში, რაც კონტრაქტით ლოკოს პსჟ-ში უნდა ეთამაშა, ექსნანტელს იგივე ხელფასს გადაუხდიან, რასაც იგი პარიზში იღებდა. ახალი შენაძენი რომ მართლაც მაღალი დონისაა, ამაში „ლორიანის" ხელმძღვანელობა ლოკოს ნათამაშევ პირველივე მატჩში დარწმუნდა. ახლა მათ იმედი მიეცათ, რომ გაისისთვის უძლიერესთა რიგებში ადგილს შეინარჩუნებენ.

**გაიოზ თალაკვაძე**



REUTERS პარიზიდან

პსჟ — რენი. პარიზელთა იტალიელი თავდამსხმელი მარკო სიმონე (მარცხნივ) გოლის გატანას ბევრს ეცადა, თუმცა ამაოდ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 15 | 11 | 3 | 1 | 30:12 | 36 |
| ბორდო | 15 | 11 | 2 | 2 | 31:12 | 35 |
| რენი | 15 | 8 | 3 | 4 | 19:16 | 27 |
| ლიონი | 15 | 6 | 6 | 3 | 20:12 | 24 |
| მონაკო | 15 | 7 | 2 | 6 | 22:16 | 23 |
| პსჟ | 15 | 6 | 4 | 5 | 18:13 | 22 |
| ოსერი | 15 | 6 | 4 | 5 | 18:18 | 22 |
| მონპელიე | 15 | 6 | 3 | 6 | 27:25 | 21 |
| ბასტია | 15 | 6 | 2 | 7 | 18:17 | 20 |
| ლანსი | 15 | 6 | 2 | 7 | 22:22 | 20 |
| ნანტი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| სტრასბური | 15 | 5 | 5 | 5 | 13:14 | 20 |
| ნანსი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:19 | 17 |
| მეცი | 15 | 3 | 6 | 6 | 11:18 | 15 |
| სოშო | 15 | 3 | 4 | 8 | 13:30 | 13 |
| ლე ავრი | 15 | 2 | 6 | 7 | 10:18 | 12 |
| ლორიანი | 15 | 2 | 5 | 8 | 11:23 | 11 |
| ტულუზი | 15 | 2 | 5 | 8 | 10:24 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილტორდი (ბორდო) | 10 |
| მორისი (მარსელი) | 9 |
| რავანელი (მარსელი) | 7 |
| ანდრე (ბასტია) | 7 |
| კასკარინო (ნანსი) | 7 |
| სიმონე (პსჟ) | 7 |

## შვეიცარია

XIX ტური

**გრასჰოპერი 2:1 ბაზელი**
1:0 ტიკვა (47), 2:0 თურქილმაზი (80), 2:1 პერესი (88)
გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, კაბანასი, მაცარელი, გრენი, ბერნერი, ტიკვა, ფოგელი, ტარარახე (ესპოზიტო 78), კომიზეტი, ყაველაშვილი (ნკუფო 67), თურქილმაზი (მაგრო 85)

**იანგ ბოისი 1:2 ციურიხი**
1:0 კერლი (73), 1:1, 1:2 ნიქსონი (83,85)

**ლუგანო 0:2 არაუ**
0:1 პავლიჩევიჩი (62), 0:2 ესპოზიტო (90)

**სენტ გალენი 0:0 ქსამაქსი**

**სიონი 0:0 ლუცერნი**

**ლოზანა 0:0 სერვეტი**

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „გრასჰოპერმა" მოიგო. „კალიებმა" ციურიხში, ოღონდ მეორე სტადიონზე, „ლეტციგრუნდზე" უმასპინძლეს „ბაზელს", რადგან „ჰარდთურმზე" მცირე რემონტია.

ამ შეხვედრაში მასპინძლებს ხუთი ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი დაემატათ, მათ შორის თურქილმაზიც, რომელიც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა როლფ ფრინგერმა წინა ტურში ჩემპიონატის ლიდერ „სერვეტთან" არ ათამაშა, მძიმე ტრავმა აქვსო. ეტყობა, მაშინ ფრინგერმა შეგნებულად დაასვენა წამყვანი ფეხბურთელები, მიზეზად კი ტრავმები დაასახელა. „ბაზელთან" ერთ-ერთი საუკეთესო მიხეილ ყაველაშვილი გახლდათ, რომელმაც ძალიან აქტიურად ჩაატარა ეს მატჩი. მიშას დებიუტშივე შეეძლო მასპინძელთა დაწინაურება, მაგრამ მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. შუაგულ ტაიმში ისევ ყაველაშვილს მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ბურთი კარს ოდნავ ააცილა. მალე თურქილმაზმაც ჩვენებურს მიჰბაძა, ახლოდან უზუსტოდ დაარტყა და რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. ყაველაშვილს გარჯა 47-ე წუთზე დაუფასდა. მისი კარგი პასის შემდეგ ისრაელის ნაკრების წევრმა ავი ტიკვამ ანგარიში გახსნა. 68-ე წუთზე ფრინგერმა ყაველაშვილი გამოცვალა. შეხვედრის დასასრულამდე ათი წუთით ადრე მასპინძელთა შეტევა მეორე გოლით დასრულდა. მაცარელის წამოწყებული შეტევა თურქილმაზმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. მატჩის მიწურულს სტუმრებმა მოახერხეს ანგარიშის შემცირება — ბურთი პერესმა გაიტანა.

შეხვედრის შემდეგ კარგ ხასიათზე მყოფმა ფრინგერმა განაცხადა, ეს გამარჯვება უეფას თასზე „ბორდოსთან" მატჩის წინ ფსიქოლოგიურად ძალიან წაგვადგებაო. შეგახსენებთ, ეს თამაში დღეს შედგება.

მეცხრამეტე ტურში გამართული ექვსი შეხვედრიდან სამში გოლი საერთოდ არ გასულა. მათ შორის, არც „ლოზანა" — „სერვეტის" მატჩში, თუმცა, ამის მიუხედავად, სერვეტელები მაინც პირველი ადგილზე არიან. ასევე ფრედ ითამაშა „ქსამაქსმა" სტუმრად „სენტ გალენთან" და მეორე ადგილი „გრასჰოპერს" გადაულოცა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 18 | 11 | 6 | 1 | 33:19 | 39 |
| გრასჰოპერი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:23 | 32 |
| ციურიხი | 19 | 8 | 7 | 4 | 28:20 | 31 |
| ქსამაქსი | 18 | 7 | 9 | 2 | 29:19 | 30 |
| ლოზანა | 18 | 8 | 6 | 4 | 33:32 | 30 |
| სენტ გალენი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:25 | 25 |
| ბაზელი | 19 | 7 | 3 | 9 | 17:29 | 24 |
| ლუცერნი | 18 | 5 | 6 | 7 | 24:24 | 21 |
| სიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:32 | 20 |
| ლუგანო | 18 | 4 | 6 | 8 | 28:33 | 18 |
| იანგ ბოიზი | 19 | 3 | 6 | 10 | 30:31 | 15 |
| არაუ | 18 | 2 | 5 | 11 | 24:38 | 11 |

## საბერძნეთი

მე-10 ტური. არისი — ოლიმპიაკოსი 1:0, პანათინაიკოსი — ირაკლისი 3:2, აპოლონი — პაოკი 1:4, აეკი — იონიკოსი 2:1, ვერია — პრუდეფტიკი 3:1, ეთნიკოსი (პირეოსი) — პანიონისი 0:4, კავალა — ქსანტი 1:1, ოფი — პანილიაკოსი 3:1, პანელეფსინიაკოსი — ეთნიკოსი (ათენი) 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 10 | 8 | 1 | 1 | 22:11 | 25 |
| აეკი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:8 | 23 |
| ქსანტი | 10 | 6 | 2 | 2 | 13:8 | 20 |
| ოლიმპიაკოსი | 9 | 6 | 1 | 2 | 23:7 | 19 |
| არისი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:11 | 17 |
| პაოკი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:10 | 17 |
| პანილიაკოსი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:13 | 16 |
| იონიკოსი | 10 | 4 | 1 | 5 | 18:15 | 13 |
| ეთნიკოსი (ა) | 10 | 4 | 1 | 5 | 15:18 | 13 |
| პანიონისი | 9 | 4 | 1 | 4 | 22:14 | 13 |
| ოფი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:11 | 13 |
| ირაკლისი | 10 | 3 | 3 | 4 | 15:13 | 12 |
| კავალა | 10 | 3 | 3 | 4 | 19:24 | 12 |
| პანელეფსინ. | 10 | 2 | 4 | 4 | 7:12 | 10 |
| ვერია | 10 | 1 | 4 | 5 | 4:13 | 7 |
| აპოლონი | 10 | 1 | 3 | 6 | 13:28 | 6 |
| პრუდეფტიკი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:19 | 6 |
| ეთნიკოსი (პ) | 10 | 0 | 3 | 7 | 2:22 | 3 |

## შოტლანდია

XV ტური

**სელტიკი 5:1 რეინჯერსი**
1:0, 2:0 მორავჩიკი (11, 49), 3:0 ლარსონი (51), 3:1 ვან ბრონკჰორსტი (53), 4:1 ლარსონი (57), 5:1 ბარჩილი (89)

**აბერდინი 0:1 სენტ ჯონსტონი**
0:1 სიმაო (38)

**ჰართსი 2:1 დანფერმლაინი**
0:1 ედინიო (18), 1:1 ფლოგელი (61), 2:1 მაკკენი (90)

**კილმარნოკი 0:0 მოზერველი**

**დანდი იუნაიტედი 0:1 დანდი**
0:1 გრეიდი (82)

„პარკჰედზე" შეკრებილი 60 ათასამდე ფანის უმეტესობა შაბათს სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა, ნაწილი კი თავდახრილი ტოვებდა სტადიონს.

გლაზგოური დერბი არ არის უბრალოდ დერბი. იგი ყოველთვის ისეთი ჯიგრიანია, როგორიც „ლივერპული" — „ევერტონი", ანაც „მილანი" — „ინტერი", მაგრამ 21 ნოემბერს გულიანად მარტო ერთი გუნდი, პირობითად მასპინძელი „სელტიკი" ირჯებოდა. აკი აისახა კიდეც ეს ანგარიშში, რომელიც სარეკორდო გამოდგა ამ ორი კლუბის შეხვედრათა ისტორიაში.

5:1 — ამას ნაღდად არავინ მოელოდა, თვით „სელტიკის" თავგადაკლული ქომაგებიც კი.

ამ შეხვედრას კიდევ ერთი ინტრიგა ახლდა — თუ ჩემპიონი დამარცხდებოდა, მისი სლოვაკი თავკაცი იოჟეფ ვენგლოში უმუშევარი რჩებოდა, მაგრამ მან ისეთი გმირობა ჩაიდინა, ამის შემდეგ „სელტიკმა" სულ „დანფერმლაინთან" და „დანდი იუნაიტედთან" რომ აგოს, საყვედურს ველარავინ ეტყვის.

ვენგლოში რომ სამუშაოდან არ დაითხოვეს და გარკვეული ხნით გლაზგოელთა ერთი ნაწილის კერპად იქცა, მისი თანამემამულის, სლოვაკეთის ნაკრების ვეტერანი გამთამაშებლის ლუბომირ მორავჩიკის დიდი დამსახურებაცაა, რომელიც ვენგლოშმა სულ ერთი თვის წინ გადაიბირა გერმანული „დუისბურგიდან" 300 ათას გირვანქად. ფეხბურთელმა გაამართლა მწვრთნელის მიერ გაცემული ავანსი — სწორედ მის მიერ შექმნილ საფუძველზე აშენდა „სელტიკის" დიდებული გამარჯვება.

საფუძველი კი მორავჩიკმა მართლაც მყარი შექმნა — ჯერ მე-11 წუთზე გაიტანა საიმონ დონელის ზუსტი პასის შემდეგ, მერე, როცა მეორე ტაიმი 4 წუთის დაწყებული იყო, დაახლოებით 12 მეტრიდან საკმაოდ ლამაზი თავურით ანგარიში ორამდე გაზარდა. ამ გოლებს შორის, პირველი ნახევრის შუაწელში, „რეინჯერსი" კაცნაკლული დარჩა — უხეშობისთვის ცენტრალური მცველი სკოტ უილსონი გააძევეს.

მორავჩიკის მეორე გოლიდან სულ რაღაც ორი წუთი იყო გასული, ახლა უკვე როდ უოლესთან ერთად ჩემპიონატის ბომბარდირმა ჰენრიკ ლარსონმა, რომელიც შვედეთში წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, იმავე მორავჩიკის გადაცემის შემდეგ მესამედ რომ დალაშქრა „მოსისხლე მტრის" კარი.

ამას ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა, მაგრამ ის იყო, „რეინჯერსის" ქომაგთა გულებში იმედმა დაისადგურა, ლარსონმა კიდევ ერთი გაიტანა და „სელტიკის" ფანობა საბოლოოდ დაამშვიდა და გაახარა.

რაც შეეხება ბოლო გოლს, იგი თინეიჯერმა ბარჩილმა გაიტანა და მეტად სასპატიო მისიაც შეასრულა — გლაზგოურ დერბიში „რეინჯერსის" განადგურებას წერტილი დაუსვა.

— მეორე ტაიმში რატომღაც ღია კარის დღე მოვაწყეთ — მოკლედ და კონკრეტულად შეაფასა თავის შეგირდების გარჯა გაავთრებულმა დიკ ადვოკაატმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

უმუშევრად დარჩენის პერსპექტივას გადარჩენილი იოჟეფ ვენგლოში კი, რა თქმა უნდა, ძლიერ კმაყოფილი იყო — სალაპარაკო ბევრი არაფერი მაქვს, ყველაფერი თავად ნახეთ. რაც შეეხება მორავჩიკს, მან ასაკის მიუხედავად (სლოვაკი ფეხბურთელი 33 წლისაა) კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი.

**დავით ქოფზირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 15 | 9 | 3 | 3 | 29:13 | 30 |
| კილმარნოკი | 15 | 6 | 7 | 2 | 18:10 | 25 |
| სელტიკი | 15 | 6 | 5 | 4 | 30:17 | 23 |
| სტ. ჯონსტონი | 15 | 6 | 5 | 4 | 18:21 | 23 |
| ჰართსი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:19 | 19 |
| დანდი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:20 | 19 |
| მოზერველი | 15 | 4 | 6 | 5 | 13:20 | 18 |
| დანდი იუნ. | 15 | 3 | 5 | 7 | 13:18 | 14 |
| აბერდინი | 15 | 3 | 5 | 7 | 15:21 | 14 |
| დანფერმლაინი | 15 | 2 | 8 | 5 | 13:20 | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიის ჩემპიონატი. გაიმართა მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები. კორინტიანსი — გრემიო 0:2 (1:0); სანტოსი — სპორტ რესიფე 2:1 (1:3); კურიტიბა — პორტუგეზა 0:0 (1:3); პალმეირასი — კრუზეირო 2:1 (1:2). ნახევარფინალში გასასვლელი ადგილები გუნდებმა მესამე თამაშებში უნდა გაარკვიონ.

**არგენტინის ჩემპიონატი. მე-16 ტური:** ტალერესი — ხიმნასია (ლა პლატა) 2:1; რივერ პლეიტი — ნიუელს ოლდ ბოისი 2:0; ინდეპენდიენტე — ხიმნასია (ხუხუი) 0:0; ურაკანი — სან ლორენსო 0:2; ლანუსი — ფერო კარილ ოესტი 0:0; არგენტინოს ხუნიორსი — უნიონი 2:2; კოლონი — პლატენსე 2:1; ველესი — რასინგი 0:3; როსარიო სენტრალი — ბოკა ხუნიორსი 2:3. 40 ქულით გათამაშებას ლიდერობს „ბოკა ხუნიორსი". მას 9 ქულით ჩამორჩება ლა პლატის „ხიმნასია".

კვიპროსის ჩემპიონატი. მე-9 ტური: ანორთოსისი — ოლიმპიაკოსი 7:1; ევაგორასი — აპოელი 2:3; ომონია — არისი 5:1; აპოლონი — აეკი 5:0; დოქსა — ენოსისი 4:5; ეთნიკოსი — აელი 2:1; ალკი — ნეა სალამინა 0:2. 22 ქულით ლიდერობენ „ანორთოსისი" და „აპოელი".

**ხორვატიის ჩემპიონატი. მე-14 ტური:** ზადარკომერცი — დრაგოვილიაცი 2:1; შიბენიკი — მლადოსტ 127 4:1; ჰაიდუკი — ციბალია 2:0; ზაგრები — სლავენი 1:1; რიეკა — ვარტექსი 3:2; ოსიეკი — კროაცია 0:1. 35 ქულით ლიდერობს „კროაცია". მას 4 ქულით ჩამორჩება „რიეკა".

უკრაინის თასი. გაიმართა მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები. დინამო (კიევი) — მეტალისტი 3:0 (1:1); კრივბასი — შახტიორი 0:0 (1:0); ზირკა — ტავრია 1:0 (1:2); კარპატი — ვორსკლა 3:0 (6:2). ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: დინამო — ზირკა; შახტიორი — კარპატი.

**ჩეხეთის ჩემპიონატი. მე-14 ტური:** დრნოვიცე — ბანიკი 0:0; ჰრადეცი — იაბლონეცი 2:2; კარვინა — ბობი 1:3; ოპავა — დუკლა 2:2; სლავია — ტეპლიცე 2:1; სლოვანი — შმელი 2:0; ვიკტორია (პლზენი) — ვიკტორია (ჟიჟკოვი) 1:0; სიგმა — სპარტა 1:1. 28 ქულით ლიდერობს დედაქალაქის „სპარტა", „ტეპლიცე" 27 ქულით მეორეა.

რუმინეთის ჩემპიონატი. მე-15 ტური: სტიაუა — ნაციონალი 1:0; პეტროლული — დინამო 2:3; ონესტი — უნივერსიტატეა (კრაიოვა) 3:2; არჯეში — უნივერსიტატეა (კლუჟი) 3:0; რაპიდი — ასტრა 1:0; ჩახლაული — გლორია 3:2; ბაკაუ — ფორესტა 4:1; ფარული — ოცელული 0:1; რესიტა — ოლიმპია 1:1. 38 ქულით ლიდერობენ დედაქალაქის გუნდები „რაპიდი" და „დინამო".

**უნგრეთის ჩემპიონატი. მე-16 ტური:** ზალაეგერცეგი — ჰალადაში 3:1; ფერენცვაროში — ვაშაში 3:1; დიორ ეტო — კერულეტი 3:0; ვიდეოტონი — დუნაფერი 4:4; ვაცი — კიშპეშტი 4:1; უპეშტი — მტკ 1:2; დებრეცენი — გაზერი 4:0; ნიერშეგი — დიოშდიორი 3:1; ბვსც — შიოფოკი 0:1. 38 ქულით ლიდერობს „მტკ" ბუდაპეშტი. მას 3 ქულით ჩამორჩება „დიორ ეტო".

ბულგარეთის ჩემპიონატი. მე-13 ტური: მინიორი — ლევსკი (სოფია) 2:2; ცსკა — სპარტაკი 2:1; ბოტევი — დობრუჯა 3:2; შუმენი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 1:0; პირინი — სეპტემვრი 2:1; ლევსკი (კუისტენდილი) — მეტალურგი 7:1; ნეფტოხიმიკი — ლიტექსი 1:4; ლოკომოტივი (სოფია) — სლავია 0:2. 30 ქულით ლიდერობს „ლიტექსი". მას 2 ქულით ჩამორჩება სოფიის „ლევსკი".

**იუგოსლავიის ჩემპიონატი. მე-15 ტური:** ჰაიდუკი (კულა) — ბუდუჩნოსტი 3:0; მილიციონარი — პარტიზანი 0:1; ობილიჩი — პროლეტერი 2:0; ოფკ — რადი 1:1; რადნიჩკი (ნისი) — ზემუნი 0:1; პრისტინა — გოივოდინა 2:1; ზელეზნიკი — სარტიდი 1:1; სპარტაკი — ცრვენა ზვეზდა 1:3; მოგრენი — რადნიჩკი (კრაგუიევაცი) 1:0. 45 ქულით ლიდერობს „პარტიზანი". მას 6 ქულით ჩამორჩება „ობილიჩი".

## ჰოლანდია

### ვალვაიკი 0:1 აიაქსი

0:1 ბლინდი (8)

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი, ფ. დე ბური, სიერი (რუდი 56), რ. დე ბური, დანი (გორი 84), ვიჩხე, ვამბერტო, პოსი, ძინძლაძე (პუქსტრა 76)

### ბრედა 1:1 სიტარდი

0:1 პამინგი (9), 1:1 სტიუარტი (65პ)

ბრედა: დე ვოგტი, ვან დერ ლუი, შროიდერი, გუდელი, ატმოდიკორო, ბოში, ნოპი, სტიუარტი, ფესკენსი, არველაძე (კრისტიანი 46), მილიჩიჩი (ზეფილინიო 81)

### ეინდჰოვენი 5:0 უტრეხტი

1:0 ხავიერი (22), 2:0 ვან ნისტელროი (45პ), 3:0 ფუქსი (49), 4:0 ვან ნისტელროი (51), 5:0 დე ბილდე (80)

ეინდჰოვენი: ნიდი, ხავიერი, ნიკიფოროვი, ოიენი, ხოხლოვი, ვან დერ დოლენი (კოლკა 73), ფუქსი, ივანი, ვან ნისტერლოი (დე ბილდე 65), ნილისი (ბრუგინკი 65)

### სპარტა 0:0 ალკმაარი

### ფეიენოორდი 4:0 კამბური

1:0 დე რო (40ს.კ.), 2:0, 3:0 კრუზი (43, 85), 4:0 ვან ფოსენი (90)

### როდა 3:1 ვიტესი

0:1 ბუთი (3), 1:1 ნიგაარდი (16), 2:1 გრედე (62), 3:1 ნიგაარდი (64)

### გრააფსხაპი 1:1 ჰერევენი

0:1 მიტრიცა (75), 1:1 ვაისანენი (76)

### ტვენტე 5:1 ტილბურგი

1:0 ბოსმენი (1), 2:0 ტერ ავესტი (12), 3:0 კამპუსი (51), 4:0 პესედინკი (69), 4:1 ბომბარდა (78), 5:1 ბოსმანი (84)

### მაასტრიხტი 0:3 ნაიმეგენი

0:1 კონინგი (56), 0:2 ელერმანი (78), 0:3 ტუმანი (90)

დენი ბლინდს გოლები იშვიათად გააქვს. უფრო ხშირად ისეთ მატჩებში, რომლებსაც „აიაქსი" დიდი ანგარიშით იგებს, მაგრამ ბოლო ტურში 37 წლის ვეტერანმა მცველმა ერთადერთი ბურთი ძალიან საჭირო მომენტში შეაგდო. ამსტერდამულმა კლუბმა სწორედ მისი გოლის წყალობით მოიგო.

— მიხარია, რომ კლუბის წარმატებაში ლომის წილი დავიდე. ჩვენ ლიდერ „ფეიენოორდს" მივუახლოვდით და იმედია, ჩემპიონატს საბოლოოდაც მოვიგებთ — განაცხადა ბლინდმა. მან ერთადერთი გოლი სწორედ მაშინ შეაგდო, როცა ვალვაიკლები ხელოვნური თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ.

მორტინ ოლსენის გუნდს გაუჭირდა, თუმცა გამარჯვებას მაინც მიაღწია. ამსტერდამელთა პატარა ბრაზილიელს ვამბერტოს მატჩის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი რომ გამოეყენებინა, „ვალვაიკი" ორი ბურთის სხვაობითაც წააგებდა, მაგრამ მან ხუთი მეტრიდან ცარიელ კარს გადააცილა ბურთი. გოლი, ცხადია, არ გავიდა.

„აიაქსმა" მოიგო, მაგრამ იმარჯვა პირველ ადგილზე მყოფმა „ფეიენოორდმაც", თან საკმაოდ დამაჯერებლად. „კამბურმა" მეტოქეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მეტიც, მას ვერც დაცვაში შეებრძოლა და ოთხი გოლიც გაუშვა. ახლა ამსტერდამელები მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან „ფეიენოორდს", თუმცა ამ უკანასკნელს ორი მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშევი.

ჩემპიონთა ლიგაში ფინეთის ჰიკ-თან შეხვედრამდე გამარჯვება მოიპოვა „ეინდჰოვენმა". მოგება ორმაგად სასიხარულო იყო თავდამსხმელ რუდ ვან ნისტელროისთვის, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. პირველი ბურთი მან პენალტით შეაგდო — „უტრეხტის" დებიუტანტმა მცველმა ბერნარდ შუიტმანმა იგი საჯარიმოში წააქცია. პენალტი პენალტით, მაგრამ შუიტმანი გააძევეს.

### ირაკლი ილაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 13 | 10 | 2 | 1 | 32:12 | 32 |
| აიაქსი | 15 | 9 | 4 | 2 | 32:11 | 31 |
| ჰერენვენი | 14 | 9 | 2 | 3 | 23:14 | 29 |
| ტვენტე | 15 | 8 | 4 | 3 | 26:17 | 28 |
| ვიტესი | 14 | 8 | 2 | 4 | 25:17 | 26 |
| როდა | 14 | 7 | 3 | 4 | 23:17 | 24 |
| ნაიმეგენი | 13 | 6 | 5 | 3 | 24:20 | 23 |
| ეინდჰოვენი | 13 | 6 | 4 | 4 | 32:23 | 22 |
| ტილბურგი | 15 | 6 | 4 | 5 | 27:27 | 22 |
| ალკმაარი | 15 | 4 | 8 | 3 | 21:21 | 20 |
| მაასტრიხტი | 15 | 5 | 2 | 8 | 17:25 | 17 |
| გრააფსხაპი | 15 | 3 | 7 | 5 | 15:24 | 16 |
| უტრეხტი | 14 | 4 | 3 | 7 | 23:28 | 15 |
| სპარტა | 14 | 3 | 3 | 8 | 14:26 | 12 |
| ბრედა | 13 | 2 | 4 | 7 | 12:28 | 10 |
| კამბური | 14 | 2 | 4 | 8 | 12:28 | 10 |
| სიტარდი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:27 | 10 |
| ვალვაიკი | 14 | 1 | 3 | 11 | 16:31 | 6 |

## ბელგია

XV ტური

### აალსტი 1:4 ლიერსი

0:1 პააგდორენი (19), 0:2 პუისმანსი (42), 1:2 კორემანი (51), 1:3 ბროკენი (59), 1:4 პუისმანსი (75)

ლიერსი: მენცო, ბროკენი, შეყილაძე, ვან მეირი, დაემსი, ლეენი, ზდებელი, სომერსი, პააგდორენი (ლარემანსი 89), პუისტრა (სერნეელსი 78), პუისმანსი (კავენსი 80)

### სტანდარდი 0:2 ჰარელბეკი

სტანდარდი: რუნიე, ბლეი, ბილიჩი, მედვედი, აფოლაბი, ლუკუნკუ (პალდერმანსი 68), ერნსტი, ფოლია, ალიაი (გოდფრუა 46), დე კონდე, მბო მპენზა (რემაკლი 46)

0:1 კლომპი (6), 0:2 ბოდრი (84)

### ბევერენი 1:2 ბრიუგე

1:0 ტორკენი (66), 1:1 კლასენსი (83), 1:2 ფადიგა (88)

### გენკი 6:0 ლომელი

1:0, 2:0, 3:0 სტრუპარი (5, 16, 31), 4:0 პაზი (43), 5:0 სტრუპარი (73), 6:0 ულარი (83)

### გენტი 3:2 ანდერლეხტი

1:0 დეგრიზი (6), 1:1 კრასონი (18), 2:1 კოლენი (50), 2:2 სტალენსი (63), 3:2 მარტენსი (83)

### შარლერუა 2:2 ეკერენი

0:1 პოფმანსი (11), 1:1 რემი (50), 1:2 პოფმანსი (80), 2:2 ჯიმი (85)

### მუსკრონი 2:1 ვესტერლო

0:1 ბრანიო (15), 1:1 ბანი (56), 2:1 ბესენგერი (88)

### ოსტენდე 0:0 ლოკერენი

### კორტრაიკი 2:2 სენტ ტრუიდენი

1:0 დემკინი (4), 1:1 ცეპერსი (36 პ), 1:2 ფიერსი (49), 2:2 მეერტი (67)

ბელგიის ჩემპიონატის მე-15 ტური ძალიან უხვგოლიანი გამოდგა. ცხრა თამაშიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა უგოლოდ, ჯამში კი გუნდებმა 32-ის გატანა მოახერხეს.

ჩვენებურებიდან გელა შეყილაძემ ითამაშა „ლიერსის" შემადგენლობაში, ლაშა ჯაკობია კი კვლავ არ გამოუშვა მინდორზე „სტანდარდის" ხორვატმა თავკაცმა ტომისლავ ივიჩმა.

„აალსტისა" და „ლიერსის" დაპირისპირება მეტად საინტერესო იყო. ორივე გუნდს ცხრამეტ-ცხრამეტი ქულა ჰქონდა და მოგებული სატურნირო მდგომარეობას მკვეთრად გაიუმჯობესებდა. თანაც „ლიერსს" აქამდე შვიდ გასვლით მატჩში მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა მოპოვებული მაშინ, როცა შინ ამდენივე თამაშში 18 ქულა დაეგროვებინა. მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რომელთა დაცვის ცენტრში შეყილაძე მშვენივრად თამაშობდა. გელას თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს მხარი და გასვლაზე პირველი სამი ქულაც აიღეს. „როგორც იქნა, სტუმრადაც მოვიგეთ. შეყილაძის დაბრუნებამ ჩვენს დაცვას პრობლემები შეუმცირა, შეტევაში კი პააგდორენი და პუისმანსი შევაწყვილე, მათაც იმედები გამიმართლეს. მოხარული ვარ და მომავალს იმედის თვალით შევყურებ" — თქვა „ლიერსის" მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა.

მოიგეს თავის მატჩები ლიდერებმაც. „ბრიუგეს" თავიდან კი გაუჭირდა „ბევერენთან", მაგრამ ბოლოს კლასმა მაინც თავისი გაიტანა. გერეტსის შეგირდებმა შეხვედრის დასკვნით ათ წუთში ორჯერ შეაგდეს გოლი და მორიგი სამი ქულაც მიითვალეს. ახლა ისინი მთელი სერიოზულობით ემზადებიან ფრანგულ „ლიონთან" უეფას თასზე სათამაშოდ. ბელგიური პრესის ცნობით, ლიონში „ბრიუგე", ალბათ, ხუთი მცველით ითამაშებს და ფრესაც სიამოვნებით დასჯერდება.

„ბრიუგესგან" განსხვავებით საერთოდ არ გასჭირვებია „გენკს", რომელმაც ქუთაისის „ტორპედოს" ინტერტოტოდან გამომგდები „ლომელი" მიწასთან გაასწორა — 6:0. „უზომოდ კმაყოფილი ვარ დღეს ჩემი და საერთოდ გუნდის თამაშით. დიდი ხანია, ყველაფერი ასე კარგად არ გამომსვლია, თანაც იღბალიც ჩემსკენ იყო" — ოთხი გოლის გამტან სტრუპარს ნამდვილად ჰქონდა სიხარულის საბაბი.

### დავით სიჭინავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 15 | 11 | 2 | 2 | 32:15 | 35 |
| გენკი | 15 | 10 | 3 | 2 | 33:16 | 33 |
| სტანდარდი | 15 | 9 | 1 | 5 | 22:12 | 28 |
| ლოკერენი | 15 | 8 | 4 | 3 | 32:18 | 28 |
| ვესტერლო | 15 | 8 | 2 | 5 | 34:24 | 26 |
| მუსკრონი | 15 | 7 | 5 | 3 | 29:25 | 26 |
| სტ. ტრიუდენი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:16 | 23 |
| გენტი | 15 | 6 | 5 | 4 | 25:29 | 23 |
| ლიერსი | 15 | 7 | 1 | 7 | 23:23 | 22 |
| ანდერლეხტი | 15 | 5 | 5 | 5 | 23:23 | 20 |
| აალსტი | 15 | 5 | 4 | 6 | 25:28 | 19 |
| ეკერენი | 15 | 5 | 3 | 7 | 25:26 | 18 |
| ჰარელბეკი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:25 | 16 |
| ბევერენი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:24 | 15 |
| შარლერუა | 15 | 3 | 6 | 6 | 22:23 | 15 |
| ლომელი | 15 | 3 | 2 | 10 | 14:26 | 11 |
| ოსტენდე | 15 | 1 | 5 | 9 | 10:35 | 8 |
| კორტრაიკი | 15 | 1 | 4 | 10 | 20:39 | 7 |

## პორტუგალია

XII ტური

### პორტუ 3:1 ბენფიკა

1:0 ჩანიო (15), 2:0, 3:0 ჟარდელი (39, 57), 3:1 კანდაუროვი (60)

### ბრაგა 3:0 სეტუბალი

1:0, 2:0, 3:0 ელპიდიუ სილვა (16, 34, 37)

### გიმარაეში 3:0 რიუ ავე

1:0 ტეოდორი (48), 2:0 ესტევანი (52), 3:0 ევანდუ (61)

### ბოავიშტა 2:2 სპორტინგი

1:0 ტიმოფტე (18), 1:1 საბროსა (23), 1:2 იორდანოვი (54), 2:2 ჟორჟე კოუტუ (72)

### მარიტიმუ 1:1 ბეირა მარი

1:0 ბუნბურუ (44პ), 1:1 როლანდი (47)

### სალგეირუში 2:0 შავეში

1:0 დეკუ (21), 2:0 ფორტესი (33)

### ფარენსე 2:1 კამპომაიორენსე

1:0 კარმუ (29), 1:1 მონტანინი (62), 2:1 ნადერი (68)

### ალვერკა 0:1 ამადორა

0:1 ჟილბერტუ (9)

### უნიაუ 1:0 აკადემიკა

1:0 მარტინსი (60)

„ბენფიკამ" დაცვაში დაშვებული შეცდომების გამო, ძველ და პრინციპულ მოწინააღმდეგეს „პორტუს", იოლად მიამატებინა ცხრილში სამი ქულა. „პორტუს" ზედიზედ მეხუთე ჩემპიონობის შანსი გაეზარდა.

„ბენფიკას" მცველებმა პირველსავე ტაიმში რამდენიმეჯერ დატოვეს უმეთვალყურეოდ მოწინააღმდეგის ფეხბურთელები, რისთვისაც ორჯერ დაისაჯნენ, მერე კი მათმა გამოცდილმა მეკარემ, მიშელ პრიუდომმა ტრავმაც მიიღო და იგი რუსმა სერგეი ოვჩინნიკოვმა შეცვალა.

შესვენების შემდეგ ჯერ ისევ „პორტუმ" გაიტანა გოლი, ცოტა ხანში კი „ბენფიკას" უკრაინელმა მოთამაშემ, სერგეი კანდაუროვმა ერთით უპასუხა.

— წაგების მიუხედავად გუნდიდან წასვლას არ ვაპირებ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბენფიკას" შოტლანდიელმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა, რომელსაც ბოლოხანს ძალიან აკრიტიკებენ. გულშემატკივრებს განსაკუთრებით მისი „საკადრო პოლიტიკა" არ მოსწონთ, მაგალითად ის, რომ „ლივერპულის" ყოფილმა თავკაცმა „პორტუსთან" შეხვედრაში თავდამსხმელი ნუნუ გომეში სკამზე დასვა. დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩეხი ფორვარდის, კარელ პობორსკის განაპირა მცველად თამაშმაც.

მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე „ბენფიკა" უმცირესობაში დარჩა, მსაჯმა ჟოაო ვიეირა პინტუ გააძევა მოედნიდან. სხვათა შორის, „პორტუს" წინააღმდეგ თამაშის დროს მას გასულ სეზონშიც აღმართეს წითელი ბარათი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 12 | 8 | 4 | 0 | 21:8 | 28 |
| პორტუ | 12 | 8 | 2 | 2 | 29:12 | 26 |
| სპორტინგი | 12 | 7 | 5 | 0 | 22:8 | 26 |
| უნიაუ | 12 | 7 | 3 | 2 | 15:7 | 24 |
| ბენფიკა | 12 | 6 | 3 | 3 | 21:11 | 21 |
| ამადორა | 12 | 6 | 3 | 3 | 15:13 | 21 |
| სალგეირუში | 13 | 4 | 6 | 3 | 16:17 | 18 |
| სეტუბალი | 12 | 4 | 3 | 5 | 11:17 | 15 |
| რიუ ავე | 12 | 4 | 3 | 5 | 11:17 | 15 |
| გიმარაეში | 12 | 3 | 4 | 5 | 19:15 | 13 |
| ბრაგა | 12 | 3 | 4 | 5 | 16:22 | 13 |
| ფარენსე | 12 | 4 | 1 | 7 | 12:19 | 13 |
| ალვერკა | 12 | 2 | 6 | 4 | 10:16 | 12 |
| შავეში | 12 | 3 | 3 | 6 | 14:22 | 12 |
| ბეირა მარი | 12 | 2 | 5 | 5 | 8:14 | 11 |
| კამპომაიორენსე | 12 | 2 | 3 | 7 | 13:20 | 9 |
| აკადემიკა | 13 | 2 | 3 | 8 | 14:24 | 9 |
| მარიტიმუ | 12 | 1 | 5 | 6 | 12:17 | 8 |




პორტუ — ბენფიკა. მასპინძელთა სლოვენიელმა ლეგიონერმა ზლატკო ზაჰოვიჩმა (მარცხნივ) ბრწყინვალედ ითამაშა

## ავსტრია

მე-18 ტური. აუსტრია — ლინცერი 2:0; ლუსტენაუ — გრაცერი 0:3; რიდი — რაპიდი 0:1; შტაირი — ზალცბურგი 0:1; შტურმი — ტიროლი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 18 | 13 | 2 | 3 | 36:11 | 41 |
| რაპიდი | 18 | 11 | 4 | 3 | 29:13 | 37 |
| გრაცერი | 18 | 11 | 4 | 3 | 25:13 | 37 |
| ლინცერი | 18 | 11 | 3 | 4 | 33:19 | 36 |
| აუსტრია | 18 | 6 | 5 | 7 | 19:23 | 23 |
| ზალცბურგი | 18 | 5 | 6 | 7 | 23:26 | 21 |
| ტიროლი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:27 | 20 |
| რიდი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:20 | 16 |
| ლუსტენაუ | 17 | 2 | 5 | 10 | 13:35 | 11 |
| შტაირი | 17 | 1 | 2 | 14 | 14:41 | 2 |

## სლოვენია

მე-15 ტური. ტრიგლავი — ბელტინჩი 2:0, კოროტანი — აიდოვშინა 2:1, მურა — დომზალე 6:0, ნოვა გორიცა — კოპერი 3:1, მარიბორი — ცელიე 2:2, ოლიმპია — ველენიე 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 15 | 9 | 5 | 1 | 35:15 | 32 |
| ნოვა გორიცა | 14 | 9 | 2 | 3 | 28:15 | 29 |
| მურა | 15 | 7 | 4 | 4 | 32:16 | 25 |
| ოლიმპია | 15 | 7 | 3 | 5 | 26:21 | 24 |
| კოროტანი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:22 | 22 |
| ველენიე | 15 | 5 | 4 | 6 | 16:15 | 19 |
| აიდოვშინა | 15 | 5 | 4 | 6 | 16:16 | 19 |
| ბელტინჩი | 15 | 5 | 2 | 8 | 18:29 | 17 |
| ცელიე | 14 | 3 | 6 | 5 | 13:18 | 15 |
| კოპერი | 15 | 4 | 3 | 8 | 17:29 | 15 |
| დომზალე | 15 | 3 | 5 | 7 | 13:20 | 14 |
| ტრიგლავი | 15 | 2 | 6 | 7 | 13:23 | 12 |

UEFA CUP

# ესპანეთს და საფრანგეთს თავი ქუდში აქვთ

## უეფას თასის მერვედფინალის პირველი მატჩები

„ლივერპულს" ზედიზედ მეორე ესპანური ბარიერი აქვს დასაძლევი — „სელტა". თუ ინგლისელები მასაც „ვალენსიის" გზას გაუყენებენ, ევროპას ფრანგულ-იტალიურ-ესპანური მეოთხედფინალისგან „იხსნიან".

საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებულ სამ ქვეყანას მერვედფინალის თექვსმეტ გუნდს შორის ოთხ-ოთხი წარმომადგენელი ჰყავს, „ლივერპული" კი ინგლისის უკანასკნელი რაინდია.

უეფას თასის ორგზის მფლობელთათვის „სელტა" ურთულესი მოწინააღმდეგე რომ იქნება, ფაქტია, იგიც ხომ ზედიზედ მეორე ინგლისურ გუნდს ხვდება და „ვილა პარკზე" „ასტონ ვილასთან" მისი 3:1 გამარჯვება ჯერაც მძაფრი და ძალიან უსიამოვნო მოგონებაა ალბიონელთათვის.

ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლივერპულმა" სწორედ „ასტონ ვილა" დაამარცხა 4:2. „სელტამ" თავის მხრივ, სუსტ „ალავესთან" წააგო — 0:2.

— „ალავესთან" დამარცხება არაფერს ნიშნავს, აბსოლუტურად არაფერს. ის უკვე დავიწყებულია — თქვა „სელტას" მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა, „ლივერპულის" შესახებ კი დასძინა — ის დიდებულ ფორმაშია და ვგონებ ისტორიული შეხვედრები გველის. ალბათ მერვედფინალში ყველაზე საინტერესო ჩვენი და „ლივერპულის" თამაშები იქნება. რომ გავიმარჯვოთ, აგრესიულად, სხარტად და უდიდესი ყურადღებით უნდა ვითამაშოთ.

ახლა, რობი ფაულერზე, რომლისაც „ლივერპულს" ძალიან ეიმედება, რადგან ხანგრძლივი მკურნალობის მერე მინდორზე დაბრუნებულმა ამ თავდამსხმელმა ბოლო ტურში ჰეთ-თრიქი შეასრულა. ინგლისელ მიმომხილველთა თქმით, ფაულერის, ჯეიმი რედნეპისა და მაიკლ ოუენის ტრიო დღეისათვის ნებისმიერი მეტოქისთვის ძალიან სახიფათოა და ის დისკვალიფიცირებული სტივ მაკმანამანისა და პოლ ინსის არყოფნაში „წითლების" მთავარი ძალა იქნება.

სამაგიეროდ, „ლივერპულს" დაცვა არც მთლად სრულყოფილი ჰყავს. მის დაძლევას „სელტას" სლავური ტრიო შეეცდება, რომელიც ბულგარელი ლუბო პენევისა და რუსების, ალექსანდრ მოსტოვოისა და ვალერი კარპინისგან შედგება.

ისე, დაცვაში „სელტაც" საეჭვო დღეშია. მას მიჩელ სალგადო და რაფაელ ბერხესი ჰყავს დისკვალიფიცირებული.

ესპანეთს და საფრანგეთს მეოთხედფინალში დაჯავშნული აქვთ ადგილი: მადრიდის „ატლეტიკო" „რეალ სოსიედადს" ხვდება, „მონაკო" კი „მარსელს".

„ატლეტიკოს" ბასკურ „რეალ სოსიედადთან" ფავორიტად მიიჩნევენ. მან ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვალიადოლიდთან" შთამბეჭდავად, 6:1 გაიმარჯვა. თანაც, იტალიელი მწვრთნელის, არიგო საკის ფეხბურთელებს ბრაზილიელი ჟუნინიო დაუბრუნდათ, ბასკებს კი ფარნსისკო დე პედრო დაუშავდათ.

„მარსელი" 1993 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი, დღეს საფრანგეთის პირველობის ლიდერია. მისი მოწინააღმდეგე, „მონაკო" ბოლო ორი წელიწადია ევროშეჯიბრებათა ნახევარფინალისტი გახლავთ. თითოეულს სამი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს შემადგენლობაში.

„მონაკოს" კარს ფაბიენ ბარტეზი დაიცავს. ის, ვინც 1993-ში „მარსელის" შემადგენლობში ჩემპიონთა თასი მოიპოვა. თავდასხმაში ითამაშებენ ტიერი ანრი და დავიდ ტრეზეგე.

„მარსელში" გახლავან მცველი ლორან ბლანი და თავდამსხმელები რობერ პირესი და კრისტოფ დიუგარი.

ტრავმის გამო მარსელელებს არ ეყოლებათ იტალიელი ფაბრიციო რავანელი, „მონაკოს" კი გამოუჯანმრთელდნენ სილვენ ლეგვინსკი და მარტინ ჯეტუ — 1997 წლის ჩემპიონი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ძალა.

საინტერესოა, რომ მეტოქეები ეროვნული პირველობის ბოლო ტურში დამარცხდნენ. „მარსელმა", სეზონში პირველად წააგო. იგი „ლიონს" სტუმრობდა, ორი გაუშვა და ერთი გაიტანა. „მონაკომ", რომელიც აქამდე შინ არ მარცხდებოდა, „ბორდოსთან" ორი გაუშვა და ერთიც ვერ გაიტანა.

— „მარსელში" გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ და ისინი ლიონში ნაწვნევ მარცხს იოლად გადაიტანენ. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მეტოქე კრიზისშია, ეს ბავშვობა იქნება — თქვა ბარტეზმა.



ლივერპულელი რობი ფაულერი გამოჯანმრთელდა და გოლები გააქვს

ესპანეთის კიდევ ერთი გუნდი, „რეალ ბეტისი" იტალიურ „ბოლონიას" თუ მოუგებს, გამოვა, რომ ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ხავიერ კლემენტეს თავკაცობით ხუთიდან ოთხ შეხვედრაში გამარჯვებული დარჩება. თავის მხრივ არც „ბოლონია" იტყვის უარს ზედიზედ მეთხუთმეტე წაუგებელ შეხვედრაზე, თუმცა იტალიის სტუდენტური ქალაქის გუნდს დისკვალიფიცირებული ამადეო მანგონე აკლდება.

ფრანგული „ბორდო", რომელმაც, როგორც გითხარით, საფრანგეთის პირველობის ბოლო ტურში მონაკოში გაიმარჯვა, ციურიხში მიდის „გრასჰოპერთან" სათამაშოდ. „ბორდოს" მარჯვენა ფრთაზე პრობლემა აქვს, დავიდ ჯემალი და ალი ბენარბია დისკვალიფიცირებულნი არიან.

„გრასჰორპერის" ამბავი მოგეხსენებათ: იგი მეთექსვმეტედფინალში იმ სალერნოელმა გულშემატკივარმა გაიყვანა, რომელმაც მისი „ფიორენტინასთან" სტუმრობის დროს ასაფეთქებელი პაკეტი ისროლა ტრიბუნიდან მოედანზე და თანამსაჯი დააშავა, რის გამოც იტალიის პირველობის ლიდერი გათამაშებიდან გააძევეს.

ციურიხის გუნდმა შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბაზელს" მოუგო 2:1.

იტალიელებს მეთექვსმეტედფინალში „რომა" და „პარმაც" ჰყავთ. შინ, ბოლო შეხვედრა ორივემ ცუდად ჩაატარა. „პარმამ" კალიარიში 0:1 წააგო და თან ფორვარდი, ენრიკო კიეზა დაუშავდა. პარმელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ თავდამსხმელი ფაუსტინო ასპრილია და მცველი რობერტო მუსი.

ამ იტალიური გუნდის მოწინააღმდეგე შოტლანდიური „რენჯერსი" გახლავთ, რომელმაც ეროვნულ პირველობაზე თავი შეირცხვინა, ბოლო ტურში თანაქალაქელ და მოძულე „სელტიკთან" 1:5 წააგო.

„რომამ" შინ ვერ აჯობა „ბარის", ფრედ 1:1 ითამაშა და ახლა, შვეიცარიული „ციურიხის" ძლევის იმედი აქვს. რომაელებს არ ეყოლებათ ეუსებიო და ფრანჩესკო, კამერუნელი პიერ ვომე (ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან) და დაშავებული კაფუ.

**მიხეილ სურგულაძე**

# ოცდათერთმეტი წლის შემდეგ

გერმანულ ფეხბურთს მართლაც მძიმე დრო უდგას. ჯერ იყო, ქვეყნის ნაკრები ამ ზაფხულს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე შერცხვა, როდესაც მეოთხედფინალში ხორვატიის ნაკრებთან 0:3 წააგო. ახლა კი კლუბებიც ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. 31 წელია, უეფას თასის მერვედფინალურ მატჩებს გერმანული კლუბების გარეშე არ ჩაუვლია, წლეულს კი სწორედ ასე მოხდება. თუმცა მარტო უეფას თასი არა, თასების თასის ბოლო გათამაშების გამარჯვებულები რომ გერმანელები ვერ გახდებიან, გადაწყვეტილია. ახლა უფრო დაწვრილებით მიმოვიხილოთ გერმანული კლუბების საშემოდგომო შედეგები.

პირველი გუნდი, რომელიც ევროთასებს გამოემშვიდობა, გელზენკირხენის „შალკე" იყო. 1997 წელს უეფას თასის მფლობელი ამავე თასის ოცდამეთორმეტედფინალში პრაღის „სლავიას" შეხვდა. პირველი მატჩი გელზენკირხენელებმა ვილმოტსის გოლით 1:0 კი მოიგეს, მაგრამ საპასუხო თამაში ჩეხეთში ამავე ანგარიშით წააგეს. პენალტების სერია უფრო ზუსტად „სლავიამ" შეასრულა და „შალკე" ტურნირს გამოთიშა. დანარჩენმა სამმა კლუბმა კი დაძლია პირველი ბარიერი, მაგრამ ეს სამივემ დიდი ოფლისღვრის შედეგად მოახერხა. „შტუტგარტმა" სულაც შეუძლებელი შეძლო, შინ 1:3 დამარცხების შემდეგ სტუმრად „ფეიენოორდს" 3:0 მოუგო და შემდეგ წრეშიც გავიდა. ლევერკუზენის „ბაიერი" იტალიურ „უდინეზეს" ხვდებოდა და 1:1-ის შემდეგ შინ 1:0 დაამარცხა მეტოქე. ბრემენის „ვერდერის" მეტოქე ნორვეგიული „ბრანი" იყო. სკანდინავიაში გაშვებული ორი ბურთი გერმანელებმა ძირითად დროში გაქვითეს, დამატებითში კი კიდევ ორი გოლი გაიტანეს და საბოლოოდ 4:0 გაიმარჯვეს.

თასების მფლობელთა თასის პირველივე ეტაპიდან გავარდა ქვეყნის ერთადერთი გუნდი „დუისბურგი", რომლის მეტოქეც ბელგიური საშუალო დონის კლუბი „გენკი" გახლდათ. შინ ნათამაშევი 1:1 შემდეგ „დუისბურგმა" ბელგიაში თავი შეირცხვინა — 0:5 წააგო.

უეფას თასის პირველი წრის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ სამიდან ორი კლუბი — „შტუტგარტი" და „ლევერკუზენი", რომელთა მეტოქეებიც შესაბამისად „ბრიუგე" და „რეინჯერსი" გახლდნენ, იოლად გადალახავდნენ ამ ეტაპს, ხოლო ბუნდესლიგის აუტსაიდერ „ვერდერს" ადმასვლის გზაზე მდგომ მარსელის „ოლიმპიკთან" ყველა განწირულად თვლიდა. თუმცა ისე მოხდა, მარტო „ვერდერი" კი არა, დანარჩენებიც გავარდნენ. „შტუტგარტს" „ბრიუგემ" დამატებით დროში სძლია — 3:2. ლევერკუზენელებმა შინ გაფუჭებული საქმე (1:2 დამარცხდნენ) შოტლანდიაში ველარ გამოასწორეს, თუმცა ამის უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ და საბოლოოდ მერვედფინალშიც „რეინჯერსი" გავიდა.

ერთადერთ იმედად გერმანელებს ჩემპიონთა ლიგა დარჩენიათ, სადაც „ბაიერნსაც" და „კაიზერსლაუტერნსაც" ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვთ. „ლაუტერნი" ცალი ფეხით შეიძლება მეოთხედფინალშიც დავიგულოთ, რადგან ძნელი დასაჯერებელია, 5-ქულიანი უპირატესობა გაფლანგოს. შედარებით რთულად აქვს საქმე მიუნხენის „ბაიერნს", რომლესაც ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა ელის „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ბარსელონასთან".

ასე რომ, გერმანულ ფეხბურთს კრიზისის ჟამი უდგას. შეძლებს თუ არა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას, დრო გვიჩვენებს.

**ვანო ოქროპირიძე**

UEFA

# კი თუ არა?

— ზოგს მიაჩნია, რომ რადგან ჩვენ სტამბოლში წასვლა არ გვსურს, „გალათასარაის" გვეშინია. სისულელეა. ალბათ, ისინი ხუმრობენ. ჩვენი თურქეთში არწასვლის სურვილის წინაპირობა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს — განუცხადა ტურინის „იუვენტუსის" მცველმა ჯანლუკა პესოტომ ჟურნალისტებს.

მართლაც გაურკვეველია, შედგება თუ არა სტამბოლში შეხვედრა, რომელსაც საფრთხე სპორტული კი არა, პოლიტიკური მიზეზების გამო დაემუქრა. დაუპირისპირდება „იუვენტუსი" „გალათასარაის"?

ათი დღის წინ იტალიელმა სამართალდამცავებმა დააკავეს აბდულა ოქალანი, კაცი, რომელსაც თურქეთის მთავრობა 30 ათასი ადამიანის სიკვდილში ადანაშაულებს. თურქეთის ხელისუფლებამ იტალიის მთავრობას ოქალანის მათთვის გადაცემა სთხოვა, მაგრამ აპენინელებმა მუსლიმანებს უარი შეუთვალეს. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ამის შედეგად დაიძაბა, ეს კი ფეხბურთზეც აისახა. ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას ჩაშლა სწორედ ზემოთქმულის გამო დაემუქრა.

ტურინელთა ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღის წინ სიტუაციის შესასწავლად უეფას მიმართა, თავად კი განაცხადა, რომ თუ მატჩი შედგება, სტამბოლში, „იუვენტუსი" გულშემატკივართა გარეშე გაფრინდება — რეისი, რომელსაც ტიფოზები თურქეთის დედაქალაქში უნდა ჩაეყვანა, გაუქმდა. მიზეზი ქომაგთა უსაფრთხოება გახლდათ.

— ვიმედოვნებ, რომ უეფას სიტუაციას ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს. იქ, სადაც ადვილი შესაძლებელია, სისხლი დაიღვაროს, თამაში შეუძლებელი იქნება — განაცხადა იტალიის ჩემპიონთა კლუბის მეპატრონე ჯანი ანიელიმ.

სტამბოლში გამგზავრებაზე უარზეა მსოფლიოს ჩემპიონი ზინედინ ზიდანი, თუმცა თუ გუნდი გაემგზავრა, კლუბს ისიც გაჰყვება. იგივე აზრისაა დიდიე დეშამპიც.

მატჩის ჩაშლა არანაირად არ აწყობთ თურქებს, თუმცა თავადაც ხვდებიან, რომ უყურადღებობამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგი გამოიღოს.

— თამაში აუცილებლად უნდა შედგეს. 30 ათასი ქომაგის სამეთვალყურეოდ 20 ათასი პოლიციელი საკმარისი იქნება — განაცხადა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქუთლუ აქტასმა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **უეფას თასი. მერვედფინალი.** პირველი მატჩები | | | | |
| 24 ნოემბერი | | | | |
| რეინჯერსი — პარმა | (4,0-1,5) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბოლონია — ბეტისი | (1,5-2,0) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| გრასჰოპერი — ბორდო | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| რომა — ციურიხი | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| მონაკო — მარსელი | (2,3-1,4) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სოსიედადი — ატლეტიკო | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ლიონი — ბრიუგე | (1,5-2,0) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| სელტა — ლივერპული | (1,9-1,55) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **ჩემპიონთა ლიგა.** V ტური | | | | |
| 25 ნოემბერი | | | | |
| აიაქსი — კროაცია | | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ოლიმპიაკოსი — პორტუ | | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| რუსენბორგი — ბილბაო | | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ინტერი — რეალი | | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სპარტაკი — შტურმი | | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბარსელონა — მანჩესტერი | | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბაიერნი — ბრონდბიუ | | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| არსენალი — ლანსი | | 1,5 | 3,2 | 7,0 |
| დინამო — პანათინაიკოსი | | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| ბენფიკა — კაიზერსლაუტერნი | | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰიკ — ეინდჰოვენი | | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| **გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები | | | | |
| 24 ნოემბერი | | | | |
| დორტმუნდი — ჰამბურგი | | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შალკე — ვერდერი | | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. გადადებული მატჩი | | | | |
| 24 ნოემბერი | | | | |
| სტოკპორტი — ბოლტონი | | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი.** გადადებული მატჩი | | | | |
| 24 ნოემბერი | | | | |
| ჰერენვენი — კამბური | | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| **ჰოლანდიის თასი.** მესამე ეტაპი | | | | |
| 25 ნოემბერი | | | | |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| **ავსტრიის ჩემპიონატი.** გადადებული მატჩი | | | | |
| 24 ნოემბერი | | | | |
| შტაირი — ლუსტენაუ | | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| **ჰოკეი. ნჰლ** | | | | |
| 24 ნოემბერი | | | | |
| ტამპა ბეი — ბოსტონი | | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| სტ. ლუისი — ნეშვილი | | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ფინიქსი — ჩიკაგო | | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 25 ნოემბერი | | | | |
| ბუფალო — რეინჯერსი | | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ტორონტო — ვანკუვერი | | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ფილადელფია | | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ვაშინგტონი — პიტსბურგი | | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კაროლინა — სან ხოსე | | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — ბოსტონი | | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დეტროიტი — ანაჰაიმი | | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ნეშვილი — კალგარი | | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ედმონტონი — კოლორადო | | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ნიუ ჯერსი | | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 26 ნოემბერი | | | | |
| ოტავა — აილენდერსი | | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ფინიქსი — ნიუ ჯერსი | | 1,8 | 4,4 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



ირლანდია — რუმინეთი. ერთი ირლანდიელი ორ რუმინელსაც იოლად უმკლავდებოდა

# ჩვენი მეტოქეები მოკლე გზით წავიდნენ

## ჰოლანდიამ, საქართველოსავით, შორიდან უნდა მოუაროს

იმ სამი გუნდიდან, დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე" რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურებისთვის რომ იბრძოდნენ, სარბიელი დაუმარცხებლად მხოლოდ მასპინძელმა ირლანდიამ დატოვა — პირველ შესარჩევ მატჩში საქართველოს 70:0 დამარცხების შემდეგ ირლანდიელებმა რუმინელებსაც სძლიეს, მაგრამ შედარებით მოკრძალებული ანგარიშით 53:35.

ირლანდიელებმა კარგად იცოდნენ, რუმინელებს რაც უნდა გულიანად ეთამაშათ, მათ მაინც ვერ დაამარცხებდნენ. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ირლანდიამ სამხრეთ აფრიკასთან მომავალი ტესტისთვის ერთგვარად წაივარჯიშა.

პირველ ნახევარში კუნძულელებს თავი არ გამოუდიათ. ნელა ბურთაობდნენ, ხშირადაც ცდებოდნენ, თუმცაღა მეტოქეს დაწინაურებას არ ანებებდნენ. რუმინეთმაც მეტოქის უდარდელობით ისარგებლა და შესვენებამდე ორი ლელოც გაიტანა. პირველი ნახევარი სამყურებმა 19:13 მოიგეს.

მეორე ნახევრის დასაწყისი პირველის მსგავსი გამოდგა — რუმინეთი აქტიურობდა, ირლანდია ნაკლებად, მაგრამ ამ ჯერზე ირლანდიელთა „სიზარმაცემ" დიდხანს არ გასტანა.

მეორე ნახევრის შუაში მსაჯმა პოლ ჰონისმა რუმინელები ორჯერ დააჯარიმა. ირლანდიელებმა ორჯერვე ლელო გაიტანეს. ამას ჯონათან ბელმა ორი ლელოც დაამატა, ისევე, როგორც ერიკ ელვუდმა და მის ნაცვლად თამაშში ჩართულმა დევიდ ჰამპრეისმა.

საბოლოოდ, როგორც ზემოთ ვთქვით, ირლანდიამ 53:35 დაამარცხა რუმინეთი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 123:35 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 62:76 | 2 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 23:97 | 0 |

ინგლისი, ჰოლანდიას ერთი კვირის წინ 16 ლელო რომ გაუტანა, კერკეტ კაკალს — იტალიას წააწყდა. მასპინძლებმა ძლივს მოახერხეს იტალიელთა დამარცხება 23:15. აღსანიშნავი ისიცაა, რომ მსაჯმა სტუმართა ერთი ლელო არ ჩათვალა, აქაოდა, ბურთი მიწას არ შეხებიაო.

გამარჯვებულთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა განაცხადა, გადავრჩით, რომ არ წავაგეთო.

იტალიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, ხუთი ერის პირველობას მეექვსე ერად რომ დაემატება, შეჯიბრს გაცილებით საინტერესოს გახდის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 133:15 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 82:30 | 2 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 7:177 | 0 |

**დავით ნადირაშვილი**



ინგლისი — იტალია. აპენინელებმა ბრიტანელებს ტოლი არაფერში დაუდეს, დერეფანშიც არაერთხელ აჯობეს



# იუგოსლავიამ ამერიკა დაბომბა

შაბათ-კვირას იაპონიაში, ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალური ეტაპის მე-3 და მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. თუ პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანმა ნაკრებებმა მოიყარეს თავი, მეორეში ოთხი აშკარად სჯობს დანარჩენ ოთხს: იტალიამ, ჰოლანდიამ, იუგოსლავიამ და რუსეთმა პირველი ოთხი ტურის ყველა მატჩი მოიგეს, აშშ-მ, საბერძნეთმა, უკრაინამ და ჩინეთმა კი ყველა წააგეს. ამიტომაც თუ პირველი ჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლა უკვე შეიძლება ვუწინასწარმეტყველოთ ბრაზილიას და კუბას, მეორედან საბოლოო ოთხეულში ვინ მოხვდება, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

შაბათს პირველი ჯგუფის მატჩებიდან ყველაზე საინტერესო ბრაზილია-იაპონია იყო. ფილიო ლატარის შეგირდები საუცხოოდ გაისარჯნენ და მასპინძლებს მორიგი მარცხი აგემეს. ბრაზილიელებმა, შვიდი ათასი იაპონელი გულშემატკივრის გულდასაწყვეტად, საათსა და 58 წუთში მოუღეს ბოლო აზიელებს, რომლებიც მათ ყოველი პარტიის შუამდე უძალიანდებოდნენ, შემდეგ კი მათ უძლიერეს დარტყმებს და უნაკლო დაფარებებს ვეღარაფერს უპირისპირებდნენ. „ერთდღიან დასვენებას იაპონელებზე კარგად უმოქმედია. ისინი გამარჯვებისთვის თამაშობდნენ და მიზანსაც მიაღწევდნენ, რომ არა ჩვენი ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა. ჩვენს გუნდში ბევრი ახალგაზრდაა და მიხარია, რომ ისინი საუკეთესოდ შეეწყვნენ ვეტერანებს. ნახევარფინალი უკვე ახლოა" — ბრაზილიელთა მწვრთნელი ფილიო ლატარი თავისი გუნდითა და შედეგით კმაყოფილი გახლდათ. ლატარის იაპონელი კოლეგა კი ძალიან იმედგაცრუებული იყო: „სამ თამაშში სამ მარცხს ნამდვილად არ ველოდი. ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი, მომავალი ტურნირებისთვის უკეთ უნდა მოვემზადოთ."

მეორე ჯგუფში, უკვე ვთქვით, ოთხივე ფავორიტმა მოიგო. რუსეთმა პირველი პარტიის წაგების შემდეგ ზედიზედ სამი მოუგო საბერძნეთს.

იუგოსლავიასა და უკრაინას შორის გამარჯვება სამხრეთელ სლავებს დარჩათ, თანაც მეტად იოლად: 15:9, 15:10, 15:1. იუგოსლაველები ამ ჩემპიონატზე მართლაც საუცხოოდ თამაშობენ, რასაც ექსსაბჭოელებზე ვერ ვიტყვით. თუმცა შაბათს უკრაინელებს ცუდი თამაშის გამო არ წაუგიათ, უბრალოდ, ისინი ეპაექრებოდნენ იუგოსლავიას, რომლის შეჩერებაც იმ დღეს თვით იტალიასაც გაუჭირდებოდა. მოედანზე საუკეთესო გორან ვუიევიჩი იყო. მის დარტყმებზე დაფარება თითქმის შეუძლებელი გახლდათ, თან ვუიევიჩი დაცვაშიც მშვენივრად ირჯებოდა. მან მეტად თავმდაბლურად შეაფასა საკუთარი გუნდის თამაში: „დღეს, ალბათ, ჩემი დღე იყო. ყოველთვის არ ხდება, რომ ბურთს იქ ჩააგდებ, სადაც გინდა. მიუხედავად კარგი თამაშისა, მაინც ვფიქრობ, რომ დღეს გამარჯვებას სანახევროდ იღბალს უნდა ვუმადლოდეთ."

ჰოლანდიამ ამერიკელთა დასამარცხებლად საათნახევარი იკმარა — 15:12, 15:6, 15:11. თუმცა პირველი პარტია ყველასათვის მოულოდნელად დაიწყო — აშშ 10:2 დაწინაურდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ათი წუთის შემდეგ კი ყველაფერი დალაგდა. ჰოლანდიამ ჯერ პირველი, მერე კი ორი მომდევნო პარტიაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

იტალიელებმა კი თავის აუტკივებლად გაანადგურეს ჩინელები (15:5, 15:4, 15:5) და დაამტკიცეს, რომ ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მთავარი ფავორიტები არიან. „ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. ჩვენგან საუკეთესო კი ნამდვილად ანდრეა ჯიანი იყო. იმედია, მომავალ შეხვედრებსაც ასევე ვითამაშებთ და ლამაზი ფრენბურთით გავახარებთ მაყურებელს" — თქვა მატჩი შემდგომ აპენინელთა მოთამაშე მიკელე პასინატომ.

კვირას პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში ესპანეთმა პირველი მარცხი იგემა. პირინეელებს კანადელებმა დაძაბულ, ხუთპარტიიან ბრძოლაში აჯობეს. ესპანელებს, რომ მოეგოთ, ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი ექნებოდათ, მაგრამ მათი ვარსკვლავის რაფაელ პასკუალეს 26 ქულის მიუხედავად, მაინც დამარცხდნენ და საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა საეჭვო გაიხადეს. „კარგად ვითამაშეთ, ისევე, როგორც მოწინააღმდეგემ. გამარჯვებას ორივე გუნდი ვიმსახურებდით, მაგრამ ბედმა დღეს მეტოქეს გაუღიმა. იმედია, მომავალ მატჩებში ფორტუნა ჩვენსკენ იქნება და შემდეგ ეტაპზეც გავალთ" — ესპანელთა კაპიტანი ვენენსიო კოსტა წაგების მიუხედავად მაინც იმედიანად იყო. „მართალია, მოვიგეთ და ძლიერადაც ვითამაშეთ, მაგრამ ნახევარფინალში გასვლაზე მაინც არ გვექნება პრეტენზია" — კანადელთა თავკაცმა გარტ პიჩკემ რეალურად შეაფასა თავისი ნაკრების შანსები.

იაპონელთა თამაშს კვლავ 7 000 მაყურებელი დაესწრო და მათ კვლავ იმედგაცრუებულებმა დატოვეს ხიროსიმას სპორტდარბაზი. ამომავალი მზის ნაკრებმა ორსაათნახევარი მთელი ძალით იბრძოლა, მაგრამ კუბელთა ჩინებულ გუნდთან ვერას გახდა და მეოთხედფინალურ ჯგუფში მეოთხე მარცხი იწვნია მეოთხე თამაშში. „წაგებამ ძალიან დამამწუხრა. მრცხვენია, რომ ხიროსიმელი მაყურებელი ერთი მოგებით მაინც ვერ გავახარეთ. იმედია, დარჩენილი სამი თამაშიდან ერთში მაინც ვიმარჯვებთ და ოსაკელებსაც ასევე არ დავაღონებთ — თქვა მასპინძელთა კაპიტანმა მასაი ოჯინომ.

მეორე ჯგუფში ოთხივე ფავორიტმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 მოიგო. თუ იტალიისა და ჰოლანდიის საბერძნეთთან და ჩინეთთან მატჩები არაფერი იყო, გარდა თამაშისა, სამაგიეროდ, იუგოსლავია — აშშ-ის და რუსეთ — უკრაინის შეხვედრებს სპორტულზე ცოტა მეტი დატვირთვა ჰქონდათ.

იუგოსლაველებმა ამერიკელები საათსა და თხუთმეტ წუთში გაანადგურეს და შეიძლება ითქვას, მათ ფრენბურთის ერთგვარი გაკვეთილი ჩაუტარეს. კოსოვოში შექმნილი ვითარების გამო აშშ იუგოსლავიას კარგა ხანია, ემუქრება, მაგრამ კვირას იუგებმა სრულიად გაუფრთხილებლად „დაბომბეს" ოკეანისგაღმელთა ნაკრები და თანამემამულეებს გულიც მოფხანეს. ამერიკელებს მატჩის მოგების ოდნავი შანსიც კი არ ჰქონდათ, ისე მშვენივრად ითამაშა მათმა იმდღევანდელმა მეტოქემ. „იუგოსლავია ძალიან კარგი გუნდია. ასეთი თამაშით მასთან ათიდან ათ მატჩს წავაგებთ და ათივეს 0:3 ანგარიშით" — „განაჩენი" გამოუტანა თავის გუნდს ამერიკელთა კაპიტანმა ლოიდ ბოლმა.

ექსსაბჭოელი სლავების დაპირისპირებაში კი რუსებმა იმარჯვეს. მეოთხედფინალურ ეტაპზე მათ პირველად მოიგეს 3:0 და ეს სწორედ უკრაინელებთან შეძლეს. თუმცა პირველი პარტიის მერე (17:15) უკრაინა თუ ასე სასტიკად დამარცხდებოდა, ვერავინ იფიქრებდა. ყველას ეგონა, რომ დაძაბული ბრძოლა შემდგომაც გაგრძელდებოდა, მაგრამ რუსებმა მეტოქის დაცვა უცებ მოშალეს და მეორე და მესამე პარტიები ერთნაირი ანგარიშით 15:6 მოიგეს.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეოთხედფინალური ჯგუფები

III ტური

ესპანეთი — ბულგარეთი 3:0 (17:15, 15:4, 15:11)
კანადა — არგენტინა 3:1 (15:11, 10:15, 15:4, 15:6)
კუბა — კორეა 3:0 (15:13, 15:9, 15:7)
ბრაზილია — იაპონია 3:0 (15:11, 15:9, 15:13)
რუსეთი — საბერძნეთი 3:1 (12:15, 15:6, 15:11, 15:6)
იუგოსლავია — უკრაინა 3:0 (15:9, 15:10, 15:1)
ჰოლანდია — აშშ 3:0 (15:12, 15:6, 15:11)
იტალია — ჩინეთი 3:0 (15:5, 15:4, 15:5)

IV ტური

არგენტინა — კორეა 3:0 (15:13, 15:10, 15:5)
კანადა — ესპანეთი 3:2 (11:15, 15:9, 12:15, 16:14, 18:16)
ბრაზილია — ბულგარეთი 3:1 (16:17, 15:7, 15:5, 15:12)
კუბა — იაპონია 3:1 (15:9, 12:15, 15:10, 17:16)
იუგოსლავია — აშშ 3:0 (15:6, 15:10, 15:8)
რუსეთი — უკრაინა 3:0 (17:15, 15:6, 15:6)
იტალია — საბერძნეთი 3:0 (15:5, 15:13, 15:1)
ჰოლანდია — ჩინეთი 3:0 (15:5, 15:3, 15:8)

### სატურნირო ვითარება

I მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 4 | 4 | 0 | 12:1 | 8 |
| კუბა | 4 | 4 | 0 | 12:3 | 8 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 11:5 | 7 |
| არგენტინა | 4 | 2 | 2 | 9:7 | 6 |
| კანადა | 4 | 2 | 2 | 7:9 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 4 | 4:12 | 4 |
| კორეა | 4 | 0 | 4 | 0:12 | 4 |

II მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 12:0 | 8 |
| იუგოსლავია | 4 | 4 | 0 | 12:1 | 8 |
| ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 12:1 | 8 |
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 12:4 | 8 |
| აშშ | 4 | 0 | 4 | 2:12 | 4 |
| საბერძნეთი | 4 | 0 | 4 | 2:12 | 4 |
| უკრაინა | 4 | 0 | 4 | 1:12 | 4 |
| ჩინეთი | 4 | 0 | 4 | 1:12 | 4 |

*დღეს მე-5 ტურის შეხვედრებია: ესპანეთი — არგენტინა, კუბა — ბრაზილია, კანადა — ბულგარეთი, კორეა — იაპონია, იუგოსლავია — ჰოლანდია, საბერძნეთი — ჩინეთი, უკრაინა — აშშ, იტალია — რუსეთი.*




იუგოსლავია — აშშ. იუგოსლაველთა დაცვა ამერიკელებისთვის გაუვალი იყო

# ჰინგისმა მეთამამეგულეები დაიფრინა

ნიუ იორკი. აშშ. ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 2 მილიონი $

## მეოთხედფინალი

**მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — მარი პირსი (6, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:4**

ჰინგისი და პირსი მსოფლიოს ჩემპიონატზე შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინაც მეოთხედფინალში, ოღონდ ის მატჩი ფრანგის მოულოდნელი გამარჯვებით დასრულდა. ასე რომ, 18 წლის შვეიცარიელს ნიუ იორკში შურისძიება წყუროდა.

ძნელი სათქმელია, ნახევარფინალის საგზურს ამჯერად ვინ დაეპატრონებოდა, მეტისმეტად ალგზნებული პირსი ზედმეტად რომ არ გახურებულიყო (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით). ფრანგი მთელი პირველი სეტის განმავლობაში შესვენებების დროს კისერზე დადებული ყინულის ტომსიკებით გრილდებოდა, მეორე ხელში კი ესეც არ ეყო და კორტი „სააბაზანო შესვენებისთვის" დატოვა.

პირსის არყოფნაში მარტინას არ მოუწყენია — ჩოგანი ბურთის მიმტან ბიჭს შეაჩეჩა ხელში, გემოზეც ივარჯიშა, სახეგაბრწყინებულ მეტოქეს ერთადერთი მოგებული გათამაშებისთვის ტაშიც დაუკრა და ფრანგის მხარდამჭერი მაყურებლებიც გადაიბირა. საბოლოოდ შვეიცარიელს გარჯა თავდა პირსმაც დაუფასა: „მარტინამ მართლაც რომ დაიმსახურა გამარჯვება. დიდი ხანია, არ მინახავს, მას ასე კარგად ეთამაშოს, თანაც ჩემგან განსხვავებით, გადამწყვეტ სიტუაციებში იოტისოდენადაც არ ღელავდა" — ფრანგმა ის მომენტი გაიხსენა, როდესაც პირველ ხელში საკუთარი შეცდომით სეტ-პოინტი გაანიავა.

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ნატალი ტოზია (8, საფრანგეთი) 6:0, 6:3**

დევენპორტს პირველ წრეში კიდევ ერთ ფრანგთან — სანდრინ ტესტიუსთან დიდი ბრძოლა გადახდა, დამარცხებას ორი ქულა უკლდა და როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, თავისი კარგი თამაში სწორედ წინა შეხვედრით ახსნა: „ზოგჯერ ასეთი მძიმე მატჩის შემდეგ უფრო თავისუფლად გრძნობ თავს, თითქოს არაფერი გაღელვებს და ყველაფერი უკეთაც გამოდის."

ასე რომ, განადგურებას ტოზია სწორედ თანამემამულეს უნდა უმადლოდეს — დევენპორტმა პირველი სეტი სულ 19 წუთში მოიგო, ბევრით მეტი არც მეორეს დაახარჯა და მეტოქეს ხელების შლისა და თავში რტყმის მეტი არაფერი დაანება. „მატჩისთვის მზად ვიყავი და გასამართლებელი მიზეზიც არა აქვს. თავად არც ისე კარგად გავისარჯე, ლინდსი კი შეუდარებელი იყო" — განაცხადა მატჩის შემდეგ ტოზიამ.

## ნახევარფინალი

**დევენპორტი — შტეფი გრაფი (გერმანია) 6:1, 2:6, 6:3**

შტეფი გრაფის წარმატებული სერია 12 გამარჯვებაზე კი შეწყდა, მაგრამ დიდი გერმანელისთვის მორიგ ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი, დევენპორტი მარცხს ნაღდად ვერ გადაურჩებოდა.

23 წუთში წაგებული პირველი სეტის შემდეგ, რომელშიც შტეფიმ მოჭრილი ბექჰენდით უფრო მეტი შეცდომა დაუშვა, ვიდრე თავის დროზე მთელ ტურნირზე დაუგროვდებოდა, გერმანელმა უპირატესობა მყარად იგდო ხელთ: საფირმო, მკვლელი ფორჰენდით ისეც დონდლო, შაბათს კი დამატებით კოჟრებით შეჭირვებული დევენპორტი არაერთგზის დატოვა პირშიჩალაგამოვლებული.

ამერიკელი მესამე სეტის დასაწყისშიც უმწეოდ გამოიყურებოდა, ალმაფრენით მოთამაშე გრაფი კი 3:2 და 40:0-ით დაწინაურდა მეტოქის მოწოდებაზე, როდესაც „მოულოდნელად ფეხში ტკივილი ვიგრძენი, რომელიც სულ უფრო და უფრო მაწუხებდა. იქედან მოყოლებული თამაში ძალიან გამიჭირდა."

სამი ბრეიკ-პოინტის გამოუყენებლობის და გეიმის წაგების შემდეგ შტეფიმ ექიმს უხმო, მაგრამ საქმეს არც მასაჟმა უშველა და არც ფეხის შეხვევამ — გერმანელს მოძრაობა აშკარად უჭირდა და მატჩის ბოლომდეც ძლივს მიატანა. „ეს სამი კვირა არაჩვეულებრივი გამოდგა — თამაშისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე, ამიტომ ამ ტრავმასაც ტრაგედიად არ აღვიქვამ. წესით, ამ დროს კარიბის ზღვაზე უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ არა უშავს, მზეზე ყოფნა მაინც არ მიყვარს" — განაცხადა შტეფიმ, რომელმაც კლასიფიკაციაში მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა.

**ჰინგისი — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:2, 7:6 (9:7)**

სპირლეას ჰინგისთან აქამდე ხუთივე პირადი შეხვედრა წაეგო, ხუთივე სეტის მოუგებლად და ნახევარფინალშიც წინასწარვე განწირული ჩანდა.

რუმინელს სასწაული არც ამჯერად მოუხდენია, თუმცა შაბათს ნახევარფინალური შეხვედრის მნიშვნელოვნად გახანგრძლივების შანსი კი გაუშვა ხელიდან — მეორე სეტში 5:1 დაწინაურდა, მერე კი საკუთარი პასიურობით მთელი უპირატესობა შემოეფლანგა: „ველოდი, მარტინა შეცდომებს როდის დაუშვებდა, მაგრამ სულ ტყუილად. იგი პირიქით, უკეთ ათამაშდა."

სპირლეამ ტაი-ბრეიკამდე დიდი გაჭირვებით მიატანა, იქ კი ისევ გაუშვა ხელიდან შანსები — 6:4-ზე ორი სეტ-პოინტი ისეთი შეცდომებით დაანიავა, უფრო საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას რომ დაბრალდებოდა და 125 ათასი დოლარითლა დაკმაყოფილდა. „სწორედ ასეთ ფინალზე ვოცნებობდი, დევენპორტის წინაალმდეგ. ეს უკანასკნელი ტურნირია, სეზონი ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით დავიწყე და ასევე მინდა დავასრულო" — აღნიშნა გამარჯვებულმა.

## ფინალი

**ჰინგისი — დევენპორტი 7:5, 6:4, 4:6, 6:2**

სეზონის ერთადერთ მატჩში ქალებს შორის, რომელიც სამი სეტის მოგებამდე ტარდება, ღირსეულმა იმარჯვა — წონით და ზომით თავისზე ერთიორად დიდ მეტოქეს მარტინა ჰინგისმა არაფერი დაუთმო, ჯანის სიმცირე ბევრი სირბილითა და ზუსტი დარტყმებით აანაზღაურა და 500 ათას დოლარიან ჩეკსაც გამოჰკრა ხელი.

შანსები მსოფლიოს პირველ ჩოგანსაც საკმარისად ჰქონდა, მაგრამ პირველ ორ სეტში 11 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ერთის გამოყენება მოახერხა, მერე კი დაღლილობამ თავისი ქნა — ლინდსის გრაფთან მატჩის გარდა წინა საღამოს წყვილების ჩემპიონატის ფინალშიც დიდი ბრძოლა გადახდენოდა: „ამჟამად ცოტა იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ეს რამდენიმე საათში გამივლის. ივნისში ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, მომდევნო ცხრა ტურნირიდან რვაში ფინალში გახვალ, დიდი სლემის ტურნირს მოიგებ და პირველი ჩოგანი გახდებიო, ალბათ, დავცინებდი. ამიტომ საკუთარი თავისთვის წლეულს სასაყვედურო არაფერი მაქვს, მე ხომ ოცნება ავისრულე. ახლა კი ერთი სული მაქვს, შინ როდის ვიქნები და ორი კვირით ჩოგბურთისგან დავისვენებ."

მეტოქისგან განსხვავებით, არცთუ ისე წარმატებული სეზონის ბოლოს ჰინგისს ეს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და მიღწეულით ბედნიერიც ჩანდა: „დღეს ჩემი ღირსების დასაცავად ვთამაშობდი. ლინდსიმ პირველობა წამართვა, მაგრამ გაისად მის დასაბრუნებლად ვიბრძოლებ. ამიტომ ხალხისთვის უნდა მეჩვენებინა, რომ ისევ შემიძლია დიდი ტურნირების მოგება, თორემ ზოგიერთი ძალიან შემითამამდა. ეს წელი ისე წარმატებული არ ყოფილა, როგორიც წინა, მაგრამ, მგონი, ადგილებს ძალიან ბევრი ჩოგბურთელი გამიცვლიდა" — რატომაც არა, მარტინამ ხომ სეზონში საპრიზოებით ისევ 3 მილიონ დოლარზე მეტი მიითვალა.

## წყვილები

**ნახევარფინალი: დევენპორტი და ნატაშა ზვერევა (2, ბელარუსი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) და რენე სტაბსი (ავსტრალია) (3) 6:3, 6:2; ალესანდრა ფუზე და ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) — იაუკ ბაზუკი (ინდონეზია) და კაროლინ ვისი (ჰოლანდია) 6:2, 3:6, 6:3**

**ფინალი: დევენპორტი და ზვერევა — ფუზე და ტოზია 6:7 (6:8), 7:5, 6:3**

ჰარტფორდი. აშშ. ATP ტურის წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება ხალიჩაზე. საპრიზო 800 ათასი $

**ნახევარფინალი: იაკო ელტინგი და პოლ ჰაარჰიუსი (1, ჰოლანდია) — დონალდ ჯონსონი და ფრანსისკო მონტანა (8, აშშ) 7:6 (7:1), 6:4; მარკ ნოულსი (ბაჰამები) და დანიელ ნესტორი (კანადა) (7) — ოლივიე დელეტრი და ფაბრის სანტორო (7, საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:3**

**ფინალი: ელტინგი და ჰაარჰიუსი — ნოულსი და ნესტორი 6:4, 6:2, 7:5**

პირველად განთესილმა ელტინგისა და ჰაარჰიუსის წყვილმა თავისი გედის სიმღერა ომახიანად შემოსძახა. „მფრინავი ჰოლანდიელების" დუეტმა, რომლის უმცროსი წევრი იაკო ელტინგი ამიერიდან დამსახურებულ პენსიონერადაც შეიძლება მოვიხსენიოთ, კარიერაში მეორედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი და სეზონიც ასევე მეორედ ჩაასრულა მსოფლიოს პირველ წყვილად. „გარემოებათა გათვალისწინებით, ეს ჩვენი უკანასკნელი მატჩი იყო ერთად, ფავორიტებად ვითვლებოდით და თანაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში — არაჩვეულებრივად ვითამაშეთ. უკან დაბრუნების სურვილი არ მაქვს. ამაზე მეტს რაღას უნდა მივაღწიო?" — განაცხადა ელტინგმა, რომელიც ორიოდ წლის წინ ერთეულებში საუკეთესოთა ოცეულშიც შედიოდა, მაგრამ მუხლის ქრონიკულმა ტრავმებმა 28 წლის ასაკში დიდი სპორტიდან წასვლა აიძულა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინა ჰინგისი

თუმცა ჰოლანდიელების პენსიაში გასვლამ ზოგიერთი გაახარა კიდეც. „მომწყინდა მათთან შეხვედრა, სულ ვაგებდით. როგორც იქნა, თავიდან მოვიშორებთ — მარკ ნოულსის ხუმრობაში სიმართლეც ბევრი ერია — თუ შვებულების ზღვაზე გატარებას დააპირებ, გიჯობს, ბაჰამებზე არ ჩამოხვიდე."

**ავთანდილ სვანიძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




# კოიოტები ავად დაქრწიან

20 ნოემბერი

**ბუფალო — ტორონტო 4:1**

1:0 2:1 1:0

1:0 ბარაუნი 19'11(4); 2:0 გრომეკი 22'23 (6); 2:1 მოლინი 22'47 (3); 3:1 ბარნაბი 24'27(2); 4:1 უორდი 50'48 (5)

**კაროლინა — ფილადელფია 1:3**

0:0 0:2 1:1

0:1 მაკჯილისი 20'42(1); 0:2 სვობოდა 36'38(2); 1:2 შეპარდი 50'42(8); 1:3 ფორბსი 59'18(4)

კაროლინელთა ლიდერმა კეიტ პრიმომ ზედიზედ მეორე მატჩში დალუპა თავისი გუნდი, თუმცა ამჯერად ეს უნებლიედ მოუვიდა — პეტრ სვობოდას დარტყმული შაიბა პრიმოს ყვანჯიდან ასხლტა და მიმართულება იცვალა.

**ვაშინგტონი — ოტავა 1:4**

0:1 1:3 00

0:1 მარტინსი 2'29(2); 0:2 გარდინერი 20'28(2); 1:2 ბონდრა 22'07(6); 1:3 იაშინი 24'11(3); 1:4 დაკელი 39'34(4)

ოთხივე შაიბა მასპინძელთა კარში მცველთა უხეში შეცდომების შემდეგ გავიდა, განსაკუთრებით ტრავმამოშუშებული სერგეი გონჩარი „გამოირჩა".

**დალასი — აილენდერსი 4:2**

1:0 2:1 1:1

1:0 ნუინდაიკი 11'09(5); 2:0 ვერბიკი 25'35(4); 2:1 პარლოკი 28'58(1); 3:1 გუსევი 30'49(1); 3:2 ჩერკავსკი 41'29(5); 4:2 საიდორი 56'40(6)

სერგეი გუსევმა (1+1) და დევიდ ჰარლოკმა ნჰლ-ში პირადი ანგარიში გახსნეს.

**სან ხოსე — ფინიქსი 1:2**

1:1 0:0 0:1

1:0 შტურმი 12'45(4); 1:1 ტკაჩუკი 14'49(10); 1:2 დრეიკი 60'37(3)

**ანაჰაიმი — ედმონტონი 2:3**

1:1 0:1 1:0 0:1

0:1 ფალუნი 3'37(5); 1:1 აალტო 14'07(1); 1:2 კოვალენკო 25'48(7); 2:2 კარია 53'49(10); 2:3 კოვალენკო 60'39(8)

21 ნოემბერი

**ბოსტონი — ვაშინგტონი 5:4**

3:0 0:2 1:2 1:0

1:0 ვან იმპი 2'22(4); 2:0 ხრისტიჩი 7'30(10); 3:0 ელისონი 15'49(5); 3:1 საიმონი 24'53(2); 3:2 ბონდრა 32'50(7); 4:2 კარტერი 41'59(3); 4:3 უიტი 48'57(1); 4:4 კონოვალჩუკი 5420(1); 5:4 ელისონი 64'20(6)

მატჩის მე-12 წუთზე ისეთი გუნდური დაკა-დაკა ატყდა, რომ მეკარეები ბაირონ დაფო და ოლაფ კოლციგიც ჩაერივნენ.

**ოტავა — კალგარი 4:1**

1:0 0:1 3:0

1:0 იაშინი 2'15(2); 1:1 იგინლა 24'39(7); 2:1 მაკიჩერნი 43'58(6); 3:1 იაშინი 50'39(5); 4:1 იორკი 59'02(2)

**ნეშვილი — აილენდერსი 3:6**

1:2 0:3 2:1

0:1 უოტი 2'01(3); 0:2 რაიხელი 4'22(5); 1:2 პიუარდი 6'46(2); 1:3 ოჯიკი 22'59(4); 1:4 ლინდენი 23'39(9); 1:5 მილერი 31'34(1); 1:6 ნემჩინოვი 43'26(2); 2:6 ფიცჯერალდი 44'03(3); 3:6 პელტონენი 51'08(4)

**ტორონტო — ბუფალო 2:1**

0:1 2:0 0:0

0:1 ჟიტნიკი 2'40(4); 1:1 ჯონსონი 21'44(7); 2:1 კოროლიოვი 32'32(5)

ტორონტომ ბუფალოსთან ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ჯავრი იყარა და მეტოქეს ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა.

**სენტ ლუისი — დალასი 3:3**

0:2 1:1 2:0 0:0

0:1 მოდანო 8'03(5); 0:2 მარშალი 16'15(3); 0:3 ლანგებრუნერი 36'09(3); 1:3 დემიტრა 38:33(9); 2:3 ისტვუდი 44'17(2); 3:3 ტარჯონი 47'04(8)

ოვერტაიმში სტუმრებს სამწუთიანი რიცხვმრავლობა ჰქონდათ, მაგრამ ზედიზედ ორ დღეს თამაშმა, ეტყობა, ძალიან მოქანცა.

**ვანკუვერი — დეტროიტი 2:4**

0:1 0:2 2:1

0:1 ფიოდოროვი 0'08(5); 0:2 შენაჰანი 34'48(10); 0:3 ერიკსონი 36'18(1); 1:3 კლეტი 44'11(1); 2:3 მუკალტი 57'49(6); 2:4 აიზერმანი 58'20(9)

**ნიუ ჯერსი — ფლორიდა 3:3**

0:0 3:3 0:0 0:0

1:0 ბრილინი 23'44(2); 1:1 განიე 24'21(3); 1:2 უიტნი 25'01(5); 2:2 პედერსონი 26'28(2); 3:2 სიკორა 31'07(5); 3:3 რ. ნიდერმაიერი 34'23(5)

**ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 5:0**

1:0 1:0 3:0

1:0 ლაფაიეტი 11'45(2); 2:0 ჯონსონი 39'26(2); 3:0 მიურეი 44'48(9); 4:0 იოკინენი 58'19(4); 5:0 ფერარო 59'21(2)

მასპინძელთა მეკარე ჯემი სტორმა 6-კვირიანი არყოფნის შემდეგ ჩატარებულ პირველივე მატჩში შატაუტი მიითვალა (21 მოგერიება)

**ტამპა — პიტსბურგი 2:5**

0:2 1:0 1:3

0:1 პრდინა 15'05(2); 0:2 სტრაკა 17'22(8); 1:2 სელივანოვი 37'03(2); 1:3 ვერენკა 42'53(3); 2:3 ლანგკოუ 46'03(4); 2:4 სტრაკა 47'20(9); 2:5 გალანოვი 55'00(3)

თუ გუნდი იგებს, პიტსბურგის სუპერვარსკვლავი იარომირ იაგრი (2 პასი) მეპასეობაზეც ყაბულსაა.

**სან ხოსე — რეინჯერსი 2:2**

0:1 1:1 1:0 0:0

0:1 კოვალიოვი 14'36(3); 0:2 სავარი 31'55(2); 1:2 შტერნი 37'52(1); 2:2 სკალდე 41'12(1)

**მონრეალი — კოლორადო 2:3**

0:1 1:0 1:2

0:1 იელე 14'07(2); 1:1 ბრიუნე 25'19(4); 1:2 კამენსკი 43'06(6); 1:3 ჰეიდუკი 55'51(3); 2:3 მალახოვი 59'49(5)

**ფინიქსი — ედმონტონი 3:2**

0:0 1:1 1:1 1:0

1:0 ადამსი 22'52(1); 1:1 ჰამრლიკი 29'08(2); 1:2 მარჩანტი 53'16(3); 2:2 ისბისტერი 56'40(2); 3:2 ტოკეტი 64'08(7)

ზედიზედ მე-11 მატჩია, „კოიოტებმა" წაგება არ იციან: 9 მოგება, 2 ფრე!

22 ნოემბერი

**ფლორიდა — ფილადელფია 1:2**

1:1 0:0 0:0 0:1

0:1 ლეკლერი 15'55(12); 1:1 ჟოვანოვსკი 19'41(2); 1:2 ჯოუნსი 60'26(5)

**კაროლინა — ნიუ ჯერსი 2:5**

1:0 0:2 1:3

1:0 შეპარდი 7'07(9); 1:1 პანდოლფო 27'37(5); 1:2 ჰოლიკი 35'18(3); 2:2 ემერსონი 42'22(5); 2:3 მაკეი 46?57(5); 2:4 პედერსონი 51'43(3); 2:5 სტივენსი 59'54(2)

**ანაჰაიმი — ჩიკაგო 4:1**

0:0 2:0 2:1

1:0 გრიმსონი 22'37(3); 2:0 მაკინსი 25'34(6); 3:0 რუჩინი 47'35(6); 3:1 აალტო 53'17(2); 4:1 დაზე 57'37(6)

„ანაჰაიმის" ლიდერი პოლ კარია (უქმეებზე 4(1+3) ქულა) ბოლო მატჩებში ტეემუ სელიანეს არყოფნაში ორმაგი ენერგიით ირჯება.

**სამველ ლარიბიანი**